

გიორგი ღავითაშვილი

სამედიცინო სასამართლო
ანუ
«რჯული» სემსურეთები



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2001

ნაშრომი ეხება ხევსურული ჩვეულებითი სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს – „რჯულს“ ანუ სამედიატორო სასამართლოს. მასში ეთნოგრაფიულ და გამოუქვეყნებელ საარქივო მასალებზე დაყრდნობით იურიდიული კუთხით პირველადაა განხილული ხევსურული „რჯულის“ საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მისი ორგანიზაცია და ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები.

განკუთვნილია ქართული ჩვეულებითი სამართლითა, საერთოდ, ქართული სამართლის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის. ასევე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

რედაქტორი პროფ. ვ. მეტრეველი
რედაქციური მდიანი: პროფ. ნ. სურგულაძე,
დოც. მ. გარიშვილი

წიგნი იბეჭდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს
რეკომენდაციით

©თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

დ 1201000000
608(06)-01

ISBN 99928-912-4-6

შესავალი

საქართველო უნიკალური ქვეყანა იმით, რომ აქ უკანასკნელ ხანებამდე შემორჩა სასამართლო პროცესისა და სასამართლოების უძველესი ფორმები. კერძოდ, საქართველოს მთიანეთის იმ კუთხეებში, სადაც ჩვეულებითი სამართალი იყო გაბატონებული, ვხვდებით სასამართლო ფუნქციების განხორციელებას როგორც თვითმმართველობის ინსტიტუტების (მაგალითად, სახალხო კრებების) მიერ, ასევე სამედიატორო სასამართლოს აქტიურ საქმიანობასაც.

XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მასალა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე სახალხო კრებებისა და სამედიატორო სასამართლოს პარალელურ საქმიანობას ადასტურებს. სახალხო კრებებსაც და სამედიატორო სასამართლობებსაც განსახილველ საკიოხთა საკუთარი წრე ჰქონდა. სამედიატორო სასამართლოების მოქმედება პირვანდელი, უძველესი სახით, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (განსაკუთრებით კი სვანეთსა და სევესურეთში) XX საუკუნის ბოლოსაც შეინიშნება, თუმცა არც ისეთი ინტენსივობით როგორც ეს ადრე იყო.

მოცემულ ნაშრომში ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს სამედიატორო სასამართლოს საქმიანობა ხევსურეთში, სადაც საქართველოს კუთხეთაგან ყველაზე დიდხანს შემორჩა ჩვეულებითი სამართლის მოქმედება. სწორედ ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე ხდებოდა სამედიატორო სასამართლოს ორგანიზაცია და საპროცესო მოქმედებანი, რომელთაც იგი ახორციელებდა.

ხევსურები უდიდეს პატივს მიაგებდნენ თავიანთ უძველეს სასამართლო დაწესებულებას — „რჯულს“ (სამედიატორო სასამართლოს ხევსურეთში სწორედ „რჯული“ ჰქვია), რომელიც სინდისის, პატიოსნების, სიბრძნისა და საკმაოდ მაღალი იურიდიული აზროვნების გამოვლინებას წარმოადგენდა. საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც, ხევსურები, მათ შორის ურთულესი სასიხლლო დავების განხილვას, მსოლოდ და მხოლოდ საკუთარ „რჯულს“ ანდობდნენ და სახელმწიფო სასამართლოს არასდროს არ მიმართავდნენ. ამასთან დაკავშირებით ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს: „თუ რომელიმე მხარე, მომივიანი ან მოპასუხე არ დასთანხმდა მედიატორეთ გადაწყვეტილებას და

თიანეთში გაემგზავრა საჩივლელად, მთელი თემი და სოფელი დაუხვდებოდა წინ და დააბრუნებს უკან – სირცხვილი არა იც, რად გვეყრი სხვის ხელადა¹. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ხევსურეთში ვითარება ამ მხრივ არსებითად არ შეცვლილა; ხევსურები დღესაც მიმართავენ ხოლმე საკუთარ „რჯულს“, თუმცა უფრო იშვიათად, ვიდრე ეს ადრე იყო. ახლაც არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ხევსურები საკუთარ დაეებს ხევსურული „რჯულის“ მეშვეობით წყვეტენ ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად (არაფერს ვამბობთ ხევსურეთში დარჩენილებზე), ხოლო საჭიროებისას, მაგალითად, დაფიცებისათვის, მიდიან ხევსურეთში, თავიანთ სალოცავში შესაბამისი რიტუალის ჩასატარებლად.

უკეთ რომ შევისწავლოთ სამედიატორო სასამართლოს საქმიანობა ხევსურეთში, აუცილებელია ზოგადად შევეჩხოთ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედ სამედიატორო სასამართლოს ორგანიზაციისა და პროცესის ძირითად პრინციპებს, რომლებიც ხევსურული რჯულისთვისაც არის დამახასიათებელი.

¹ ეაეა-ფშაველა. ხევსურები, თხზ. სრ კრ ათ ტომად, ტ. IX, გვ. 45.

სამედიატორო სასამართლოს ორგანიზაციისა და
პროცესის ძირითადი პრინციპები

ის ფაქტი, რომ საქართველოში უკანასკნელ წლებშიც გვხვდება სამედიატორო სასამართლოთა საქმიანობა, რომლებიც ჩვეულებითი სამართლის ნორმებით წყვეტენ დავებს, ზრდის ჩვენს ინტერესს ამ უძველესი სასამართლო დაწესებულების მიმართ. სამედიატორო სასამართლო, საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზე ყველა ხალხის სამართლებრივი კულტურის შემადგენელი ნაწილი იყო. ძველი ბერძნები და რომაელებიც კი უძველეს ეპოქაში დავებს სამედიატორო სასამართლოების მეშვეობით აგვარებდნენ, სხვა ხალხებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

§1. სამედიატორო სასამართლოს დანიშნულება და ორგანიზაცია

სამედიატორო სასამართლო ყალიბდება საზოგადოებრივი განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც სისხლის ალების, შურისძიების ინსტიტუტის პარალელურად თანდათანობით ფუნს იკიდებს კომპოზიციათა ინსტიტუტი. სამედიატორო სასამართლოს დანიშნულება სწორედ ისაა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავიდან იქნეს აცილებული შურისძიება და მხარეები მორიდდნენ ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ქონებრივი საზღაურის დაკისრების საფუძველზე, ე.ი. სამედიატორო სასამართლოს მთავარი ფუნქცია მხარეთა შერიგებაა. მან ისეთი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს და მას სამართლიანად მიიჩნევს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარეებს შორის კვლავ გაგრძელდეს მტრობა და შურისძიება.

სამედიატორო სასამართლო ეს არ იყო მუდმივმოქმედი სასამართლო დაწესებულება. მხარეები მის შემადგენლობას თვითონ განსაზღვრავდნენ ყოველი კონკრეტული საქმისათვის. ორივე მხარე ძირითადად მოსამართლეთა თანაბარ რაოდენობას ასახელებდა.

მხარეთა შორის წინააღმდეგობის დასაძლევად სამედიატორო სასამართლოს გამოყენება მთლიანად მხარეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. მხარეები ნებაყოფლობით ირჩევდნენ მედიატორებს მას შემდეგ, რაც დათანხმდებოდნენ დავის შერიგებით გადაწყვეტას. მათ დაყ-

ოლიებას შერიგებაზე კი შუაკაცები ან სოფლის თავკაცები ცდილობდნენ. უფრო რთული იყო დაზარალებულის დაყოლიება, განსაკუთრებით „სასისხლო“ საქმეებზე. როდესაც მხარეებს სამედიატორო სასამართლოსადმი მიმართვაზე დაიყოლიებდნენ, ეს ნიშნავდა, რომ დაზარალებული მხარე თვითანგარიშსწორებას შერიგებას ამჯობინებდა, ხოლო დამნაშავე (ზიანის მიმყენებელი) კი თანახმა იყო გადაეხადა ის ქონებრივი საზღაური, რასაც სამედიატორო სასამართლო დაადგენდა. იგი ამ გადასახადს იმ შემთხვევაში იხდიდა, თუ ის აღიარებდა თავს დამნაშავედ, ხოლო თუ უარყოფდა მის მიერ იმ დანაშაულის ჩადენას, რასაც აბრალებდნენ, ფიცით ან სხვა საშუალებით უნდა დაემტკიცებინა, რომ დამნაშავე არ იყო. სამედიატორო სასამართლოში პროცესის ჩატარებაც ისეთი წესებით ხდებოდა, რომ ხელი შეეწყო მხარეთა შერიგებისათვის. მედიატორ-მოსამართლეებად ირჩევდნენ იმათ, ვინც ცნობილნი იყვნენ თავისი ავტორიტეტით, პატიოსნებით, ჩვეულებითი სამართლის უბადლო ცოდნით. ისინი ისე უნდა დალაპარაკებოდნენ მხარეებს, რომ უნდობლობის მარცვალი არ ჩამოეგდოთ მათ შორის და პირიქით, შეერბილებინათ არსებული წინააღმდეგობა. გამოტანილი განაჩენი კი უნდა დაფუძნებოდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებს და, შესაძლოა, მხარეთა შორის გარკვეული კომპრომისის გამომხატველიც ყოფილიყო, რათა განაჩენის აღსრულება პრობლემად არ გადაქცეულიყო. მ. კოვალევსკი სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას ფაკულტატურად მიიჩნევს. თვლის, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულება მხარეებზე დამოკიდებული და სავალდებულოა იმდენად, რამდენადაც აკმაყოფილებს ორივე მხარეს¹. თანამედროვე გადასახედიდან თუ შევხედავთ საკითხს, მ. კოვალევსკი აბსოლუტურად მართალია იმ გაგებით, რომ ხალხებს (მათ შორის ქართველ თუ ჩრდილოკავკასიელ მთიელებს), რომლებიც სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით წყვეტდნენ დავებს ჩვეულებით სამართალზე დაყრდნობით, არ გააჩნდათ სახელმწიფო ინსტიტუტები, თვით სამედიატორო სასამართლოც არ იყო მუდმივმოქმედი ორგანო, არ არსებობდა ისეთი დაწესებულება, რომელიც იძულებით უზრუნველყოფდა სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას, თუ რომელიმე მხარე უარს აცხადებდა ამაზე და არ ასრულებდა მას. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მოდავე მხარეს, თუ

¹ М. Ковалевский. Современный обычай и древний закон. М., 1886, т. II, ст. 191-192.

იგი უსამართლოდ მიიჩნევა სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას, პრინციპში შეეძლო არ დამორჩილებოდა მას, რითაც მხარეთა შორის შუღლის პერსპექტივას კვლავ რეალურს ხდიდა. ასეთ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელი იყო სასამართლოს ხელახალი არჩევა და ახალი პროცესი. მაგალითად, ხევსურეთში, თუ ერთ-ერთი მხარე არასწორად ჩათვლიდა სასამართლოს განაჩენს, შეეძლო ხელახალი „რჯული“ (ანუ სამედიატორო სასამართლო) მოეთხოვა. შესაძლებელი იყო ერთსა და იმავე საქმეზე სასამართლო პროცესის რამდენჯერმე ჩატარება მოსამართლეთა სხვადასხვა შემადგენლობით თუ, რასაკვირველია, ორივე მხარე დათანხმდებოდა ახალი „რჯულის“ გამართვას (ამ თანხმობის მიღწევაში ძირითადი როლი კვლავ შუაკაცებს ეკისრებოდათ). სასამართლო პროცესთა ჩატარება შესაძლოა მანამდე გაგრძელებულიყო, სანამ ორივე მხარისათვის მისაღები განაჩენი არ იქნებოდა გამოტანილი. მაგრამ მსგავსი რამ შედარებით იშვიათად ხდებოდა და უმრავლეს შემთხვევაში მხარეები ასრულებდნენ სამედიატორო სასამართლოს განაჩენს. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მედიატორებად ირჩევდნენ ძალზედ პატივცემულ და პატიოსან ხალხს, რომელთა ავტორიტეტი გამოტანილი განაჩენის შესრულების გარანტი იყო. ასევე მტრობის გაგრძელების პერსპექტივაც არ უნდა ყოფილიყო მხარეთათვის სახარბიელო. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამედიატორო სასამართლოს არჩევაზე არ დათანხმდებოდნენ და თვითონ იზრუნებდნენ დარღვეული უფლების აღსადგენად. ასევე, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროების შემთხვევაში მოსამართლეები მოქნილობასაც იჩენდნენ და განაჩენის გამოტანისას ითვალისწინებდნენ, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო ორივე მხარისათვის მისაღები.

ხშირ შემთხვევაში სამედიატორო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულების გარანტიად გვევლინება მხარეთა ფიცი, რომ ისინი შეასრულებენ განაჩენს. ასეთი ფიცი სავალდებულო იყო სვანეთსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებშიც. ხევსურეთში ასეთ წესს არ ვხვდებით. სამედიატორო სასამართლოს განაჩენის ფაქულტატური ხასიათი ყველაზე თვალნათლივ სწორედ ხევსურეთში შეინიშნება. ასევე შესაძლოა მხარეებს დაესახელებინათ კერძო პირები, თავიანთი რწმუნებულები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ განაჩენის აღსრულებას. თუ მხარე, რომელსაც დაეკისრა გადასახადის გადახდა, არ შეასრულებდა ამას, მაშინ სწორედ რწმუნებული უნდა ჩარეულიყო საქმეში თავისი

ფუნქციის შესასრულებლად. ამ ფუნქციებზე უარის თქმა ან მათი შეუსრულებლობა კავკასიაში დიდ სირცხვილად ითვლებოდა და, ამგვარად, შერცხვენილი პიროვნება საზოგადოებისაგან გარიყული აღმოჩნდებოდა¹.

ძირითადი სასჯელი, რომელსაც დამნაშავეს აკისრებდა სამედიატორო სასამართლო, იყო კომპოზიცია – ქონებრივი საზღაური, – ხვესურეთში მას „დრამას“ უწოდებენ.

§ 2. სამედიატორო სასამართლოს განსახილველი საკითხები

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამედიატორო სასამართლოს პარალელურად სასამართლო ფუნქციებით აღჭურვილნი იყვნენ თვითმმართველობის ინსტიტუტებიც (სახალხო კრებები). მათ შორის კომპეტენცია ძირითადად გამიჯნული იყო. ჩვეულებითი სამართალი არ არის ზუსტად რეგლამენტირებული, ამიტომ არ არსებობდა ზუსტი მიჯნა ჩვეულებითი სამართლით დადგენილი თვითმმართველობის ორგანოების განსახილველ საქმეებსა და სამედიატორო სასამართლოს განსახილველ საქმეებს შორის. თუმცა სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ. კერძოდ, სამედიატორო სასამართლოები განიხილავდნენ მხოლოდ და მხოლოდ კერძო სამართალდარღვევებს, როდესაც აუცილებელი იყო კერძო ხასიათის უფლება-შოვალეობათა დარეგულირება: კერძო პირებს, ოჯახებს, გვარებს შორის.

ფშავ-ხვესურეთში, სვანეთში, ჩრდილო კავკასიაში კერძო სამართლის სფერო, თანამედროვე გაგებით, სისხლის სამართლის დანაშაულებსაც მოიცავდა. მაგალითად, მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, შეურაცხყოფა, კერძო ქონების დაზიანება და სხვა, კერძოსამართლებრივ დარღვევებს წარმოადგენდა (ეს დანაშაულობები შეიძლება კერძო დელიქტებად განვიხილოთ, რომელთა ჩადენაც ზიანის მიყენების საფუძველზე ვალდებულების წარმოშობას განაპირობებს). ამიტომ მათი განხილვა სამედიატორო სასამართლოების კომპეტენცია იყო. ასევე ხელშეკრულების შეუსრულებლობა, დავა ქონების კუთვნილებასთან დაკავშირებით, ოჯახის გაყრის, განქორწინების დროს და სხვა, სამედიატორო სასამართლოს განსახილველი იყო. ზოგადად, სამედიატორო სასამართლო შესაძლოა ჩატარდეს ნებისმიერი კერძო-სამართლებრივი დავის დროს. თვითმ-

¹ ასეთია მაგალითად, „შხველის“ ინსტიტუტი ხვესურეთში, რომელსაც ამ ნაშრომში ჩვენ აღარ შევხვებით. იგი ცალკე კვლევის ობიექტი უნდა გახდეს ვალდებულებითი სამართლის შესწავლის კონტექსტში.

მართველობის ორგანოები ძირითადადში საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებდნენ. კერძოდ, იმ საქმეებს განიხილავდნენ, რომლებიც ჩვეულებითი სამართლით თემისა და ხატის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობად ითვლებოდა. ზოგიერთ ასეთ დანაშაულს მიეკუთვნებოდა: თემის ღალატი, ეკლესიის ან ხატის გაძარცვა, ხატის ქონებისა და საკუთრების ხელყოფა, თემის პირის გატყუება, მისი დავალების შეუსრულებლობა, ანდა საიდუმლოების გაცემა, ჯვარ-ხატების მსახურთა მიმართ დანაშაულის ჩადენა, აკრძალული სქესობრივი კავშირი, რასაც ორსულობა მოჰყვა, თემში (საზოგადოებაში) დადგენილი ზნეობრივი და სარწმუნოებრივი წესების დარღვევა, ნათესაობასა და „ნათელმძირონობაში“ ქორწინება და სხვა. ყოველივე ეს ხეცსურეთზეც ვრცელდება.

სამედიატორო სასამართლო თვითმმართველობის ორგანოთა განსახილველ საჯარო-სამართლებრივი საქმეების გადაწყვეტაში ვერ ჩაერეოდა. თემის ან სოფლის ყრილობას კი შეეძლო ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ კერძო-სამართლებრივი შემთხვევა თვითონ განეხილა, თუ ჩათვლიდა, რომ შესაბამისი ქმედება მთელი საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

§ 3. საბრალდებო პროცესი, როგორც სასამართლო პროცესის ძირითადი ფორმა

ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედ სასამართლო დაწესებულებებში, კერძოდ, სამედიატორო სასამართლოში მოქმედი სასამართლო პროცესი საბრალდებო იყო. ცნობილია, რომ ისტორიულად არსებობდა სასამართლო პროცესის სამი ისტორიული ფორმა: 1. საბრალდებო პროცესი; 2. ინკვიზიციური ანუ სამძებრო პროცესი; 3. შერეული პროცესი. მათ შორის უძველესია საბრალდებო პროცესი. იგი საქართველოში საკმაოდ დიდხანს შემორჩა და XVII-XVIII საუკუნეებში პროცესის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა¹. თუმცა ამავე პერიოდში გამონაკლისის სახით სამძებრო პროცესის ელემენტებსაც ვხვდებით². სვანეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მათ შორის ხეცსურეთში, ჩრდილოკავკასიელ მთიელებში სასამართლო პროცესი ასევე საბრალდებო

¹ შ. ლეკვიშვილი, სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 9-38.

² იქვე, გვ. 38.

იყო. ამ რევოლუციებში პროცესის ეს არქაული ფორმა უკანასკნელ წლებშიც გვხვდება, ძირითადად, სამედიატორო სასამართლოს საქმიანობის დროს, მისთვის დამახასიათებელი ყველა პრინციპით ესენია: საჯაროობა, ზეპირობა, შეუხიბრებლობა. ეს უკანასკნელი გამოიხატება იმაში, რომ მხარეები აბსოლუტურად თანასწორნი არიან; საქმის აღძვრა მხოლოდ მხარეთა მიერ ხდება; საბრალდებო პროცესის დროს სასამართლო მტკიცებულებების მოგროვებაც მხარეთა პრეროგატივას წარმოადგენს, ხოლო მოსამართლეთა როლი პასიურია; მტკიცებულებათა შეგროვებაში ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, მხოლოდ მათი შესწავლისა და შეფასების საფუძველზე გამოაქვთ განაჩენი. საბრალდებო პროცესს შეესაბამება სასამართლო მტკიცებულებათა თავისებური სისტემა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორდალებსა და ფიცს¹.

სასამართლო პროცესი საჯარო იყო და ზეპირობის პრინციპს ემყარებოდა. ცნობილია, რომ საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილოკავკასიულ მთიულებში მოქმედებდა დაუწერელი ჩვეულებითი სამართალი, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად — ანდრეზების, პარაკების სახით გადაეცემოდა. სამართალწარმოებაც მხოლოდ ზეპირი ფორმით ხორციელდებოდა. ანდრეზი, იგივე პარაკი, ეს იყო პრეცედენტი, ნიმუში იმისა, თუ როგორ იყო გადაწყვეტილი ესა თუ ის კონკრეტული დავა, რათა მსგავს შემთხვევაში იგი გამოეყენებინათ მომავალი თაობის მოსამართლეებს. ხეცსურეთში ასეთ ზეპირ გადმოცემას ერქვა „ანდრეზი“ ანუ „ანდაზა“. ეს ინსტიტუტი გამოიკვლია რ. ხარაძემ². მისი განმარტებით „ანდრეზი“ წარმოადგენდა მაგალითის სახით შემონახულ წარსულის გადმოცემას, რომლითაც შემდეგ თაობას უნდა ეხელმძღვანელა. „ანდრეზი“, როგორც ნიმუში, უნდა გამოყენებულყო სწორედ მედიატორ-მოსამართლეების მიერ განაჩენის გამოტანისას. ხეცსურული სასამართლო ყოველთვის ეყრდნობოდა წარ-

¹ საბრალდებო პროცესის სრული ანტიპოლია სამძებრო პროცესი. აქ სრულიად ვერ ვხვდებით შეჯიბრებითობის პრინციპს. მხარეები თანასწორუფლებიანი არ არიან. მთელი პროცესი მიიყვანს სასამართლოს, რომელიც იწყებს საქმეს. აგროვებს სასამართლო მტკიცებულებებს. საბრალდებო პროცესისაგან განსხვავებით, სასამართლო იჩენს აქტიუობას, აწარმოებს ყველა მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის ბრალულობის დამტკიცებას, საჯაროობა უარყოფილია, პროცესს აქვს წერილობითი და საიდუმლო ხასიათი, სამძებრო პროცესს ახასიათებს სასამართლო მტკიცებულებათა ფორმალური სისტემა, რომლის მიხედვით კანონმდებელი წინასწარ განსაზღვრავს თითოეული მტკიცებულების ხვედრით წონას. სრულყოფილ მტკიცებულებად ითვლება ბრალის აღიარება, ამიტომ გამოიძება აღიარების მისაღწევად ხშირად წამებას მმართველთა (ალ. ვაჩიბაძე, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, II, თბ., 1948, გვ. 5).

² რ. ხარაძე. ხეცსურული ანდრეზი — ხალხური სამართლის წყარო, მიმოხილველი, ტ. II. 1951.

სულში მომხდარ კონკრეტულ შემთხვევებს, ე.ი. ანდრეზებს¹, კერძოდ, ასე იქცეოდნენ მედიატორები დამნაშავეისადმი დაკისრებული გადასახადის (დრაჰის) განსაზღვრისას. მათ შეიძლება მცოდნე პიროვნებებიც მოეწვი-
ათ და ეოხოვათ მათთვის სათანადო ანდრეზის გასხენება.² „ანდრეზის“
ანალოგიურ ინსტიტუტს სვანეთში ერქვა „პარაკი“, ხოლო ჩრდილ-
ოკეკასიაში — მასლაჰათი.³ ასე რომ, სამედიატორო სასამართლო განაჩენის
გამოტანისას ძველად მომხდარ ანალოგიურ შემთხვევას იხსენებდა
და მათზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც ანდრეზის, პარაკისა
თუ მასლაჰათის სახით გადაეცემოდა თაობებს, პრეცედენტად იყენებდა.

რ. ხარაძესთან კარგად ჩანს, რომ სამედიატორო სასამართლო
პრეცედენტის დადგენით, ფაქტობრივად სამართალშემოქმედებას ახორ-
ციელებდა. XIX საუკუნის გამოჩენილი რუსი მეცნიერი ფ. ლეონტოვიჩი,
რომელმაც ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ადათობრივი სამართალი შეის-
წავლა, აღნიშნავს, რომ ჩვეულებითი სამართლის ნორმების წარმოშობის
მთავარ ორგანოდ ძველთაგანვე ითვლებოდა სამედიატორო სასამართ-
ლო. თუ იგი განსახილველი საკითხის გადასაწყვეტად შესაბამის ადათის
კერ მონახავდა, მას უნდა გამოეტანა სრულიად ახალი გადაწყვეტილე-
ბა, რომელიც ადათების საერთო სულს შეესაბამებოდა. ასეთი გზით
გამოტანილ გადაწყვეტილებას ეწოდებოდა სწორედ მასლაჰათი. ფ.
ლეონტოვიჩის განმარტებით, მასლაჰათი განმეორებული ანალოგიურ
შემთხვევებში უერთდება ხალხურ ჩვეულებათა საერთო მასას და საბ-
ოლოოდ ადათად იქცევა⁴.

ამრიგად, ჩვეულებითი სამართლის ნორმების წარმოშობა თავდა-
პირველად სამედიატორო სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენ-
ტის საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

§4. ლიტერატურა და წყაროები სამედიატორო სასამართლოს შესახებ ხევსურეთში

ლიტერატურა სამედიატორო სასამართლოს შესახებ ხევსურეთში
ძირითადად იგივეა, რაც ლიტერატურა სასამართლო მტკიცებულებების
შესახებ. ეს საკითხი განხილული მაქვს შესაბამის ნაშრომში⁵. აქ მხო-

¹ რ. ხარაძე, ღასხ. ნაშრომი, გვ. 387.

² იქვე, გვ. 390.

³ ძ. Методович, Алаты Кавказских горцев, т.1, 1882, ст. 7.

⁴ იქვე, გვ. 7-8.

⁵ იხ. გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში.,
1998, გვ. 5-11.

ლოდ გამოვყოფ იმ ლიტერატურასა და წყაროებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია, და ძირითადად მათ ვეყრდნობი ხევესურეთში სამედიატორო სასამართლოს დახასიათებისას.

XIX საუკუნის ავტორთაგან სამედიატორო სასამართლოს შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ნ. ხიზანაშვილი. ასევე საყურადღებოა ჩვენთვის XX საუკუნის შუა ხანების ავტორთა — გამოჩენილი ქართველი მეცნიერის რუსუდან ხარაძისა და ეთნოგრაფ ალექსი ოჩიაურის გამოკვლევები. ალექსი ოჩიაურის მიერ გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი საარქივო მასალები მართლაც უნიკალურია ხევესურული ჩვეულებითი სამართლის შესწავლის თვალსაზრისით. ამ მხრივ გამონაკლისი არც სამედიატორო სასამართლოა. XX საუკუნის შუახანებში დაფიქსირებული ეს მასალა, მათ შორის სამედიატორო სასამართლოს საქმიანობის კონკრეტული შემთხვევები, პირველხარისხოვანი წყაროა სასამართლოებისა და სასამართლო პროცესის უძველესი ფორმების შესასწავლად საქართველოში. რ. ხარაძის ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „ხევესურული რჯული“, „ხევესურული ანდრეზი ხალხური სამართლის წყარო“. იმავე პერიოდის ავტორთაგან საკმაოდ საინტერესოა მიხ. კეღელაძის საარქივო მონაცემები¹.

XX საუკუნის II ნახევარში საკმაოდ სრულყოფილი მონაცემები დაგროვდა ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე. ეს გახლავთ უკვე მეცნიერ იურისტთა მიერ სავსე გზით მოპოვებული მასალა წმინდა იურიდიულ საკითხებზე. მხედველობაშია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ ხევესურეთში შეკრებილი მასალა. ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, მიხეილ კეკელიამ 1977 წელს ხევესურეთში ჩაიწერა საკმაოდ დიდი მოცულობის, უაღრესად საინტერესო მასალა ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე. ამ მასალაში ვრცელი ადგილი უკავია სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხებს, სამედიატორო სასამართლოს საქმიანობის კონკრეტულ შემთხვევებს. მათ შესახებ მოგვითხრობენ თვით

¹ ალ. ოჩიაურისა და მ. კეღელაძის არქივები ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იუ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში. გამოყენებულია საქაღალდეები: M'86, M'143, M'108, M'92, M'84, M'13.

პროცესის მონაწილე პირები: მოსამართლეები – კონკრეტულ საქმეებზე, ასევე მხარეები – ბრალდებულებიცა და დაზარალებულებიც. მათი მონათხრობი დოკუმენტურ ხასიათს ატარებს და ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ლაბორატორიის თანამშრომლებმა (ჯ. მერაბიშვილი, დ.ჯალაბაძე, ო. ზოიძე) ეს მასალები შეაგეს 1988 წელს ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს, რომელსაც მ. კეკელია ხელმძღვანელობდა. 1977 და 1988 წელს ჩაწერილ ხევისურ ინფორმატორებს ჩვენ „თანამედროვე ინფორმატორებად“ მოვისხენიებთ მომავალში, რათა შედარებით ახლო წარსულში დაფიქსირებულ ლაბორატორიის წევრთა ამ მასალებზე გაეაყეთოთ მინიშნება.

სამედიატორო სასამართლოს ზოგადი
დახასიათება და ორგანიზაცია ხმესურეთში

§ 1. ტერმინების შესახებ

სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ სამედიატორო სასამართლოს ორგანიზაციას ხევსურეთში, თავდაპირველად რამდენიმე სიტყვით უნდა აღინიშნოს ამ ინსტიტუტთან დაკავშირებულ ტერმინებზე, რომლებიც არა მარტო ადრე, არამედ ახლაც საკმაოდ ხშირად გამოიყენება ხევსურეთში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამედიატორო სასამართლოს ხევსურეთში ჰქვია „რჯული“. ძალზედ საინტერესოა ის გარემოება, რომ ხევსურები რჯულს უწოდებენ ასევე სამართალსაც¹. უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყვი, რომ „რჯული“ ხევსურეთში ეს იყო უშუალოდ ხევსურული სამართალი, ხევსურული ჩვეულებითი სამართლის ნორმების ერთობლიობა. ამ იდენტურობის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ხევსურული „რჯულის“, სამართლის გამოყენების ასპარეზი სწორედ სამედიატორო სასამართლოა, იგივე „რჯულია“. აქ არჩეული მედიატორი მოსამართლეები სადავო საქმეებს ხევსურული „რჯულის“, სამართლის ნორმების რეალიზაციის მეშვეობით წყვეტენ. ხევსურული სამართლის გამოვლინება სწორედ აქ ხდება.

ძველ საქართველოში სადავო საქმის გამრჩევი მედიატორ-მოსამართლის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინია – „ბჭე“. VIII-XVIII საუკუნეებში ტერმინები – „ბჭე“, „მსაჯული“ და „მოსამართლე“ ერთნაირი

¹ ტერმინი „რჯული“, „სჯული“, „შჯული“ საქართველოში სამართლის მნიშვნელობით უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. იგი ჯაეახიშვილი სამართლის მნიშვნელობით ამ ტერმინის არსებობას ადასტურებს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, გიორგი შერაშულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „შეგლისწერაში“. მისი განმარტებით ეს სიტყვა ზნა „სჯა“-სგან არის ნაწარმოები და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილების მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა (იხ. ჯაეახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბ., 1982, გვ. 29). ცხადია, სამართლის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი ხევსურეთში დღემდე შემორჩა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოკავკასიულ მთიელებში, ისევე როგორც ხევსურეთში, ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალიცა და სამედიატორო სასამართლოც გამოიხატება ერთი ტერმინით – „ადათი“. ე.ი. „ადათი აქ ნიშნავს ადგილობრივ ჩვეულებით სამართალსაც და ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედ სასამართლოსაც, უკეთ რომ ვთქვათ, ადათში იგულისხმება სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წესები (Ф. Мешотович, Алаты Кавказских горцев, т. 1, Одесса, 1882, ст. 4-6). ასევე ხევსურეთში: „რჯული“ ეწოდება ადგილობრივ ჩვეულებით სამართალსაც და სამედიატორო სასამართლოსაც, ე.ი. „რჯული“ ხევსურეთში და „ადათი“ ჩრდილო კავკასიაში იურიდიული თვალსაზრისით, დაახლოებით იდენტური ცნებებია.

მნიშვნელობით იხმარებოდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, თუ ვინ არჩევდა საქმეს — მოდავეთა ამორჩეული პირი, ე.ი. სამედიატორო სასამართლო, თუ მოხელე-მოსამართლე. XVIII საუკუნიდან ქართლ-კახეთში „ბჭე“ მხოლოდ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მხარეთა მიერ ამორჩეული მოსამართლის აღმნიშვნელი ტერმინია, იმერეთის სამეფოში კი „ბჭე“ ეწოდება საქმის გამრჩევე ყოველ პირს¹. გ. ნადარეიშვილი ტერმინ „ბჭეს“ უკავშირებს ბჭის კარს (ჭიშკარს). იგი ამ კავშირს იმით ხსნის, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალაქის ან დაბის ჭიშკართან არსებული შოედანი გასამართლებისა და ხელშეკრულების დადების ადგილი იყო².

ახლა რაც შეეხება ხევსურეთს. ნ. ხიზანაშვილი მხარეთა მიერ არჩეულ მედიატორებს „ბჭეებად“ იხსენიებს; გ. თედორაძესთანაც ვხვდებით ბჭესთან დაკავშირებულ ტერმინებს, მაგალითად, „ბჭობა“³; ასევე ა. ზისერმანთან⁴, გუსტავ რადესთან⁵. ს. მაკალათიაც ხმარობს ტერმინს „ბჭე“⁶ (თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასამართლო ორგანიზაციის, პროცესისა და სასამართლო მტკიცებულებების საკითხებთან დაკავშირებით ს. მაკალათია უმთავრესად ნ. ხიზანაშვილს ეყრდნობა და სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ მედიატორ-მოსამართლეს იგი ბჭედ იხსენიებს); რ. ხარაძის ინფორმატორი ბაბუა ჭინჭარაულიც მიუთითებს, რომ მედიატორ-მოსამართლეებს სხვა სახელწოდების გარდა „ბჭეებაც ეტყვიან“⁷. ზოგიერთი თანამედროვე ინფორმატორიც ადასტურებს, რომ მედიატორ-მოსამართლეს „ბჭესაც“ უწოდებენ⁸. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, რომ ხევსურეთში არსებობდა გამონათქვამები: ბჭენი ისხდნენო, ბჭენი ბჭობდნენო. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ხევსურეთში ტერმინი „ბჭე“ ცნობილი იყო და მოდავე მხარეების მიერ არჩეული მედიატორის

¹ იხ. მ. კეკელია, დავის გამრჩევე პირთა სახელწოდებისათვის ძველ ქართულ შერლობაში (V-X სს.), „მატენი, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია“, 1972, № 2; მისივე, ტერმინ „ბჭის“ შინაარსისათვის ქართული სამართლის წიგნებში, იქვე, 1973, № 4.

² გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1994, გვ. 35.

³ გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტ.1, 1930, გვ.119.

⁴ А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, 1879, ст. 223.

⁵ Г. Радис, Хевсуретия и Хевсуры, 1881, ст. 104.

⁶ ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, გვ. 97-98.

⁷ რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ.1, გვ. 168.

⁸ იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988, გვ. 10. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1977, № 1, გვ. 18.

აღმნიშვნელ ტერმინად გამოიყენებოდა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მ. კეკელიამ დაადგინა, რომ ტერმინი „ბჭე“ XVIII საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა და ის ბევრად უფრო ადრეულ ეპოქაშიც იყო ცნობილი. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ ეს ტერმინი ხევსურეთშიც შესულიყო და დამკვიდრებულიყო. ალბათ, ამიტომაც, ნ. ხიზანაშვილი საქართველოში უფრო ცნობილ და გავრცელებულ ტერმინს ხმარობს ხევსურეთში მედიატორ-მოსამართლის სახელწოდების აღსანიშნავად.

მაგრამ ეთნოგრაფიული მასალა თვალნათლივ ცხადყოფს, რომ „ბჭე“ არ არის ხევსურეთში მედიატორ-მოსამართლის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინი. ხევსურები მხარეთა მიერ „რჯულში“ არჩეულ მოსამართლეს ჩვეულებრივ უწოდებენ „რჯულის კაცს“. ეს ტერმინი გვხვდება ხევსურულ სამართალთან უშუალოდ დაკავშირებულ ავტორებთან, რომლებიც თვითონაც ყოფილან მედიატორ-მოსამართლეები „რჯულში“. კერძოდ, ბ. გაბური იხსენიებს მედიატორ-მოსამართლეებს „რჯულის კაცებად“ (ცნობილი, რომ ბ. გაბური თავად იყო „რჯულის კაცი“ და სწორედ მას უნდა მოეხსენებოდეს ყველაზე უკეთ, თუ რას უწოდებენ ხევსურები მედიატორ-მოსამართლეს, რომელთაც „რჯულის“ ჩასატარებლად ირჩევენ მხარეები). აღ. ოჩიაურის მასალებშიც ძირითადად ამ ტერმინს ვხვდებით. რ. ხარაძის ზემოთ ნახსენები ინფორმატორი (ასევე „რჯულის კაცი“) კი მიუთითებს, რომ „რჯულის“ ჩასატარებლად იკრიბებიან „რჯულის კაცები“. ეს მისთვის მედიატორ-მოსამართლის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინია, ამასთან, იგი მიუთითებს, რომ „რჯულის კაცებს“ ბჭეებსაც ეტყვიანო¹. აბსოლუტურად ყველა თანამედროვე ინფორმატორი, რომელიც კი სამედიატორო სასამართლოს ინსტიტუტს ეხება, მედიატორ-მოსამართლეებს „რჯულის კაცებს“ უწოდებს. ბევრი მათგანი თვით ყოფილა კონკრეტულ საქმეზე მხარეთა მიერ არჩეული მედიატორი და საკუთარ თავს ამ შემთხვევაში „რჯულის კაცად“ იხსენიებს. ისინი ჩვეულებრივ, თხრობისას მხოლოდ ამ ტერმინს ხმარობენ. ასე რომ, ხევსურეთში მედიატორ-მოსამართლის აღმნიშვნელი ძირითადი, ყველაზე გავრცელებული ტერმინია „რჯულის კაცი“ და არა „ბჭე“. საინტერესოა, რომ თანამედროვე ინფორმატორთა გარკვეული ნაწილი

¹ რ. ხარაძე. დასახ. ნაშრომი, იქვე.

საერთოდ გამორიცხავს „რჯულის კაცისა“ და „ბჭის“ იდენტურობას. მათი განმარტებით „ბჭე“ არ არის მხარეთა მიერ არჩეული მედიატორ-მოსამართლე. ზოგიერთი მათგანის მტკიცებით „ბჭე“ ბრძენი კაცის აღმნიშვნელია, რომელიც ყოველგვარ საქვეყნო საქმეებს აგვარებდა¹. ამგვარად, მათთვის მისი მნიშვნელობა განსხვავებულია „მედიატორის“, „რჯულის კაცის“ მნიშვნელობისაგან. ის ინფორმატორებიც, რომლებიც დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ „ბჭე“ ეს იგივე „რჯულის კაცია“, ისინიც მედიატორ-მოსამართლეს, ჩვეულებრივ, „რჯულის კაცებად“ იხსენიებენ და მხოლოდ „ბჭის“ მნიშვნელობასთან დაკავშირებით მიცემულ დამატებით შეკითხვაზე პასუხისას ადასტურებენ „ბჭისა“ და „რჯულის კაცის“ იდენტურობას. ერთ-ერთი მათგანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „რჯულის კაცს“ აღრე „ბჭესაც“ ეძახდნენ, ახლა კი ამ ტერმინს აღარ ხმარობენ². ეს უკანასკნელი მტკიცება სიმართლესთან ახლოა, გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე ინფორმატორთა მნიშვნელოვან ნაწილს არ გაუგიათ და არც ახსოვთ, რომ ტერმინი ბჭე „რჯულის კაცის“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა ზევსურეთში. ეს მხოლოდ ზოგიერთს ახსოვს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ტერმინი „ბჭე“ – მედიატორ-მოსამართლის აღსანიშნავად ბოლო პერიოდში (დაახლოებით XX საუკუნის შუა ხანებიდან და შესაძლოა უფრო ადრეული პერიოდიდანაც) სულ უფრო ნაკლებად იხმარება (წინააღმდეგ შემთხვევაში „ზევსურული რჯულის“ შესანიშნავი მცოდნე არაერთი ინფორმატორი არ უარყოფდა „რჯულის კაცისა“ და „ბჭის“ იდენტურობას). „ბჭის“ გამოყენება „რჯულის კაცის“ მნიშვნელობით უფრო ინტენსიურად შედარებით ადრეულ პერიოდში უნდა მომხდარიყო, რასაც ერთ-ერთი თანამედროვე ინფორმატორიც მიაჩნის და სხვა ზემოთ მოყვანილ ავტორთა ცნობებიც (მაგალითად, ნ. ხიზანაშვილი, არნ. ზისერმანი, გ. რადე, რომელთა ინფორმაცია XIX საუკუნის II ნახევარს განეკუთვნება). თუმცა ამ პერიოდშიც მედიატორ-მოსამართლის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინი ზევსურეთში მაინც „რჯულის კაცი“ უნდა ყოფილიყო და არა „ბჭე“. ცხადია, ტერმინი „რჯულის კაცი“ XX საუკუნეში არ წარმოშობილა,

¹ ვ. მერაბიშვილი, მასალები ზევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკული, 1988, გვ. 10. დ. ჯალაბაძე, მასალები ზევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკული, 1988, გვ. 86.

² ვ. მერაბიშვილი, იქვე.

მას ისეთივე ჩანგრძლივი ისტორია უნდა ჰქონდეს, როგორც ტერმინ „რჯულს“. იქიდან გამომდინარე, რომ ხევესურეთში სამედიატორო სასამართლოს ჰქვია „რჯული“, მედიატორ-მოსამართლის აღსანიშნავად ტერმინ „რჯულის კაცი“ გამოყენება უფრო ლოგიკური და ბუნებრივია. სწორედ ეს უნდა იყოს კუმშარიტად ხევესურული ტერმინი, სპეციფიკური და ბუნებრივი ამ კუთხისათვის. „ბჭე“ კი ეს მთელ საქართველოში გავრცელებული ტერმინია, რომელსაც ხევესურეთშიც იცნობდნენ. ამიტომ არის, რომ ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობა თანდათან დავიწყებას ეძლევა. ხოლო „რჯულის კაცი“ კი ახლაც ყველას კარგად ახსოვს და მისი მნიშვნელობაც ესმის.

ტერმინი „რჯულის კაცი“ მიუთითებს, რომ ეს არის პიროვნება, რომელიც „რჯულში“ ანუ სამედიატორო სასამართლოში მონაწილეობს, ცხადია, როგორც მოსამართლე, თანაც „რჯულის კაცად“ უნდა მოვიანზროთ ის პიროვნება, რომელმაც კარგად იცის „რჯული“ ანუ სამართალი (ხევესურეთში „რჯული“ ხომ ხევესურულ სამართალსაც, ხევესურული ჩვეულებითი სამართლის ნორმების ერთობლიობას აღნიშნავს). სწორედ ამიტომ არის ესა თუ ის პიროვნება „რჯულის კაცი“ და ამიტომ ირჩევენ მას საჭიროების შემთხვევაში „რჯულში“.

რადგანაც სამედიატორო სასამართლოს ხევესურეთში ჰქვია „რჯული“, „რჯულის კაცების“ მიერ სადავო საქმის არსებით განხილვას, საქმის გარჩევას, ხევესურეთში „გარჯულვას“ უწოდებენ, „გარჯულების“ შედეგად გამოტანილ განაჩენს „ნარჯულევს“. მხარეები პროცესში „მერჯულეებად“ იწოდებიან, ბრალდებული მოპასუხე მხარეს „გასარჯულებელსაც“ უწოდებს.

§2. „რჯულში“ მონაწილე მხარეები

თავდაპირველად აუცილებელია აღვნიშნოთ სასამართლო პროცესში მონაწილე პირების შესახებ. ესენი არიან: მხარეთა მიერ არჩეული „რჯულის კაცები“, პროცესში მონაწილე მხარეები, მოწმეები, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა ადგილობრივი ექიმიც გახდეს პროცესის მონაწილე.

პროცესში მონაწილე ერთი მხარე არის მომჩივანი (ბრალდებული), იგივე დაზარალებული, რომელიც აღძრავს საქმეს და ზეპირად მოახსენებს თავის საჩივარს (სარჩელს) მოსამართლეებს. დაზარალებულად ითვლება ის პირი (ოჯახი), რომლის პიროვნებას, ჯანმრთელობას ან

ქონებას ზიანი მიადგა, გაუტეხეს სახელი, მიაყენეს შეურაცხყოფა. მკვლელობის საქმეზე დაზარალებულად უნდა ჩაითვალოს მოკლულის ახლობლები, მისი ის ნათესაები, რომელთაც უშუალოდ ევალებათ სისხლის აღება. მეორე მხარედ გვევლინება მოპასუხე (ბრალდებული, ეჭვმიტანილი, დამნაშავე). ეს არის დაზარალებულისადმი ზიანის მიყენებელი, დამნაშავე (თუ ეს დადასტურებულია) ან ეჭვმიტანილი დაზარალებულისადმი ზიანის მიყენებაში. აღსანიშნავია, რომ „ბრალდებულისა“ და „ეჭვმიტანილის“ იურიდიულ მნიშვნელობას შორის ქართულ ჩვეულებით სამართალში განსხვავება არ შეინიშნება, როგორც ეს თანამედროვე პროცესუალური სამართლისთვისაა დამახასიათებელი. ინფორმატორები მოპასუხე მხარეს ორივე ტერმინით იხსენიებენ, თუმცა მათ შორის რაიმე განსხვავებას არ აფიქსირებენ. მხოლოდ ძირითადში მოპასუხე მხარეს ეჭვმიტანილად იხსენიებენ უფრო მაშინ, როდესაც პროცესზე უნდა გაირკვეს დამნაშავის ვინაობა და არსებობს მხოლოდ კონკრეტული პირი, ვისაც დანაშაულის ჩადენას აბრალდებენ. იგივე პირი შეიძლება ბრალდებულადაც მოიხსენიონ (დაზარალებულს მასზე ეჭვი აქვს, რომ დანაშაული ჩაიდინა და ამიტომ ის ეჭვმიტანილია, და როგორც ეჭვმიტანილს წაუყენა ბრალი, ბრალი დასდო, რასაც დამტკიცება სჭირდება, ამიტომ ის ბრალდებულადაც მოიხსენიება, რაც სრულიად ბუნებრივია).

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე მხარეთა დაკითხვას ესწრებიან დაზარალებულისა და დამნაშავის (მოპასუხის) ახლობლები — ოჯახის წევრები, ბიძაშვილები. ამიტომ პირები, რომლებიც თან ახლავს დაზარალებულს ან მოპასუხეს (დამნაშავეს) სასამართლო პროცესზე, შეიძლება ჩაითვალოს პროცესის მონაწილეებად. დაზარალებული მასთან ერთად დამსწრე ახლობლებთან ერთობლიობაში მოიაზრება დაზარალებულ მხარედ, ხოლო მოპასუხე (დამნაშავე) თავის ახლობლებთან ერთად მოპასუხე მხარედ. უფრო მეტიც, ხშირად ჩვენებას დაზარალებულის ან მოპასუხის სახელით ოჯახის უფროსები, გვარის უფროსები, ან ბიძაშვილობაში დარბაისლობითა და სიტყვა-პასუხით გამორჩეული პირები იძლევიან და არა თვით დაზარალებული ან დამნაშავე (მოპასუხე).

§ 3. რა მიზნით იმართება „რჯული“

ჩვენი ნაშრომის პირველ თავში უკვე გავაანალიზეთ, თუ რა სახის საქმეებს განიხილავდნენ ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე სამედიატორო სასამართლოები. იგივე დანიშნულება ჰქონდა მას ხევსურეთში. უბრალოდ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ხევსურეთში „რჯული“ (სამედიატორო სასამართლო), თუ ეთნოგრაფიული მასალით ვიმსჯელებთ, ყველაზე ხშირად იმართებოდა ჭრა-ჭრილობის საქმეზე (ხევსურეთში ხშირი იყო ურთიერთშელაპარაკების საფუძველზე ურთიერთდაჭრა და სხვა), ასევე მკვლელობისა და ქურდობის საქმეებზე, განქორწინებისას, ქონების კუთვნილებაზე დავებისას, ქონებრივი ზიანის მიყენებისას და სხვა. საერთოდ, „რჯულის“ განსჯადობის საგანი შეიძლება ყოფილიყო კერძო-სამართლებრივი ხასიათის ყოველგვარი დავა¹, რომელიც წარმოიშობოდა პიროვნების ღირსების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებისათვის ზიანის მიყენების შედეგად, სახელშეკრულებო სფეროში (მაგალითად, ვალის გადაუხდელობის ან სხვა გარიგებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის), საოჯახო-საქორწინო სფეროში, ქონების კუთვნილებასთან დაკავშირებით და სხვა.

საკითხის ნათელსაყოფად, გასარკვევია, თუ რა მიზნით შეიძლება გამართულიყო „რჯული“. „რჯულის კაცების“ საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო გადასახადის, „დრამის“ ოდენობის დასადგენად (თუ დამნაშავე სახეზე იყო და აღიარებდა სამართალდარღვევის ჩადენას). ეს ხდებოდა მაშინ, როცა მხარეებს შორის იყო უთანხმოება გადასახადის, „დრამის“ ოდენობასთან დაკავშირებით, ანდა მხარეებს ამოძრავებდათ სურვილი, რომ „დრამის“ ოდენობა განესაზღვრათ „რჯულის კაცებს“, როგორც ამ საქმის მცოდნე პირებს, რათა რაიმე შეცდომას ადგილი არ ჰქონოდა. ამ შემთხვევაში „რჯული“ იმართებოდა მხოლოდ და მხოლოდ „დრამის“ ოდენობის დასადგენად. ასე ხდებოდა უმთავრესად „ჭრა-

¹ ალ. ყაძარაული და ვ. გურკო-კრიატინიც შენიშნავენ, რომ „რჯულს“ ექვემდებარება მხოლოდ კერძო-სამართლებრივი დავები, როგორც ალ. ყაძარაული აღნიშნავს. „კერძო-უფლებრივი“ დავები - (В. Гурко-Крიაкин, Хевсуретия, М., 1928, ст. 35. ალ. ყაძარაული „ხევსურეთი“, 1932, გვ. 108). აღსანიშნავია, რომ გურკო-კრიატინმა, რომელსაც ხევსურეთში 1927 წელს იმყოფებოდა, კარგად შენიშნა „რჯულის“ ჩატარების დამახასიათებელი ძირითადი პრინციპები. მისი თქმით, ეს ორგანო არ არის მუდმივმოქმედი, საჭიროებისამებრ ხდება მისი შეკრება და განიხილავს მხოლოდ კერძო-სამართლებრივ დავებს ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე. გურკო-კრიატინს შეუნიშნავს ისიც, რომ „რჯულს“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხევსურთა საზოგადოებრივ-სამართლებრივ ცხოვრებაში.

ჭრილობის“ საქმეზე. ამ დროს დაჭრილიცა და დამჭრელიც სახეზე არიან. ხშირად ურთიერთდაჭრასაც აქვს ადგილი. აქ დამნაშავეის დადგენა, ცხადია, საჭირო არ არის, „რჯულის კაცები“ ჭრილობათა სიმძიმეს აფასებენ, თითოეული ჭრილობისათვის „დრამას“ განსაზღვრავენ, რის საფუძველზეც გამოაქვთ „ნარჯულევი“ – თუ რომელმა მხარემ რამდენი დრამა უნდა გადაუხადოს მეორეს.

„რჯული“ ტარდება ასევე დამნაშავეის ვინაობის დასადგენად, როდესაც დაზარალებულის მიერ მითითებული ეჭვმიტანილი უარყოფდა დანაშაულის (სამართალდარღვევის) ჩადენას. ე.ი. ადგილი ჰქონდა მხარეთა უთანხმოებას დანაშაულის (სამართალდარღვევის) სუბიექტთან დაკავშირებით, როდესაც უნდა გარკვეულიყო: ჰქონდა თუ არა საერთოდ ადგილი „რჯულის“ მოთხოვნათა დარღვევას (შესაძლოა ეს საკითხიც დასმულიყო), ჰქონდა თუ არა ბრალდებულს დაზარალებულის მიმართ ვალდებულება წარმოშობილი ზიანის მიყენებისა და ხელშეკრულების დადების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, თუ დამტკიცდებოდა ეჭვმიტანილის დამნაშავეობა, „რჯულის კაცები“, ცხადია, „დრამასაც“ განსაზღვრავდნენ, თუ ამის საჭიროება იქნებოდა. მაგალითად, ქურდობის საქმეზე ეჭვმიტანილი უარყოფს ბრალდებას, დაზარალებული კი მას თვლის ქურდად. ასეთ საქმეზე „რჯულს“ შესაძლოა ფიცი, ან ცოდვის მოკიდება დაეკისრებინა ეჭვმიტანილისათვის თავის მართლების მიზნით, და თუ იგი უარს იტყოდა ფიცზე ან ფიცი გატყდებოდა, მაშინ ეჭვმიტანილი დამნაშავედ ჩაითვლებოდა და „რჯულის კაცები“ ამ გამტყუნებულ პიროვნებას „დრამასაც“ განუსაზღვრავდნენ. ეს მომენტი კარგად ჩანს რ. ხარაძესთან. მისი ინფორმატორის თქმით, „რჯულის კაცები“ ეტყოდნენ გამტყუნებულ მხარეს: „გახმტყუნდივ შენაო, შენ უნდა აიტანა და მაგას ჩააბარაო, თუ მაინც არ დაიჯერებ მაგასო, არ ხმტყუნდებიო, სხვებ კაცებ მაიყვანეო, ან და ჯვარჩი დაიფიცეო ანდა შახედი საფლავზედაო და ცოდვა მაიკიდეო. თუ მაინც არა და არც იმის მოქმედი და იტყვის – ვერც ჯვარჩი დავიფიცებო და ვერც ცოდვას მავიკიდებო. მაშინ მებჭენი ეტყვიან დრამა აიტანეო. მემრ თუ გატყდ ის კაცი, წამედითაო, ეტყვის და თქვენ, თქვენი ხელით ჩააბარეთაო, მოგცემთო...“¹.

აქვე უნდა შევხვით ერთ კონკრეტულ საკითხსაც ჭრა-ჭრილობის „რჯულთან“ დაკავშირებით. ძირ. ააღში, როგ. რც აღვნიშნეთ, ჭრა-ჭრი-

¹ რ. ხარაძე, ხვესურული რჯული, ანალები, ტ.1, გვ 168-169.

ლობის „რჯული“ იმართებოდა „დრამის“ ოდენობის განსასაზღვრავად, რადგან უმეტეს შემთხვევაში დაჭრილმა იცოდა, თუ ვინ იყო მისი დამჭრელი და მისი დადგენაც არაერთარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ ჯგუფურ ჩხუბში მიყენებული ჭრილობა. თუ დაჭრილმა ზუსტად არ იცოდა ჩხუბში მონაწილეთაგან კონკრეტულად რომელმა მიაყენა ჭრილობა და არც ერთი მათგანი არც აღიარებდა, რომ დაზარალებულს სწორედ მისი მიყენებული ჭრილობა ჰქონდა. ჭრილობის უშუალო მიმყენებლის დადგენას კი გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც კონკრეტული ჭრილობისათვის პასუხს აგებდა მხოლოდ მისი მიმყენებელი, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი კაცი მონაწილეობდა „რჯულში“ და დაეხმარა თუ არა მას ვინმე ამ ჭრილობის მიყენებაში. ამ შემთხვევაში პოტენციურ დამნაშავეთა გარკვეული წრე, რასაკვირველია, ცნობილია, მაგრამ დასადგენია მათ შორის რომელია დამჭრელი („მენაჭრევე“). ასეთი დეკაც „რჯულის“ მიერ წყდება. შესაძლოა „რჯულმა“ თითოეულ პოტენციურ დამნაშავეს (ექვმიტანილს) ცალ-ცალკე ფიცის დააკისროს თავის მართლების მიზნით (თუ ვერ დადგინდებოდა კონკრეტული დამნაშავე, მაშინ დაჭრილის წინააღმდეგ ყველა მოჩხუბარი, ე.ი. ყველა პოტენციური დამნაშავე სოლიდარულად აგებდა პასუხს და ერთობლივად გადაიხდიდა ჭრილობის სიმძიმის შესაბამის „დრამას“, რასაც „რჯულის კაცები“ დაადგენდნენ). ამრიგად, „რჯული“ დამნაშავეს ვინაობის დასადგენად, აღნიშნულ შემთხვევაში, ჭრა-ჭრილობის საქმეზე შეიძლება ჩატარებულიყო. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთ საინტერესო შემთხვევას ალ. ოჩიაურის არქივიდან. იგი გვიამბობს, რომ პირაქეთ ხევსურეთში, სოფელ ჩხუბაში, ცხოვრობდა ერთი თავაგდებული კაცი — მეხატე (მეხატე მისი სახელი იყო). მეხატე ჯვარში იყო დღეობაზე. როცა ხალხი დაითრო, ერთ ლებაისკარელ ალეკას მეხატესთან მოუვიდა შულლი. შულლში სხვებიც ჩაერივნენ და მეხატე ვიღაცამ ხანჯლით დაჭრა. „ვერ გაიგეს ვინ დაჭრა, რადგან შულლი ერთბაშად მოხდა და ბევრი ხანჯრები ტრიალებდა. მეხატემ აქიმი დაიყენა და ჭრილობა მოირჩინა. ამ შულლში მონაწილეები სხვებიც დაიჭრნენ ერთი მეორისაგან და ყველამ იცოდა ვინ ვისგან იყო დაჭრილი. ხევსურეთის რჯულის მიხედვით ყველამ თავ-თავის ნაჭრევიანს დააყენა აქიმი, მოარჩინა, ირჯულა და რაც რჯულმა დაადო, დრამაც მისცეს, ხოლო მეხატეს ნაჭრევი გახდა საარდარაოდ (ე.ი. სადავოდ — გ.დ.), არავინ არ იბრალებდა, ყველა უარს ამბობდა —

ჩემგან არ არის მეხატე დაჭრილიო. ამ შულღში მონაწილეები იყვნენ: ბერდია, გიგოლა, სუმბატა და სხვები, სულ ერთიმეორის სახლიკაცები (ბიძაშვილები). რაკი ეს ნაჭრევი საარღარაო გახდა, გადაწყდა დაფიცვა¹. საბოლოოდ ყველამ დაიფიცა და ხუთი ძროხა „დრამა“ გადაუხადა ერთობლივად მეხატეს¹. ამ მაგალითში კარგად ჩანს, რომ, რაკი დამჭრელი ზუსტად ვერ გაირკვა, ჩატარდა „რჯული“ სწორედ იმიტომ, რომ დადგენილიყო მოჩხუბართაგან რომელი იყო დამნაშავე, ე.ი. ჭრაცილობის საქმეზე „რჯული“ გამართა დამნაშავის ვინაობის გასარკვევად.

„რჯული“ შესაძლოა ასევე ჩატარებულიყო მიყენებულ ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად, თუ ამ საკითხზე მხარეთა შორის იქნებოდა უთანხმოება. მაგალითად, პირმა დაჭრა მეორე პირი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ გარდაიცვალა. ამან შესაძლოა მხარეებს შორის წარმოშვას დაე: მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა დაჭრილი თუ სხვა მიზეზით. ამ დავას კი „რჯული“ წყვეტს. ამ შემთხვევაში „რჯულის“ მიზანი არ არის მკვლელის ვინაობის დადგენა. ვინც ჭრილობა მიაყენა ის სახეზეა და მისი პიროვნება არავითარ დავას არ იწვევს. „რჯულმა“ მხოლოდ უნდა დაადგინოს: ამ ჭრილობამ, მისმა გართულებამ გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი, თუ იგი დაჭრიდან გარკვეული დროის შემდეგ, რაიმე სხვა მიზეზით გარდაიცვალა. საილუსტრაციოდ მაგალითს მოვიყვანთ: „უკანხადეში, ბაკალიგოს თემში, ხევსურული ჩხუბის დროს ხანჯლით დაჭრეს ერთი ახალგაზრდა ხევსური ხახონა. ეს იყო გვარად ქერაული, მამად დოლათი. ამის დამჭრელი იყო ამათივე სოფლელი დამწვარათ ხთისო და ერთი ძმა ყავდა მას – გოგოთური. ეს დაჭრილობა მოხდა გვარების ერთიმეორისადმი შეჯახების დროს, ე.ი. საერთო შულღის დროს, როცა ორივე გვარის ყველა მამაკაცი შულღობდა, ვინც სად შეხვდებოდა, დასჭრიდა. დაჭრილს ხახონას პატარა ჭრილობა ჰქონდა თავში, პირველად კარგად იყო, მაგრამ, ალბათ, სისხლი მოეწამლა; თავი დაუსივდა, შემდეგ დაჩირქდა და მოკვდა ხახონა. დოლათ ეგონა, დამწვარანი (ამ ორ ძმათ მამას დამწვარა ერქვა. ამ ძმათათვის

¹ ალ. ოჩიაური, M¹ 92, მასალები სამაბო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში. 1952, რე. №3, „ამოწვევტილი გვარები ხევსურეთში“. გვ. 31-32. ალ. ოჩიაურის მტკიცებით, დამჭრელი იყო გიგოლა, მაგრამ, რაკი მან დაიფიცა, თუნდაც ტყუილად, პასუხი დამოუკიდებლად აღარ აეო ამ დაჭრისათვის. შემდეგ ალ. ოჩიაური აღწერს, თუ როგორ ამოუწყდა მას შემდგომში მთელი ოჯახი და ამას, ბუნებრივია, ტყუილად ფიცს უკავშირებს.

აქ იტყობენ) მოგვერიდებიან და ხვესურული მოსისხლეობის წესით რიგს გვიყენებენო, მაგრამ ეს არ გამართლდა, დამწვარანი ხახონას დასაფლავებამდინ კი გარეთ არ გამოსულან. ამის დასაფლავების შემდეგ მათ თვითონვე მიუგზავნეს კაცი დაზარალებულის გვარს, ე.ი. დოლათ. ის კაცი ჩვენმა ჭრილობამ არ მოკლა, ჩვენ რად გვაბრალებენო. იმას ძველი ნაჯოხარი სჭირდა იმ ადგილზე, სადაც მერე ჩვენი ჭრილობა ქონდა. თავის ძვალი ადრევე იყო დაზიანებული და დაჩირქებული და ის კაცი იმისგან მოკვდა და არა ჩვენი ჭრილობისგანო! ცხადია, ზიანის მიმყენებელი მხარე უარყოფს მის მიერ მკვლელობის ჩადენას და უარს ამბობს „რიგი აყენოს“, რაც წესადაა ხვესურეთში მკვლელობისას, სწორედ იმ მიზეზით, რომ მათ მიერ მიყენებულ ჭრილობას კი არ გამოუწვევია დაზარალებულის სიკვდილი, არამედ ძველ ნაჯოხარს, რომლის გამოც თავის ძვალი ადრევე იყო დაზიანებული და დაჩირქებული (ხვესურეთში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც დიდი ხნის წინ თავში მიყენებული ჭრილობის შედეგები გვიან გამოვლინდებოდა და კაცი კვდებოდა კიდევ. ეს შეიძლება დაჭრიდან რამდენიმე წლის შემდეგ მომხდარიყო). არა აქვს მნიშვნელობა ჭრილობა სხვისი მიზეზით გართულდა თუ არა. აქ კი დამჭრელი მხარე აცხადებს, რომ მათ მიერ მიყენებულ ჭრილობას საერთოდ არ მოჰყოლია სიკვდილი, არამედ მანამდე მიყენებული ჭრილობა გახდა სიკვდილის მიზეზი. დაზარალებულები კი ამტკიცებდნენ, რომ ხახონას თავში წინათ არაფერი სჭირდა და ახალმა „ნაჭრემ“ (ჭრილობამ) მოკლა. ამ დავის გადასაწყვეტად გაიმართა „რჯული“, რომელმაც ბრალდებულებს მოსთხოვა ფიცით თავის მართლება, უფრო ზუსტად კი დააკისრა საფლავზე შახდომით ცოდვის მოკიდება.² საბოლოოდ მხარეები შუაკაცებმა შეარიგეს.

„რჯული“ ასევე იმართებოდა იმ მიზნით, რათა დაედგინა ქონების მესაკუთრე, ე.ი. თუ ადგილი ექნებოდა მხარეთა შორის დავას ამა თუ იმ ნივთზე (ქონებაზე) საკუთრების უფლების შესახებ. მაგალითად, დავა მიწის ნაკვეთზე ან რაიმე საქონელზე, ნივთზე. ასევე „რჯული“ ტარდებოდა საქორწინო-საოჯახო სფეროში კერძო-სამართლებრივი ურთიერ-

¹ აღ. ოჩიაური, ხვესურული მასალები, II, 1949-1950, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, გვ. 180, 180-182, ასევე იგივე მონაყოლი (სხვადასხვა ვარიანტები) გვხვდება – აღ. ოჩიაური, M¹ 84, ხვესურული რჯული, 1945, რვ. №1, გვ. 22-24, M¹ 108, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხვესურეთში, რვ. №21(3), „ჭრა-ჭრილობა ხვესურეთში“, გვ. 82-84.

² აღ. ოჩიაური, იქვე.

თობების მოსაწესრიგებლადაც, თუ ამი¹, საჭიროება იქნებოდა, მაგალითად, განქორწინებისას¹.

ბოლოს უნდა ვისაუბროთ მკვლევლობასთან დაკავშირებით „რჯულის“ ჩატარების საკითხზეც. ხევსურული სამართლისა და „რჯულის“ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, მკვლევლობის საქმეზე საერთოდ „რჯული“ არ ტარდება, რადგანაც მკვლელი სახეზეა, მკვლევლობისათვის დადგენილი გადასახადი წინასწარაა ცნობილი და არავითარი „გარჯულვა“ ამას აღარ ესაჭიროება. „დრამის“ ოდენობას ამ შემთხვევაში არ შეიძლება რაიმე დავა გამოეწვია. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ეს მკვლევლობა განზრახვით მოხდა თუ განზრახვის გარეშე (გიზმაობით თუ იშობრივ), გადასახადი მაინც ერთი და იგივე იყო და შემთხვევით ჩადენილი მკვლევლობისათვისაც კი მისი შემცირება არ მოხდებოდა (წინააღმდეგ შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა „რჯულის“ გამართვა, რომ დაედგინათ მართლა იშობრივ მოხდა მკვლევლობა თუ არა და რამდენით უნდა შემცირდეს „დრამა“, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ხევსურული რჯულით ასეთი რამ წარმოუდგენელია)². ამიტომ „რჯულის კაცების“ შეყრას ასეთ შემთხვევაში აზრი არ ჰქონდა და,

¹ განქორწინების დროს „რჯულის“ თაობაზე საინტერესო ინკორპაციას ვხვდებით ნათელა ბალაიურთან. იგი წერს: „თუ ქალი ქორწილით იყო წაყვანილი, ან აკვანში დანიშნული, ან მოტაცებული და გაროგებული. მაშინ ქმარმაც რომ თავი დაანებოს, ვერ გათხოვდება, ვიდრე საქმეს „რჯული“ არ გააჩრევს. „რჯულში“ მონაწილეობას იღებენ საქმის მცოდნე უხუცესი კაცები. ამ შემთხვევაში იქნება ოთხი კაცი: ორი ქალის მხრიდან, ორიც ვაჟის მხრიდან. ქალის პატრონებიცა და ვაჟის პატრონებიც ირივლებენ (ჩვენებას მისცემენ – გ.დ.). რჯულის კაცები, მოისმენენ, განაჩენის გამოტანის დროს მორიგარნი (მხარეები – გ.დ.) გაურიღებინან, დაბოლოს, როდესაც ყველაური გადასდება, ისინი თავ-თავის გადასახადს გადაიხდიან იმდენს, რამდენსაც რჯული მოუსჯის. ასეთ შემთხვევაში კი ყოველთვის ქალი იხდის, რადგან ის იწუნებს ქმარს. რჯულის შემდეგ, როდესაც ქალი გადაიხდის ყველაფერს, შეუძლია გათხოვდეს იმაზე, ვინც სურს (ნ. ბალაიური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, გვ. 35-36). როგორც ჩანს, განქორწინებისას „რჯული“ ჩვეულებრივად ტარდება. ზოგადი პრინციპების დაცვით, ისევე, როგორც სხვა საქმეებზე, თუმცა ხევსურული საქორწინო სამართლის თავისებურებებიდან გამომდინარე, განქორწინების „რჯული“ უნდა ჩატარებულიყო რა მართო დაქორწინებულებთან. არამედ დანიშნულებთან დაკავშირებითაც, რადგანაც ხევსურეთში ქალი აკვანში დანიშნულიდან ქმართან დაბინძურებამდე სოფლისა და იმ გვარის „ზღაღ“ ითვლება, ს.დაც ის არის დანიშნული. გარკვეულწილად იგი ქორწილების კუთვნილებაცა (ნ. ბალაიური, იქვე, გვ. 103). უფრო მეტიც: დანიშნის შემდეგ ქალი ფაქტობრივად გათხოვილად ითვლება. ყოველ შემთხვევაში, იგი ქმრის ოჯახს ეკუთვნის და მისი დანიშნა სხვა პირის მიერ მიუღებელია (ლ. მელიქიშვილი, ხევსურული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურა, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მტკლიები, 1987, გვ. 79). აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ დანიშნულთა დასაცილებლადაც „რჯული“ უნდა ჩატარებულიყო.

² დაჭრის საქმეზე კი შეიძლება „რჯულის კაცებმა“ შეამცირონ „დრამის“ ოდენობა, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიან.

ცხადია, „რჯულიც“ არ იმართებოდა. ამას ცალსახად ადასტურებს აბსოლუტურად ყველა თანამედროვე ხევისური ინფორმატორი, რომელიც ამ საკითხს ეხება. ეს გასულ საუკუნეში ნ. ხუდადოვმაც შენიშნა. იგი აღნიშნავს, რომ მკვლელობის გარდა სხვა საქმეებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეების მიერ არჩეული მოსამართლეები წყვეტენ¹ (საერთოდ, ხევისურეთში მკვლელობის საქმეს შუაქაცები აგვარებდნენ, რაც „რიგის ყენებასთან“ და მასთან დაკავშირებულ ხანგრძლივ პროცედურებთანაა დაკავშირებული. იშობრივ ჩადენილი მკვლელობისას შუაქაცები შერიგებას ბევრად იოლად აღწევდნენ, ვიდრე განზრახნი მკვლელობის შემთხვევაში, მხოლოდ „დრამის“ ოდენობაზე ეს არავითარ გავლენას არ ახდენდა).

მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ მკვლელობის საქმეზე „რჯული“ საერთოდ არ ტარდება. მკვლელობისას „რჯული“ არ იმართება მაშინ, როდესაც მკვლელი ცნობილია და ის არც უარყოფს მის მიერ მკვლელობის ჩადენას და მკვლელობისას „დრამის“ განსაზღვრა არავითარ დავას არ იწყებს. ცხადია, როცა მხოლოდ ერთი მკვლელობაა ჩადენილი (ან შურისძიებით საპასუხო მკვლელობა) და მკვლელიც ცნობილია, ამან არ შეიძლება რაიმე დავა გამოიწვიოს და „რჯულიც“ არ იმართება. მაგრამ, როცა დამნაშავე უცნობია და არსებობს ეჭვი კონკრეტულ პიროვნებაზე (ან პიროვნებებზე), რომელიც უარყოფს დანაშაულის ჩადენას, ამ შემთხვევაში „რჯულის“ გამართვა მკვლელობის საქმეზე „რჯულითაა“ გათვალისწინებული, თანაც ჩვეულებრივ და საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს. ყველა თანამედროვე ინფორმატორი, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება, როგორც ზემოთ ვთქვით, ამბობს, რომ მკვლელობის საქმეზე „რჯული“ არ იმართება, მაგრამ თუ მკვლელი არ არის დადგენილი და არსებობს ეჭვი კონკრეტულ პიროვნებაზე, მკვლელის გამოსავლენად იმართება „რჯული“, რომელიც ძირითადად ფიცის მეშვეობით ადგენს დამნაშავეს. „რჯულის“ ორგანიზება ამ შემთხვევაშიც შუაქაცების მეშვეობით ხდება, რაც სასურველია სწრაფად მოხდეს, რადგანაც მკვლელობაში ეჭვიც კი, რომელიც გაფანტული არაა, საფუძველია მოკლულისა და ეჭვიმტანილ ოჯახებს, გვარებს შორის მტრობის დაწყებისა. ამიტომ ასეთ დროს „რჯულის“ ჩატარება აუცილებელია, რათა ბოე ოსდაბოლოს გაირკვეს,

¹ Н. Худатов, Заметки о Хевсуретини, 1887, ст. 16.

არის თუ არა ექვემდებარებული მკვლელი. ერთ-ერთი ხვესური ინფორმატორი ხეთისო ქერაული (სოფელი უკანა ხადე) ამბობს: „მოხდა მკვლელობა, მაგრამ მკვლელი არაა გამოვლენილი, მაშინ მაპკედრის პატრონი შუაკაცებს გაუგზავნის ექვემდებარებულს; ვირჯულოთ, „შენ მაპკალო“ ან მოხდება ასეც. კაცი გაიგებს, რომ მას აბრალიან მკვლელობას, მაშინ ის თვითონ გაუგზავნის კაცს: „რატომ მამრალეხო, ვირჯულოთო!“ ამის შემდეგ ხდება „რჯულის კაცების შეყრა“. ასეთი ცნობები კონკრეტული მაგალითებითურთ 1977 და 1988 წლებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალიდან საკმაოდ ბევრია, რაც ცალსახად ადასტურებს მკვლელობის საქმეზე დამნაშავეს ვინაობის დასადგენად, „რჯულის“ ჩატარებას ხვესურული წესების, „რჯულის“ შესაბამისად.

შესაძლოა პიროვნება ჯგუფურ ჩხუბში მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა და ზუსტად არ არის ცნობილი, თუ ვინ მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა მას, თან ჩხუბში ყველა მონაწილე (ორი ან მეტი) უარყოფდა მის მიერ სასიკვდილო ჭრილობის მიყენებას და არაა გამორიცხული ერთმანეთისათვის გადაებრალეხინათ ეს. ამ დროს (ისევე, როგორც ჯგუფურ ჩხუბში დაჭრის დროსაა) აუცილებლად უნდა გარკვეულიყო, თუ კონკრეტულად ვინ მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა ჯგუფურ ჩხუბში მონაწილე კონკრეტულ პიროვან, რადგანაც ხვესურული „რჯულით“ მხოლოდ სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელს, მხოლოდ უშუალო მკვლელს ეკისრება პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის. ის ხდება შურისძიების ობიექტი (ცხადია, თავის უახლოეს ნათესავებთან ერთად) და მან უნდა „აყენოს რიგი“².

ასეთ შემთხვევებშიც მკვლელის ვინაობის დასადგენად, ე.ი. მკვლელობის საქმეზე შეიძლება „რჯული“ გაიმართოს. საილუსტრაციოდ რამდენიმე შემთხვევას მოვიყვანთ ისევე ალ. ოჩიაურის არქივიდან: შულლის დროს ჭრილობის შედეგად მოკვდა ლაგაზა არაბული. მას მიყენე-

¹ მ. კეკელია, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე; ეთნოგრაფიული რეველი, 1977 წ. №2, გვ. 76.

² თუ ვერ დადგინდა უშუალოდ მკვლელი, მაშინ შურისძიების ობიექტი შეიძლება ჯგუფური შეტაკების ყველა მონაწილე გახდეს, ე.ი. ყველა ის, ვინც პოტენციურად შესაძლებელია მკვლელი ყოფილიყო. თუმცა თავი რომ „გაიბრას“. ამისათვის დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოკლას მხოლოდ ერთი მათგანი (ან მისი უახლოესი ნათესავი, რომელიც შურისძიების ობიექტთა წრეში შედის, შეორეს მოკვლის შემთხვევაში კი თავი დაეღება. ე.ი. თვითონ ხდება შურისძიების ობიექტი და რიგი უნდა აყენოს). „რიგის ყენება“ კი თითოეულმა მათგანმა ერთობლივი ძალებით უნდა განახორციელოს, ისევე როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება.

ბული ჰქონდა ხუთი ჭრილობა: ორი ჭრილობა თავში, თავში ერთიმეორის ახლო ჰქონდა ჭრილობები და ძალიან აწუხებდა. ის ვერ ერკვეოდა, თუ რომელი ჭრილობა აწუხებდა უფრო, ლაგაზა ბაცალგოში წაიყვანეს. „აქიმი“ აქ დადიოდა და უხვევდა ჭრილობებს (ნაჭრეებს), მას ნაჭრეები მიაყენა ორმა პიროვნებამ: სოფელ ჭიეში მცხოვრებმა მაჯიგათ იამ და გუდანში მცხოვრებმა გაგათ წიქამ. ლაგაზას ორივე ჰყავდა დაჭრილი. ლაგაზას მღვთმარეობა თანდათან გართულდა. ჯერ ფეხზე იდგა და ბოლოს ლოგინად ჩავარდა. გახდა საქმე საარდარად. არ იყო ცნობილი ვისი „ნაჭრევი“ კლავდა: წიქასი თუ იასი. ბოლოს ლაგაზა გარდაიცვალა და საქმე გაურჩვეელი დარჩა; უცნობი იყო „ვისზე უნდა შევარდნილიყო თავისხლი“, ე.ი. ვის უნდა გადაეხადა მკვლელობის საზღაური, ვის უნდა ეყენა რიგი და დამდგარიყო მეთავედ. ის კი გაიგეს რომელმა „ნაჭრევმა“ მოკლა, მაგრამ ვისგან იყო იგი „დაკრული“, ეს უკვე ვეღარ გაირკვა, ამ საქმეზე გაიმართა „რჯული“ და წიქას ფიცი უთვალეს: „დაიფიცე, რომ ის შენი ნაჭრევი არ იყო“. წიქამ გუდანის ჯვარში ფიცი ვერ გაბედა და სთქვა: მე არ ვიცი, რომელი ნაჭრევი იყო ჩემი დაკრული. მაჯიგათ იამ კი თქვა: „მე დავიფიცავ რომ ჩემი „ნაჭრევი მეორე იყო, რომელმაც მოკლა ის არ იყო“. ადგა და იამ მართლა დაიფიცა და „კაცის თავი გადაიგლო“¹.

მეორე შემთხვევა: გუროელთა და შატილიონთა შულში დაიჭრა და ამ ჭრილობისაგან გარდაიცვალა ერთ-ერთი შატილიონი ხევსური. მისი „ნაჭრევი“ გახდა საარდარად, მას გუროელები: ჩონტარა და სიგირგალი ებრძოდნენ; ისინი ერთმანეთს აბრალებდნენ მკვლელობას: „არა შენმა ნაჭრევმა მოკლა, არა შენმა“. რჯულმა სიგირგალის ფიცი უთვალა. მან თექვსმეტი კაცით ხელი მოკიდა და დაიფიცა², თავი დაედო ჩონქარას³. ამ მაგალითში კარგად ჩანს, რომ ერთ მხარეს მოჩხუბარნი მოწინააღმდეგის სიკვდილის შემდეგ უკვე ერთმანეთს აბრალებენ მისთვის სასიკვდილო ჭრილობის მიყენებას.

¹ ალ. ოჩიაური, M¹108 მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, რე. № 19(5), „ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში“, გვ. 56.

² კაცისთავზე თუ იფიცდნენ, თექვსმეტი კაცი უნდა მოჰკიდებოდა ხელს სახლისკაცებიდან. თუ ღიათავე იყო ფიცი, მაშინ რვა კაცი უნდა ყოფილიყო ხელის მამკიდე და მაშინ იყო ფიცი სრული. თუ აშლინი „ხელის მამკიდე“ (იგივე თანამოფიცარი) არ მოგროვდებოდა, მაშინ ფიცი გატეხილად ჩაითვლებოდა და გამტყუნდებოდა ის. ვისაც ფიცი ჰქონდა რჯულისაგან დაეკლებული.

³ ალ. ოჩიაური, იქვე, რე. № 11, „მოსისხლეობა ხევსურეთში“, გვ. 128.

ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანოთ გვი-
ამბობს სოფელ შატილის მკვიდრი ხეთისო ჭინჭარაული: „სოფელ მუ-
ცოში ცხოვრობდა ერთი ვაჟკაცობით სახელგანთქმული კაცი ჩხუბრე
(ჩხუბია) სუხიას ძე დაიაური. ამავე დროს მანგიათ მამაში ცხოვრობდა
მგელია ბოცოს ძე ჭინჭარაული. მათ ჩხუბი მოუვიდათ ტყვიების გამო,
რომელიც მგელიას ემართა ჩხუბრესათვის. ჯერ ცარიელი ხელით გაარ-
ტყეს ერთიმეორეს. მანგიათ მამისავე კაცი იყო წიქა (მეტსახელად
ბრუცას ეძახდნენ). მას ჰყავდა შვილები: ნიკო, ჩალხია და ბათაკა,
მგელიას ერთი ძმაც ჰყავდა, ვაჟკაცად ცნობილი სამუკა, ჩხუბრემ ჯერ
მგელიას სცემა, მერე მანგიათ დაუწყო გინება. მერე კი სამუკამ დაკრა
ჩხუბრეს. ბრუცათ ნიკომ ხანჯალი დაარტყა, ჩალხიამ ჯოხი იმავე
ნახანჯლარში, ჩხუბრე შინ წავიდა. ნახანჯლარმა და ნაჯოხარმა თან-
დათან ტკივილი დაუწყო, თავი დაუჩირქდა და გარდაიცვალა. საჭირო
გახდა რიგის ყენება. მაგრამ ჩხუბრეს წინააღმდეგ მოშულდარებმა ერთ-
მანეთს დაუწყეს დაბრალება. ბრუცა ამბობდა: „ჩემმა შვილებმა მგელიას
გულისად იშულლეს, მერე მაგათმა ნაჭრევმა არც მოკლა, სამუკამაც
დაკრა ჯოხი და იმან მოკლაო. სამუკა ეუბნებოდა: მართალია, ჩენის
გულისად იშულლეს, მაგრამ დრამა და სისხლისათვის გაძლოლა ხელს
მოსდევს, მე არც დამიკრავს რამე ჩხუბრესათვის. გახდა საფიცრად:
„რჯულმა“ ფიცი ბრუცათ დაავალა. თექვსმეტი კაცი მაიკიდეს ხელს
სახლიკაცები და გადიგდეს ჩხუბრეს სისხლი“¹.

ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, რომ, როდესაც
გასარკვევია კონკრეტულ პიროვნებათაგან რომელია მკვლელი, იმართე-
ბა „რჯული“, რომელიც მიზნად ისახავს იმ დამნაშავეს ვინაობის დად-
გენას, რომელმაც სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

მკვლელობის საქმეზე „რჯული“ შეიძლება გამართულიყო არა მარ-
ტო მკვლელის ვინაობის დადგენის მიზნით, არამედ „დრამის“ ოდენო-
ბის განსაზღვრისათვისაც. ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მაშინ,
თუ მხარეებს შორის იქნებოდა შეუთანხმებლობა „დრამის“ ოდენობაზე.
ამას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა თუ ძალზედ გართულებული შემთხ-
ვევა იქნებოდა. მაგალითად, როდესაც მომხდარ მკვლელობას მოჰყვა

¹ აღ. ოჩიაური, '108, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, რე. №10, „მო-
სისხლეობა ხევსურეთში“, გვ. 112-113.

ამის შემდეგ დაიბრუნდა მოკლეს სამუკა, რიგი არც ერთმა არ უყენა და ესეც უნდა
ყოფილიყო მიზეზი, რომ მოხდა სისხლის აღება.

შურისძიება — ორივე მხრიდან რამდენიმე მკვლელობას ან ამასთან ერთად დაჭრასაც ჰქონდა ადგილი, — აუცილებელი ხდება გადასახადის განსაზღვრა ყველა იმ მკვლელობისა თუ დაჭრის გათვალისწინებით, რომელიც პირველ მკვლელობას (ან დაჭრას) შურისძიებისა და საპასუხო მკვლელობათა მთელი ჯაჭვის სახით მოჰყვა¹. ამ შემთხვევაში შესაძლოა მხარეთა თანხმობით, მტრობის შესაწყვეტად, სწორედ მკვლელობის საქმეზე გაიმართოს „რჯული“. როდესაც მომხდარ მკვლელობას მოჰყვება შურისძიება და ორივე მხრიდან მკვლელობათა და სხვა დანაშაულთა მთელი ჯაჭვი, ყველა ეს დანაშაული ერთობლივად იხილება „რჯულის“ მიერ, განსაზღვრავენ ორივე მხრიდან მიყენებული საერთო ზიანის ქონებრივ გამოხატულებას, ნაკლები გადასახადი აკლდება მეტს და დარჩენილი ნაშთი დაეკისრება მხარეს, რომელმაც მეტი ზიანი მიაყენა, ე.ი. ისევე, როგორც ძველ ქართულ სამართალში, ხვესურეთშიც ადგილი აქვს ერთ-ერთი მხარის ზიანის მიყენების გამო წარმოშობილი ვალდებულების შეწყვეტას, ვალდებულების გაქვითვის საფუძველზე. იგივე მექანიზმი მოქმედებს არა მარტო მკვლელობისა და მასთან დაკავშირებული შურისძიებიდან გამომდინარე დანაშაულობების ერთობლივად განხილვისას, არამედ ორმხრივად ჩადენილ სხვა დანაშაულთა, განსაკუთრებით კი დაჭრის, „რჯულის“ მიერ განხილვის დროსაც.

ალ. ოჩიაური აღწერს ასეთ შემთხვევას: მოხდა ქალის მკვლელობა, საპასუხოდ კი მოკლეს ორი კაცი, შეიკრიბა „რჯული“, „რჯულმა“ ღიაციის თავში ნახევარი თავი გაბრა. დარჩა ერთი კაცის თავი სრული და ერთი ნახევარი. ერთი კაცის თავის ნახევარში უნდა ეზლო დრამით და ერთი კაცის თავი რჩებოდა რიგი საყენებლად. კაცის თავის ნახევარში უნდა მიეცა ოცდაათი ძროხა, მაგრამ „რჯულის კაცებმა“ ათი ძროხის „დრამა“ გააბრეს მოკლული ქალის ძმის იმედას მიერ გაწეულ ხარჯებში და დარჩა ოცი ძროხის დრამა...“².

ხვესურეთში „რჯულის“ ჩატარება ადამიანის უბრალოდ გარდაცვალების შემთხვევაშიც შეიძლება მოხდეს, როდესაც მის სიკვდილში არავის არ მიუძღვის ბრალი, ის არავის მოუკლავს, მაგრამ დაზარალებული

¹ ხვესურეთში გვარებს შორის შუღლი საკმაოდ ხშირად ხდებოდა. ამ გვარების წარმომადგენლები, სადაც შეხვებოდნენ, შუღლობდნენ ერთმანეთთან, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვებოდა. ჭრიდნენ ერთმანეთს. რასაც შესაძლოა სასიკვდილო შედეგებიც მოჰყოლოდა.

² ალ. ოჩიაური, M108, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხვესურეთში, რე. № 11, „მოსისხლეობა ხვესურეთში“. გვ. 122.

მხარე პასუხს ითხოვს ამ მიმღე შედეგისათვის კონკრეტული პიროვნებისაგან, რომლის ხელითაც კაცი მკვდარი არ არის, მაგრამ მას რაღაც ირიბი კავშირი აქვს იმასთან, რომ ეს მიმღე შედეგი დადგა. ეს ხდება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი პიროვნება მეორეს სადმე გააგზავნის ან წაიყოლებს და სრულიად შემთხვევით, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ეს უკანასკნელი ამ გზაზე გარდაიცვლება. ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას ისევე და ისევე ალ. ოჩიაურის საარქივო მასალებში ვხვდებით: „კაცი თუ ისე მოკვდა, რომ ბრალი სხვას ედება, და მისი ხელით კი არ არის მომკვდარი, მკვდრის პატრონი ცდილობს თავი დასდოს და ის კი თავს არ იღებს. მაგის სიკვდილი ჩემი ბრალი არ არისო, ასე საარღარაოდ რომ გახდება საქმე, მაგალითად, თუ ვინმემ სადმე გაგზავნა ან გაიყოლა კაცი და გზაზე შემთხვევით მოკვდა, მკვდრის პატრონი იტყვის: მაგას რომ არ გაეგზავნა არ მოკვდებოდაო. თავი უნდა დაიდოს, თუ არა მოვკლავო. აუტყდება კაც-შუაკაც და გაიყვანს „რჯულში“. „რჯული“ ასეთ შემთხვევაში გაათავებს (გადაწყვეტს) სამარხს. სამარხი ქვიან იმას, რომ ამ შემთხვევაში ბრალდებულმა უნდა გადაიხადოს თქვესმეტი ძროხა ღრამა. შუაკაცები „ღრამას“ მიუტანენ დაზარალებულს და მერე ბრალდებულს მიიყვანენ იმის სახლში საკლავით და სასმლით და მოხდება შერიგება“¹. ამ შემთხვევაში „რჯული“ იმართება იმ მიზნით, რომ განსაზღვროს ბრალდებულის როლი პიროვნების გარდაცვალებაში და დააკისროს „ღრამა“, რომელიც მან უნდა გადაუხადოს დაზარალებულ მხარეს. როგორც ალ. ოჩიაური აღნიშნავს, ასეთ ღროს დაზარალებულმა მხარემ შეიძლება ბრალდებულისაგან „თავის დადება“ ანუ სწორედ მკვლელობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, „რიგის ყენება“ მოითხოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდებულის მოკვლით იმუქრება. ბრალდებული მხარე კი, ცხადია, უარყოფს მისი მხრიდან „თავის გათავების“ ვალდებულებას, რადგანაც ხევსურული „რჯულით“ მეხელედ ანუ მკვლელად და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლად მკვლელობისათვის ითვლება ის, ვისი ხელითაც, უშუალოდ ვის მიერაც არის მოკლული პიროვნება, ბრალის ფორმის მიუხედავად. აქ კი მკვლელობას, როგორც ასეთს, საერთოდ არა აქვს ადგილი. კაცი სრულიად შემთხვევით კვდება, ისე რომ, მის გამგზავნის ან თან გამყოლებელს ამაში ხელი არა აქვს და ბრალი არ მიუძღვის. მაგრამ „რჯული“ მას მაინც აკისრებს ე.წ. „სა-

¹ ალ. ოჩიაური, M'84, ხევსურული რჯული, 1945, რკ. № 1, გვ. 10.

მარხოს" — 16 ძროხა დრამის გადახდას. როგორც ჩანს, „რჯული“ გარკვეულწილად იზიარებს დაზარალებული მხარის პოზიციას: ბრალდებულს რომ არ გაეგზავნა, ან თან არ გაეყოლა არ მოკვდებოდა და ამ მოსაზრებით აკისრებს, თანამედროვე გაგებით, სრულიად უდანაშაულო პიროვნებას სასჯელს, რომელიც ხევსურული „რჯულით“ თავში მიყენებული უმძიმესი ჭრილობის საზღაურის ტოლფასია — 16 ძროხა.

ამ მაგალითით ძალიან კარგად ჩანს, თუ ხევსურულ ჩვეულებით სამართალში რამდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტური შერაცხვის პრინციპსა და რამდენად დაკნინებულია დანაშაულის სუბიექტური მხარე. მთავარია ის, რომ სახეზეა მძიმე შედეგი, ადამიანის გარდაცვალება (თუნდაც სრულიად შემთხვევითი), ის არავის მოუკლავს. აქედან გამომდინარე, ლაპარაკიც კი ზედმეტია, რომ ვინმეს იურიდიული მნიშვნელობით ბრალი მიუძღვის ამაში. მაგრამ რაკი ეს მძიმე შედეგი არ დადგებოდა გარდაცვლილი ვიღაცას რომ არ გაეგზავნა სადმე, ამიტომ გამგზავნმა უნდა აგოს პასუხი ამ შედეგისათვის.

§ 4. შუაკაცების როლი „რჯულის“ ჩატარებაში

როგორც აღინიშნა, სამედიატორო სასამართლო, „რჯული“, ეს არ იყო მუდმივმოქმედი სასამართლო დაწესებულება. მისი ჩატარება მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და მხარეთა თანხმობით ხდებოდა. მათ დათანხმებას „რჯულის“ მოწვევაზე კი ახდენდნენ შუაკაცები — უფრო ზუსტად კი „კაცშუაკაცები“, როგორც მათ ხევსურეთში უწოდებენ. როდესაც ხევსურეთში მოხდებოდა მკვლელობა, დაჭრა და სხვა კერძო-სამართალდარღვევა, შურისძიების, თვითგასამართლების თავიდან ასაცილებლად (რაც საკმაოდ დიდი ალბათობით შესაძლოა მოჰყოლოდა ზოგიერთ დანაშაულს) საქმეში ერეოდნენ შუაკაცები (იგივე შუამავლები), რომლებიც უზრუნველყოფდნენ „რჯულის“ ჩატარებას მხარეთა მორიგების მიზნით. შუაკაცებად ხევსურეთში გვევლინებიან ხალხში უდიდესი ავტორიტეტის მქონე პიროვნებები, რომელთაც საზოგადოებაში დიდი გავლენა და პატივისცემა აქვთ, კარგად ერკვევიან „რჯულში“, იცნობენ როგორც პატიოსან და სიტყვაპასუხიან ხალხს. შუაკაცს უნდა შეძლებოდა რთულ სიტუაციაში სათანადო სიტყვების მონახვა, უპირველეს ყოვლისა, აღელვებული დაზარალებულის დასამშვიდებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდნენ მათზე დაკისრებული მისიის შესრულებას.

აღ. ოჩიაური შუაკაცებს ასე ახასიათებს: „... შუაკაცები იყვნენ ისეთი ხალხი, ვის სიტყვასაც ხალხში გავლენა ჰქონდა და მრავალი მტერი შეურიგებია, საამისო გამოცდილებით და გავლენით საესე ხალხი იყო... შუაკაცების მოვალეობას მტრების შერიგება შეადგენდა. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მესისხლეობა და შერიგებით დაემთავრებინათ საქმე“.¹ უმნიშვნელოვანესია შუაკაცების როლი მკვლელობის დროს მხარეთა შერიგების საქმეში. სწორედ შუაკაცები ხვდებიან საკლავით მკვლელობის შემდეგ მკვლელის სახლ-კარის დასარბევად წამოსულ მოკლულის გვარს, სწორედ შუაკაცები ახერხებენ დაითანხმონ მოკლულის ოჯახი „რიგის ყენებაზე“. ამას შეიძლება რამდენიმე თვე და წელიც დასჭირვებოდა, მაგრამ „რიგის ყენებაზე“ დათანხმება ეს დასაწყისია მხარეთა შერიგების ძალზედ ხანგრძლივი პროცესისა და არბილებს მოკლული მხარის მისწრაფებას შურისძიებისაკენ. შუაკაცებს შესაძლოა არაერთხელ დასჭირდეს მისვლა (საჭიროებისას სხვადასხვა შემადგენლობით) „ჭირის პატრონთა“ დასაყოლიებლად. ამ დროს ძალზედ ძნელია მონახო ისეთი სიტყვები, რომელიც შურისძიების გრძნობით შეპყრობილ ჭირისუფალთა გულს მოალობს და მათ „რიგის ყენებაზე“ თანხმობას ათქმევენებს.²

შუაკაცები ითანხმებენ ასევე მოკლულის მხარეს პირშესამყრელოსა და თავის გათავებაზე, ამასთან, მკვლელობის საქმეზე შერიგების ყველა

¹ დ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულებითი სამართლის კვლევის ისტორიიდან. კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, გვ. 82.

² „რიგის ყენება“ ეს მკვლელობის საქმეზე მხარეთა შერიგების საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ხვესურულმა „რჯულმა“ შექმნა, როგორც სისხლის აღების ალტერნატიული მექანიზმი. „რიგის ყენება“ აფერხებს შურისძიებას და არცთუ იშვიათად მკვლელის მხარე, რომელიც „რიგს უყენებს“ მოკლულის მხარეს და სათანადოდ შესარულებს მასთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნას, აღწევს სისხლის აღების თავიდან აცილებას და დიდი დროისა და ხანგრძლივი ძალისხმევის შემდეგ ხდება მხარეთა საბოლოო შერიგება — „თავის გათავება“. „რიგის ყენება“ გულისხმობს ყოველწლიურად, დათქმულ დღეს (ეს უნდა იყოს რაიმე დღეობა დღე, მაგალითად, ათენგენობა და სხვა) მოკლულის ოჯახისათვის მეხელის (მკვლელის) მიერ საკლავის გაგზავნას, მანამ, სანამ არ მოხდება თავის გათავება, ე.ი. საბოლოო შერიგება. ქალის მკვლელობის შემთხვევაში „რიგის ყენება“ წელიწადგამოშვებით ხდება. საერთოდ, მკვლელობის დროს შერიგების პროცესი მრავალ კომპონენტს შეიცავს, ესენია: „მიწადში“ ან „მიწად შასელის“ საკლავი, რომელსაც მეხელის ოჯახი უგზავნის დაზარალებულ მხარეს მოკლულის დაკრძალვამდე. იგი მაქვთ შუაკაცებს და მიცვალებულის სულისმოსახსენებელი საკლავია. ყოველი კონკრეტული მოლაპარაკების წინ შუაკაცებს მიჰყავთ ასამტყულო საკლავი — შუაკაცები აუტყაბენ დაზარალებულ მხარეს, რომ ისინი დაუთანხმონ შერიგებას. ეს აუცილებელია რიგის ყენებაზე, პირშესამყრელოსა და თავის გათავებაზე მოკლულის მხარესთან მოლაპარაკების დაწყებისათვის. აუცილებელია ასევე „რიგის ყენება“, აგრეთვე პირშესამყრელოები (შერიგება): ზიდაშელეკის, მკვლელის ოჯახის წევრების,

ელემენტან დაკავშირებით შუაკაცები მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებენ. ასე რომ, შუაკაცები მკვლევლობის შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ მხარეთა შერიგებისას. ამ დროს ცნობილია, რომ „გარჯულვა“ არ ხდება. შუაკაცები თუ მოასერხებდნენ, სხვა საქმეებზეც აღწევდნენ მხარეთა შერიგებას „რჯულის“ გარეშე, როდესაც მათ შორის არ იყო გაურკვევლობა „დრამის“ ოდენობაზე, ასევე ბრალდებულის დამნაშაუეობასთან დაკავშირებით. მაგალითად, დაჭრის საქმეზე და სხვა; ერთ-ერთი ინფორმატორი ამბობს, რომ ზოგჯერ შუაკაცები „რჯულის კაცებს“ არც შეყრიდნენ და ისე მიატანიებდნენ დრამას¹. ალ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ შერიგების მიღწევის შემთხვევაში შუაკაცებს ორივე მხრიდან ეძლეოდათ გასამრჯელო, კერძოდ, საქონლის გამლები-ისაგან ერგებოდათ ძროხაზე ნახევარი ცხვარი, ე.ი. ნახევარი ჩარეჭი სპილენძი, ამღებისაგან ძროხაზე ცხვარი, ე.ი. ჩარეჭი სპილენძი².

მცირე გადახვევის შემდეგ დაუბრუნდეთ ჩვენს განსახილველ თემას და შუაკაცთა როლს რჯულის ჩატარების საქმეში. შუაკაცები ყოველნაირად ცდილობდნენ დაეყოლიებინათ მხარეები (განსაკუთრებით კი დაზარალებული), რათა მათ თანხმობა განეცხადებინათ „რჯულის“ მეშვეობით შერიგებაზე; ეს თანხმობა ნიშნავდა იმას, რომ დაზარალებული უარს აცხადებდა შურისძიებაზე, ხოლო მოპასუხე მზად იყო დაეკმაყოფილებინა დაზარალებულის მოთხოვნა, ე.ი. გადაეხადა მისთვის რჯულის მიერ დადგენილი „დრამა“ ანუ გადასახადი.

შუაკაცები ცდილობენ გონივრული სიტყვით გავლენა მოახდინონ

თვით მეხელის. აუცილებელია მეხელის ახლობლების მიერ მოკლულის ახლობლებისადმი ხათრის გაწევა - ე.წ. პატივი. არის სხვადასხვა გადასახადები: სავეარო, სამძო, სადღო, სამამძო, სადო. თითოეული მათგანი გულისხმობს საკლავს და ზოგიერთი - ხუთ ძროხა „დრამას“. ბოლოს სდება თავის გათავება, რაც შესაძლოა, მკვლელობიდან მრავალი ათეული წლის შემდეგ მომხდარიყო, უფრო ხშირად მკვლელის გარდაცვალების შემდეგ. იმ მიზნით, რომ შთამომავლებს შორის აღარ გაგრძობულიყო შურისძიება და მტრობა. თავის გათავებისას მეხელის (მკვლელის) მხარე იხდის 16 ძროხა ხელით დრამას (მატილში ნახევარი ხელითაა, ნახევარი ფეხით) და შერიგების ნიშნად ხდება ნახკეზ ფეხის დაღება - ბალახის ღეროს, ჩალას სამჯერ გაკანძავენ. მრგვალ ფორმას მისცემენ, დაღებენ მიწაზე და შუაკაცი და მხარეები ადგამენ ფეხს. შერიგების თითოეული ეს კომპონენტი განსაზღვრული წესებით ტარდება, შესაბამისი რიტუალების დაცვით, რაკი ეს პროცესი სამედიატორო სასამართლოსთან არაა დაკავშირებული და შერიგებას ფაქტობრივად შუაკაცები ახდენენ და არა „რჯულის კაცები“. ამიტომ ეს საკითხები სცილდება მოცემული ნაშრომის ფარგლებს და ცალკე დაწერილებით, მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს.

¹ მ. კეკელია, მასალები ხვეუსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი № 4, 1977, გვ. 29.

² დ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, იქვე.

მხარეებზე, დაარწმუნონ ისინი მტრობის გაგრძელების უპერსპექტივობაში. ხშირად მხარეები უჯერებენ ამ ავტორიტეტულ შუაკაცებს და თანხმდებიან „რჯულზე“. მოვუსმინოთ თანამედროვე ინფორმატორებს: „როცა საარდარაო საქმეა, ორივე მხარის ახლობლები გამოძებნიან კაც შუაკაცებს და მიგზავნიან ორივე მხარესთან“¹, „თუ ორივე მხარეა დაჭრილი, ვისი ბრალითაც მოხდა შუღლი, იგი უგზავნის მეორე მხარეს შუაკაცს შერიგებაზე დასაყოლიებლად, თუ ერთი მხარეა დაჭრილი, მაშინ დამჭრილი უგზავნის მეორე მხარეს შუაკაცს სათანადო პატივით. დაზარალებულმა შეიძლება არ მიიღოს პატივი და უარი თქვას შერიგებაზე და კიდევ სხვა შუაკაცების მიგზავნა გახდეს საჭირო“.² ცხადია, რომ დამნაშავე მხარე უფრო მეტად ცდილობს შერიგებას. შესაძლოა, შუაკაცები თვითონ მხარეებმა მიუგზავნონ მოწინააღმდეგე მხარეს „რჯულის“ მეშვეობით შერიგებაზე დათანხმების მიზნით. ხშირად შუაკაცები (ავტორიტეტული პირები) თვითონაც შეიკრიბებოდნენ ხოლმე და თავად ითავებდნენ მხარეთა შერიგებას, რათა მტრობა შეჩერებულიყო და უფრო მძიმე შედეგები არ დამდგარიყო, ამიტომ ისინი თავისი ინიციატივით სთხოვდნენ მხარეებს შერიგებას. მოუწოდებდნენ, რომ „რჯულს“ მიანდონ საქმის გადაწყვეტა³.

§ 5. „თაოპირად გარიგება“

ხევსურეთში მოწინააღმდეგეთა შერიგება შეიძლება მომხდარიყო უშუალოდ მხარეთა მიერ, სხვათა ჩარევის გარეშე, კერძოდ, შუაკაცებისა და „რჯულის კაცების“ დაუხმარებლად. როდესაც მხარეები თვითონვე შეთანხმდებოდნენ, რომ გადასახადი „დრამა“, მაგალითად, ჭრილობის სიმძიმის შეფასებიდან გამომდინარე, არის ამდენი, და ამდენი და გადასახადის ოდენობა არ იწვევდა მხარეთა შორის დავას, ამასთან, „დრამის“ გადახდის ვალდებულების მქონე მხარე თვითონ მიუტანდა მთელ „დრამას“ დაზარალებულს, რის შედეგადაც მხარეები შერიგდებოდნენ. მხარეთა ასეთ უშუალო შერიგებას შუაკაცებისა და „რჯულის კაცების“ გარეშე, ხევსურეთში ეწოდება „თაოპირად გარიგება“. ალ.

¹ მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკული № 2, 1977, გვ. 78.

² იქვე, გვ. 84.

³ იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკული № 5, გვ. 39, იქვე, გვ. 71.

ოჩიაური „თაოპირად გარიგების“ უპირატესობაზე საუბრობს: „თაოპირად გარიგების უპირატესობა ის იყო, რომ დამნაშავე და დაზარალებული, თუ გონივრები იყვნენ, დანაჭრეების ღირებულების შეფასებაში თვითონ შეთანხმდებიან, მაშინ საშუაკაცო აღარ გაუვიდოდა... აქ კარგა გასაჯელი იყრიდა თავს. „თაოპირად კი რიგდებოდნენ, მაგრამ არა ხშირ შემთხვევაში“¹. აღ. ოჩიაურს უშუალო შეხება ჰქონდა ხევსურულ რჯულთან და მისი ბრწყინვალე მცოდნე გახლდათ. ამიტომ, როდესაც იგი აცხადებს, რომ „თაოპირად გარიგება“ არცთუ ხშირად ხდებოდა, აუცილებლად უნდა ვენდოთ მას. მით უმეტეს დღეს უკვე შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა სიხშირით ახერხებდნენ ხევსურები „თაოპირად გარიგებას“.

„თაოპირად გარიგების“ შესახებ თანამედროვე ინფორმატორებიც გვაძინობენ. ერთ-ერთი ზოგადად აღნიშნავს: შუაკაცი შეიძლება საერთოდ არ იყოს, დამჭრელი პირდაპირ გაუგზავნის რაც ეკუთვნის, თვითონ მივა ოჯახში, მიიყოლიებს ერთ კაცს, მიიტანს დრამას, არაყსა და შერიგდებიან². მეორე ინფორმატორი მის თავს გადაძნადარ ამბავს გვიამბობს, რომელიც „თაოპირად გარიგებას“ ეხება: „17-18 წლისა ვიქნებოდი, როცა ბარისახოში ახალგაზრდები მინდორში ვსვამდით არაყს. დაეთვერით. იქ იყო იმედა ლიქოკელი. მასთან მომივიდა შელაპარაკება და ერთმანეთი დაეჭვრით. მერე ვილაპარაკეთ, რომ სიმთვრალის გამო მოგვივიდა და არ ვემტროთ ერთმანეთსო. ჩვენს შორის არც შუაკაცი ყოფილა და არც „რჯულის კაცები“, არც ექიმს გაუსინჯავს ჭრილობები. თვითონაც ვიცოდით, რომ თანაბრად ვიყავით დაჭრილები, ამიტომ როცა სახლებში დავბრუნდით, ცოტა ხნის შემდეგ შევვქექ ცხენზე, წავიდე ერთი ქინთი (ტიკი) არაყი და გადავედ ლიქოკში, იმედას სახლში. ერთმანეთს მივესალმეთ, მოვიდნენ მეზობლებიც და ვსვით. შემდეგ ერთი თვის შემდეგ ისიც მოვიდა ჩემთან სახლში, ისე როგორც მე. მისებრ გავუმასპინძლდი და ამით დამთავრდა საქმე“³.

ცხადია, „თაოპირად გარიგება“ „რჯულის“ ჩატარების ალტერნატი-

¹ აღ. ოჩიაური, M¹ 108, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, რე №18(4), „ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში“, გვ. 4.

² მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკუილი №4, 1977, გვ. 38.

³ მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკუილი №2, გვ. 67.

ვად გვევლინება. მხარეები თუ თვითონ შეძლებენ მორიგებას, მაშინ არც შუაკაცები სჭირდებათ და არც „რჯული“. შეიძლება შუაკაცებმაც მი-
აღწიონ შერიგებას. მაგრამ თუ დავაა დამნაშავეის ვინაობასთან დაკავ-
შირებით, ან მხარეები ვერ თანხმდებიან „დრამის“ ოდენობაზე, ამ დროს
აუცილებელია უკვე „გარჯულვა“, საქმის განხილვა. შუაკაცების ფუნ-
ქციას „გარჯულვა“ არ წარმოადგენს. ეს „რჯულის კაცების“ საქმეა.
ამიტომ შუაკაცები ასეთ შემთხვევაში სთხოვენ მხარეებს შეწყვიტონ
მტრობა და „რჯულის“ მეშვეობით მიაღწიონ მორიგებას.

§ 6. „რჯულის კაცები“

შუაკაცები, როგორც კი დაითანხმებდნენ მხარეებს „რჯულის“ მეშ-
ვეობით მოეგვარებინათ მათ შორის დავა, დღის წესრიგში დგება „რჯუ-
ლის კაცთა“ არჩევის საკითხი. როგორც აღვნიშნეთ, „რჯულის კაცები“
მედიატორ-მოსამართლეები არიან, რომელთაც თვითონ მხარეები ირჩევენ
სადავო საქმის გადასაწყვეტად. მათი ფუნქცია საქმის „გარჯულვა“ და
ამის შედეგად „ნარჯულევის“ გამოტანაა, რითაც ერთ-ერთ მხარეს აკ-
ისრებენ განსაზღვრული რაოდენობის „დრამის“ გადახდას. „რჯულის
კაცთა“ ძირითადი ამოცანაა ისეთი განაჩენის გამოტანა, რომლის საფუძ-
ველზეც მოხდება მხარეთა შერიგება, — „რჯული“ ხომ ძირითადად
შერიგების მექანიზმია, რომელიც ხალხურმა მართლშეგნებამ თვითან-
გარიშწორების, შურისძიების ალტერნატივად ჩამოაყალიბა. შუაკაცები
მხარეებს, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ მტრობის უპერსპექტივობაში
არწმუნებენ და მოუწოდებენ, რომ „რჯულის კაცებს“, ხვესურულ სა-
მართალში გათვითცნობიერებულ პიროვნებებს მიანდონ საქმის გადაწყ-
ვეტა და სამართლიანი, ხვესურული „რჯულის“ საფუძველზე გამოტ-
ანილი განაჩენის აღსრულებით მიაღწიონ საბოლოო შერიგებას. თვით
შუაკაცებს „გარჯულვის“ უფლება არა აქვთ, ამ ფუნქციას მხოლოდ
„რჯულის კაცები“ ახორციელებენ (არაა გამორიცხული შუაკაცი საქ-
მის გარჩევისას „რჯულის კაცად“ მოგვევლინოს, თუ რომელიმე მხ-
არის შესაბამისი რწმუნება ექნება).

ცხადია, ხვესურეთში არ არსებობდა „რჯულის კაცის“ თანამდებო-
ბა ისე, როგორც დღეს მოსამართლის თანამდებობაა. მხარეებს თვითონ
უნდა გადაეწყვიტათ, თუ ვინ მიეწვიათ „რჯულის კაცებად“. ისინი
სრულიად თავისუფალნი იყვნენ არჩევანში, მაგრამ, რაკი დათანხმდნენ
„რჯულის“ გამართვას და მისი მეშვეობით მორიგებას, ცხადია, დაინ-

ტერესებულნი იყვნენ „რჯულის კაცებად“ მოეწვიათ ისეთი. ხალხი, რომლებიც, ვერ ერთი, შესანიშნავად ერკვეოდნენ ხევსურულ „რჯულ-ნი“, ახსოვდათ ძველი „ანდრეზები“ სხვადასხვა კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, იყვნენ თავისი პატიოსნებით, ავტორიტეტით, გონიერებით, სიღინჯით, ღვთის მოშიშობით გამოირჩეულნი, სიტყვაპასუხიანი, რომელთაც შეეძლოთ სათანადო სიტყვების მოძებნა კრიტიკულ სიტუაციაში, მაგალითად, გამოტანილ განაჩენზე რომელიმე უკმაყოფილო მხარის დათანხმების მცდელობისას. აი, რას წერს ნ. ხიზანაშვილი სახალხო მართლმსაჯულებისა და „რჯულის კაცთა“ დამახასიათებელი თვისებების შესახებ. „ბჭობა სახალხო მართლმსაჯულებაა, ხალხის ზნე-ჩვეულებათად აღმოცენილი და მასზე დამყარებული. აქ არის მიზეზი, რომ ეხლაც ხევსური თითქმის ყველა დავას და საჩივარს, მძიმე სასისხლო დანაშაულებსაც კი ბჭობით ათავებს და იშვიათად მიმართავს ხოლმე მთავრობის სასამართლოს. ... ბჭობის პირველი საგანი მშვიდობით მორიგებაა, თუ არ დავივიწყებთ, რომ ხევსურეთში ეხლაც შურისძიება რჯულთ უმტკიცესია და მეტადრე მძიმე დანაშაულობას თან მოსდევს ვნებათაღელვა, მაშინ ადვილად მიხვდებით, თუ რისთვის ასე მტკიცედ და თავგამოდებით უყვარს ხევსურს ბჭობა, ეს თავისი საკუთარი მომრიგებელი სამართალი. ხევსურის აზრით, მართლმსაჯულება უზენაესი ძალაა და ბჭე კიდევ ღვთიურის მადლით აღსავსეა, რჩეული კაცია. ამისათვის ბჭე მიუცილებლად „ჭკვათა-მყოფელი“ უნდა იყოს, სამართლის და ხალხის ჩვეულებათა მცოდნე. ბჭე ისეთივე მოსამართლეა, როგორსაც დიდებული სჯულთმდებელი (მხედველობაშია ვახტანგ VI - გ.დ.) გვიხატავს: „დიდად მჩხრეკელი, მიმხვდური და გამომეძიებელი, გონება აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯაუი და სხვადასც მკითხველი... მოწმის მოძებარი“ (ვახ. სამართლის წიგნი, მუხლი მე-3). „თვითუელს თემში მოიპოვებიან ამ ნაირნი კაცნი და ბჭეებადაც იმათ ირჩევს ხალხი. ერთს თემს შეუძლიან მეორე თემიდან ბჭენი მოიწვიოს“¹.

ხევსურეთში ჩამოყალიბდა პირთა გარკვეული წრე, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების მატარებელნი იყვნენ. ამ ადამიანებს ხშირად უხდებოდათ „რჯულში“ მონაწილეობის მიღება და საკმაო გამოცდილებაც ჰქონდათ შეძენილი, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თანამედროვე ინფორმატორებიც კი მრავლად ასახელებენ ისეთ

¹ ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 53-54.

პიროვნებებს, რომლებიც ცნობილი იყვნენ როგორც „რჯულის კაცები“ (მათ „რჯულის კაცებს“ უწოდებს ხალხი).

თანამედროვე ინფორმატორებიც ადასტურებენ ნ. ხიზანაშვილის ნათქვამს, რომ „რჯულის კაცებს“ სხვა ხვესურული თემებიდანაც კი იწვევდნენ (არცთუ იშვიათად თუ ამის საჭიროება იყო). რთულ საქმეზე შეიძლება ქისტებიც კი მოეწვიათ (თუ ქისტებთანაა დავა, მაშინ შეიძლება ორივე მხრიდან თანაბარი რაოდენობით იყვნენ ქისტი და ხვესური „რჯულის კაცები“).

რამდენიმე სიტყვით აღვნიშნავ, თუ როგორ ყალიბდება ჩვეულებრივი ხვესური „რჯულის კაცად“. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, აღ. ოჩიაურის აზრია საგულისხმო: „... ზოგი ბავშვობიდანვე ნიჭიერი იბადებოდა, ყურადღებას აქცევდა უფროსი ხალხის საუბარს და იმახსოვრებდა; რაზედ რა მომხდარა, მომხდარი ამბავი როგორ გარჯულებილა და გარჩეულა, რჯული რაზედ რა არის და როგორ უნდა გაირჩეს მომხდარი საქმე. ასეთებზე, ასეთ საუბრებს რომ ყურადღებას აქცევდა და სწავლობდა, ამიტომ ხანდახან საუბარში მონაწილეობას ღებულობდა. მერე პატარ-პატარა ჩხუბების შემდეგ ჩაერეოდა შუაკაცად. ხალხი შეამჩნევდა, რომ მტერთ შერიგების დროს კარგი სიტყვებით მიმართავდა ერთიმეორეს მოწინააღმდეგეთ და გავლენასაც ახდენდა მათზე და ადვილად მოახერხებდა მათ შერიგებას, მერე უფრო მძიმე გასარჩევი საქმის რჯულში მიიწვევდნენ. აქაც წესიერად გარჯულავდა და გაარჩევდა საქმეს. გაუვარდებოდა სახელი და მალ-მალე ღებულობდა მონაწილეობას რჯულის კაცებში“¹. აი, ასე ყალიბდებოდა ნიჭიერი, გონიერი და სიტყვაპასუხიანი ახალგაზრდა თანდათანობით, დროთა განმავლობაში „რჯულის“ კარგ მცოდნედ და ყველასათვის სასურველ „რჯულის კაცად“. ცხადია, შუაკაცის, რჯულის კაცის უმნიშვნელოვანეს თვისებად ითვლება უნარი, გონივრული სიტყვით ზემოქმედება იქონიოს მხარეებზე და მათ შერიგებისაკენ უბიძგოს. თანამედროვე ინფორმატორებიც აღნიშნავენ იმას, რომ უკვე ჩამოყალიბებული და ხანშიშესული „რჯულის კაცად“ ხშირად ნამყოფი ხალხი, „რჯულში“ ისწრებდნენ ნიჭიერ, გონიერ ახალგაზრდებს, რომ მათ დაემახსოვრებინათ „რჯულის“ ჩატარების წესები, თვით „რჯული“, ძველი „ანდრეზე-

¹ აღ. ოჩიაური, ხვესურული მასალები. II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, გვ. 185.

ბი“, რათა შემდგომ „რჯულის კაცთა“ საქმე გაეგრძელებინათ.¹ ასეთ ნიჭიერ და გონიერ ახალგაზრდას ჯერ მსუბუქ საქმეზე ეძახდნენ „რჯულში“, მერე უფრო მნიშვნელოვან საკითხებსაც ანდობდნენ გადასაჭრელად. ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, როდესაც „რჯულში“ ხანშიშესულ „რჯულის კაცთან“ ერთად, ახალგაზრდაც იღებდა მონაწილეობას. არ შეიძლებოდა „რჯულის კაცად“ ქალის არჩევა. ზოგიერთი ინფორმატორი სინანულსაც კი გამოთქვამს ამასთან დაკავშირებით, რადგანაც, მათი აზრით, ხევსურეთში მრავლად იყვნენ ჭკვიანი ქალები, რომლებიც მამაკაცებზე არანაკლები „რჯულის კაცები“ იქნებოდნენ². „რჯულის კაცი“ არ უნდა ყოფილიყო მოდავე მხარის ნათესავი, კერძოდ, მისი „მამიშვილობის“ წევრი.

„რჯულის კაცობა“ ხევსურეთში საკმაოდ სამძიმო საქმეს წარმოადგენდა. უსამართლო განაჩენის გამოტანის შემთხვევაში „რჯულის კაცები“ ხალხური წარმოდგენით დიდ ცოდვას იღებდნენ საკუთარ თავზე. ამიტომ ისინი მხარეებს, მოწმეებს სთხოვდნენ სწორი ჩვენების მიცემას, რათა უნებურად ცოდვაში არ ჩამდგარიყვნენ არასწორი განაჩენის გამოტანით.

§ 7. „რჯულის კაცების“ არჩევა და შეკრება

„რჯულის კაცების“ არჩევა საქმეში მონაწილე მხარეთა პრეროგატივას წარმოადგენდა. მხარეებს შეეძლოთ თვითონ დაესახელებინათ „რჯულის კაცები“, ასევე შუაკაცებისათვის მიენდოთ მათი შერჩევა. ნ. ხიზანაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არც მომჩივანსა და არც მოპასუხეს არა აქვს უფლება თვითონ ამოირჩიოს „რჯულის კაცები“. მისი თქმით, მათ ირჩევენ მხოლოდ და მხოლოდ შუაკაცები. მოდავე მხარეები „რჯულის კაცებს“ ვერ აირჩევენ, „რადგანაც ეს სირცხვილად ითვლება – „მხლანნი არიანო, იტყვივს ხალხი“³.

XX საუკუნის მასალებით თუ ვიმსჯელებთ, ნ. ხიზანაშვილის განცხადება, რომ მხარეებს არა აქვთ უფლება თვით აირჩიონ „რჯულის კაცები“ და ეს მხოლოდ და მხოლოდ შუაკაცების უფლებაა, მეტი-მეტად კატეგორიულია და არ ასახავს ზუსტად არსებულ ვითარებას. ჩვენი ვარაუდით, ნ. ხიზანაშვილი უფრო იმ განწყობასა და საკითხ-

¹ დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988, გვ. 51.

² დ. ჯალაბაძე, იქვე.

³ ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

ისადმი დამოკიდებულებას ასახავს, რომელიც მის დროს არსებობდა ხევსურეთში. თანაც, თუ მხარეებს „რჯულის“ მიხედვით არ ჰქონდათ „რჯულის კაცების“ არჩევის უფლება, მაშინ ეს არც ხდებოდა და თუ არ ხდებოდა, მაშ როგორღა იქნებოდა ეს სირცხვილი, მაშ რასთან დაკავშირებით იძახდნენ ხევსურები „მხდალნი არიანო“?. ჩვენი აზრით, „რჯულით“ მხარეთა მიერ „რჯულის კაცების“ არჩევის ფორმალური აკრძალვა არ უნდა ყოფილიყო და არ შეიძლება ითქვას, რომ „მათ ამის უფლება არ ჰქონდათ“. მაგრამ თუ ასეთი ფაქტი მაინც მოხდებოდა, ეს სირცხვილად ითვლებოდა და ამიტომ ძირითადად მხარეები შუაკაცებს ანდობდნენ ხოლმე „რჯულის კაცების“ არჩევის უფლებას.

XX საუკუნის მასალებში უკვე აღარ ჩანს, რომ უშუალოდ მხარეების მიერ „რჯულის კაცების“ არჩევა სირცხვილად ითვლება, აღწერილი და ყველა თანამედროვე ინფორმატორი, რომელიც „რჯულის კაცების“ არჩევის საკითხს ეხება, მიუთითებს, რომ „რჯულის კაცებს“ თვითონ მხარეები ირჩევდნენ, თუმცა შესაძლებელია, მათი სურვილით, ეს ფუნქცია შუაკაცებსაც შეესრულებინათ.

თანამედროვე ინფორმატორთა მონაცემების მიხედვით, მხარეთა უფლება, თვითონ აირჩიონ „რჯულის კაცები“ არავითარ ეჭვს არ იწვევს. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი პრეროგატივაა. მხარეებს შეეძლოთ შუაკაცებისთვისაც ეთხოვათ, რომ მათ შეესრულებინათ „რჯულის კაცის“ ფუნქციები, ე.ი. „რჯულის კაცად“ შუაკაცები დაესახელებინათ, როგორც „რჯულის“ კარგად მცოდნენი, თუ ისინი ასეთები იყვნენ¹. „რჯულის კაცები“ ეტყოდნენ შუაკაცებს, რაღა სხვები მოვიყვანოთ, ბარემ თქვენვე იყავით „რჯულის კაცები“² და ასე ხდებოდა შუაკაცების ტრანსფორმირება „რჯულის კაცებად“. შესაძლოა, ასეთ არჩევანს ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონოდა. კერძოდ კი, შუაკაცები, თუ „რჯულის კაცების“ ფუნქციებს შეასრულებდნენ, ისინი უკვე საქმის კურსში იქნებოდნენ, ჩამწვდარნი საქმის არსში. ყოველმხრივ ეცოდინებოდათ საქმის ვითარება და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ხევსურულ „რჯულში“, მხარეთა განწყობაც, თუ რა განაჩენი იქნებოდა მისაღები ან ერთი, ან მეორე მხარისათვის, რას ითხოვდნენ ისინი. „რჯულის კა-

¹ მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977, გვ. 39; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1977, გვ. 78.

² მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977, გვ. 71.

ცებს“ კი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ საქმეში როგორც შუაკაცებს, ყოველივე ამის შეცნობა მხოლოდ „რჯულის კაცად“ მათი დასახილვის შემდეგ მოუწევდათ. ასეთ შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია „გარჯულვას“ შუაკაცებიც დაესწრონ და წინასწარ ინფორმაცია მიაწოდონ „რჯულის კაცებს“ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, უპასუხონ „რჯულის კაცთ“ შეკითხვებს¹. ის ფაქტი, რომ მხარეებს შეუძლიათ შუაკაცებს შესთავაზონ „რჯულის კაცობა“, მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ მხარეთა პრეროგატივაა „რჯულის კაცების“ არჩევა. მათ შესაძლოა, ყველა შუაკაცი აერჩიათ „რჯულის კაცად“, ან მხოლოდ ზოგიერთი ანდა სრულიად შესაძლებელია, არც ერთი.

თანამედროვე ინფორმატორთა უმრავლესობა ასევე მიუთითებს, რომ მხარეებს „რჯულის კაცების“ არჩევა შეიძლება ეთხოვნათ შუაკაცებისათვისაც და ეს საკმაოდ ხშირადაც ხდებოდა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შუაკაცებს „რჯულის კაცების“ არჩევის უფლება აქვთ (ან როგორც ნ. ხიზანაშვილთანაა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი უფლებაა). ამ შემთხვევაში მხარეები მათ მიერ „რჯულის კაცების“ არჩევის უფლების დელეგირებას ახდენენ შუაკაცებზე. თანამედროვე ინფორმატორები ამას იმით ხსნიან, რომ შუაკაცები უფრო კარგად ერკვევიან შესაბამის საკითხებში და უფრო უკეთ იცნობენ იმ პირებს, რომელთაც ხელეწიფებათ „რჯულის კაცის“ ფუნქციის შესრულება². ცხადია, შუაკაცები მხარეებს შეატყობინებდნენ, თუ ვისი არჩევა გადაწყვიტეს „რჯულის კაცად“ და ძირითადად ისინი ეთანხმებოდნენ ამ არჩევანს³. ალ. ოჩიაურის განმარტებით, მხარეები მაშინ მიმართავდნენ „რჯულის კაცთ“ ასარჩევად შუაკაცებს, თუ ერთი მხარე დაიწუნებდა მეორე მხარის მიერ არჩეულ „რჯულის კაცებს“, ეჭვს შეიტანდა მათ მიუდგომლობასა და ობიექტურობაში⁴. თანამედროვე ინფორმატორებთანაც ჩანს, რომ „რჯუ-

¹ მ. კაკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №6, 1977, გვ. 45.

² მ. კაკელია, იქვე, გვ. 14; მ. კაკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №5, 1977, გვ. 39.

³ მ. კაკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №5, 1977, გვ. 39.

⁴ დ. ვალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულ — სამართლის კვლევის ისტორიიდან, კრ. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 2, თბ., 1990, გვ. ხ2(ეს მომენტს საკმაოდ საფუძვლიანი და საყურადღებოა, თუმცა როგორც თანამედროვე ინფორმატორებთან ჩანს, შუაკაცებისათვის „რჯულის კაცთ“ არჩევის თხო ა მხოლოდ ამ მოტივით არ ხდებოდა).

ლის კაცად“ ამორჩეულ კაცს, მეორე მხარეში შეიძლება აცილება მისცეს, თუ ეჭვს შეიტანს მის ობიექტურობასა და პიროვნულ თვისებებში¹.

მას შემდეგ, რაც არჩეული იქნებოდნენ „რჯულის კაცები“, ბუნებრივია, საჭირო იყო მათი შეკრება „რჯულის“ ჩატარების ადგილას, ამისათვის კი მათთვის უნდა შეეტყობინებინათ, რომ ისინი „რჯულის კაცებად“ არიან არჩეული ამა და ამ საქმეზე, ასევე უნდა ეთქვათ „რჯულის“ ჩატარების დრო და ადგილი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებოდნენ. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „რჯულის კაცებს“ არცთუ იშვიათად სხვა თემებიდანაც იწვევდნენ და საჭირო იყო იქ მათთან ჩასვლა. ასე რომ „რჯულის კაცების“ შეკრება არსებითი კომპონენტია „რჯულის“ ჩატარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ზოგიერთი ინფორმატორის განმარტებით, მხარეები ახალგაზრდებს ავალებენ „რჯულის კაცებისათვის“ მხარეთა თხოვნის გადაცემას. ეს უკანასკნელნი კი ავად თუ არ არიან, ან თუ რაიმე გადაუდებელი საქმე არა აქვთ, უარს არ იტყვიან და მიიღებენ მონაწილეობას „რჯულის“ ჩატარებაში, რადგანაც იციან, რომ დაპირისპირებული მხარეების მორიგებაზე დაყოლიება სამართლიანი, ყველასათვის მისაღები განაჩენით, კეთილი საქმეა².

როგორც ჩანს, არ იყო გამორიცხული, რომ „რჯულის კაცების“ შეკრებაზე თვით მხარეებსაც ეზრუნათ, თუ ისინი ირჩევდნენ „რჯულის კაცებს“. ხოლო შუაკაცების მეშვეობით თუ ხდებოდა მათი არჩევა, მაშინ ვინმე ახალგაზრდას ავალებდნენ ამას³. „რჯული“ უფრო შაბათს ან კვირას იმართებოდა⁴. ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ „რჯული“ ღამით ხდება, იმის გამო, რომ დღისით ბჭეთა შეკრება რთულია, ასევე ღამით დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს არ შეახვედრონ, უფრო რეალურია. რაც არ უნდა მძიმე და რთული საქმე იყოს. ბჭობა სწრაფად უნდა დასრულდეს და ორ-სამ დღეზე მეტხანს არ გასტანს⁵. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ინფორმატორებთან არ არის მინიშნება იმის თაობაზე, რომ „რჯული“ ხეცსურეთში ღამით ხდება. საწინააღმდეგო

¹ ი. მ. კეკელია, მასალები ხეცსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1977, გვ 39. იქვე გვ 60.

² მ. კეკელია, მასალები ხეცსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1977, გვ 78.

³ მ. კეკელია, მასალები ხეცსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №6, 1977, გვ 14.

⁴ მ. კეკელია, მასალები ხეცსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1977, გვ 78.

⁵ ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ 56.

ცნობები კი არსებობს. გვაქვს კონკრეტული ფაქტები. რომ „რჯული“ დილით დაიწყო¹. ასე რომ, საკითხი, დღისით ტარდება „რჯული“ თუ ღამით ზუსტად რეგლამენტირებული არ ყოფილა და როცა მოუხერხდებოდათ, „რჯულს“ მაშინ იწყებდნენ, ძირითადად, დღისით.

§ 8. „რჯულის კაცების“ რაოდენობა

„რჯულის კაცთა“ რაოდენობა საქმის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული. რაც უფრო რთული იყო საქმე, მით უფრო მეტი „რჯულის კაცის“ არჩევა იყო საჭირო. ეს ტენდენცია, ჯერ კიდევ ნ. ხიზანაშვილმა შენიშნა, იგი წერს: „...ბჭეების რიცხვი, მათი რაოდენობა საქმის თვისებაზედ არის დამოკიდებული, თუ მძიმე საქმეა, ბჭეებიც ბლომად უნდა იყვნენ (ათ კაციდან თხუთმეტამდე), როცა მსუბუქი საქმე ირჩევა, მაგალითებრ, მცირელი ქურდობა. ვალის გადახდა, დიაცის სახელის შებღალვა და სხვა. მაშინ საკმაოა სამიდან ექვსამდე ბჭე“². თანამედროვე ინფორმატორებთანაც „რჯულის კაცების“ რაოდენობაზე, მსგავსი ცნობებია. მათი მტკიცებით, რთულ საქმეზე, მკვლელობა, მძიმე დაჭრა, თორმეტამდე „რჯულის კაცი“ იკრიბება. ზოგიერთი ინფორმატორი მძიმე დაჭრის კონკრეტულ საქმეზეც ადასტურებს თორმეტი „რჯულის კაცის“ შეკრების ფაქტს³. თუ უფრო მსუბუქი საქმეა, „რჯულის კაცთა“ რაოდენობა შეიძლება იყოს 2-დან 4-მდე. მარტივ საქმეებზე ერთიც კი⁴, რომელსაც მსარეები ურთიერთშეთანხმებით ირჩევენ⁵.

¹ იხ. მაგ. ვ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988, გვ. 22.

² ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

³ მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი № 4, 1977, გვ. 35; ასევე დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988, გვ. 2.

⁴ მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი № 6, 1977, გვ. 45; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი № 5, 1977, გვ. 71; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988, გვ. 64; 2.

⁵ თუმცა ზოგიერთი ინფორმატორი თვლის, რომ, როცა საქმეს მხოლოდ ერთი კაცი განიხილავს, ეს არ არის „რჯულის კაცი“ და „გარჯულეა“. რადგანაც „გარჯულეა“ გულისხმობს იათობის და როცა ერთი კაცია, ვის უნდა მოეთათბიროს. ამიტომ ის „რჯულის კაცად“ არ შეიძლება ჩათვალოს და ეს უფრო შუამკობა, ვიდრე „რჯულის კაცი“ (იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი № 6, 1977, გვ. 45, ასევე № 5, 1977, გვ. 71). ინფორმატორთა ამ შესჯელების შეიძლება დაეიანხმოს. მხარეებმა შესაძლოა ერთ კაცს მიმართონ, მაგალითად, შუამდგომლობა მსუბუქი დაჭრისას. როცა მარტივი საქმეა, მხარეები შუად არიან შესარიგებლად, არაყოფიერი დავა არ არის, ოღონდ „დრამის“ ოღენობის განსაზღვრა ურჩევნით მიანდონ კრილობის რჯულის მცოდნე პიროვნებას, რომ თვითონ შეცდომა არ დაუშვან, თანაც მისი ნდობაც მტკია.

მასალაში გვხვდება მონაცემები კონკრეტულ საქმეებზე, როცა მხარეებმა აირჩიეს თითო „რჯულის კაცი“, „ორ-ორი, სამ-სამი, ექვს-ექვსი. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხარეებს აუცილებლად თანაბარი რაოდენობის „რჯულის კაცები“ უნდა აერჩიათ¹. „რჯულის კაცების“ რაოდენობა შესაძლოა არა მარტო ლუწი, არამედ კენტიც ყოფილიყო, როგორც ეს მხარეთა მიერ „რჯულის კაცების“ თანაბარი რაოდენობის დასახელების შემთხვევაში იქნებოდა. „რჯულის კაცთა“ რაოდენობას თვით მხარეები განსაზღვრავდნენ („რჯულის კაცთა“ კენტი რაოდენობა, როგორც ვნახეთ, ნ. ზიხანაშვილთანაც კარგად გამოჩნდა). თანამედროვე ინფორმატორები აღნიშნავენ, რომ მხარეებს შეიძლება „რჯულის კაცები“ ტოლ-ტოლად დაესახელებინათ, შეიძლება არა². თუ რომელი მხარე რა რაოდენობის „რჯულის კაცს“ დაასახელებდა, ეს მხარეთა შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული, თანაც განაჩენის გამოტანა „რჯულის კაცთა“ ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ხდებოდა და არა ხმათა უმრავლესობით, ამიტომ არ ჰქონდა ამ თვალსაზრისით გადაწყვეტი მნიშვნელობა, თუ რომელი მხარე რამდენ „რჯულის კაცს“ დაასახელებდა და მათი რაოდენობა ლუწი იქნებოდა, თუ კენტი. ერთ-ერთი ინფორმატორი საკმაოდ ნათლად აყალიბებს ამ საკითხისადმი დამოკ-

ეს კაცი დაადგენს ჭრილობის სიშიშივს და ამის შესაბამისად „დრამის“ ოდენობას, რომელიც ერთმა მხარემ მეორეს უნდა გადაუხადოს. მართლაც, ასეთ დროს არავითარ „რჯულის ჩატარებას“, გარჯულებას, აზრთა გაზიარებას, მოთათბირებას ადგილი არა აქვს, რაც დამახასიათებელია „რჯულისა“ და „გარჯულისთვის“. ერთი პირი ენება მხარეებს უბრალოდ დაუდგენს, თუ რამდენია „დრამა“ ამ შედარებით მსუბუქი ჭრილობისათვის. მაგრამ თუ შედარებით მიიშვება დაჭრა, რთული საქმეა, მაშინ ასეთ საქმეს ერთი კაცი. ცხადია, ვერ გადაჭრის და უკვე „რჯული“ იკრიბება, სადაც ხდება მხარეთა დაკითხვა, აზრთა გაზიარება, მოთათბირება, მსჯელობა განაჩენზე და სხვა. ეს უკვე „რჯულის კაცები“ არიან. ასეთი მსჯელობისა და თათბირისათვის მინიმუმ ორი კაცი მაინცა საჭირო.

¹ შეიძლება ისედაც მომხდარიყო, რომ ერთ-ერთი მხარე (ეს ჩვეულებრივ ზიანის მიყენებელი მხარეა) შეუყოლიდა მეორეს: მე სულ არ მინდა „რჯულის კაცების“ დასახელება. ყველა „რჯულის კაცი“ იმათ დასახელებნო. ერთ-ერთი ინფორმატორი, რომელიც დაუჭრიათ, გვიამბობს, რომ დამჭრელ მხარეს შუაკაცი გაუგზავნია მამამისისათვის (თვითონ არასრულწლოვანი იყო), რომელსაც შეუთავაზებია: „ჩვენები ამბობენ თქვენ მაიყვანეთო ყველა „რჯულის კაცები“. მამამ უპასუხა: „რაი წესი ასე ხვესურეთისაივ. ყველა ჩემზე იყვასავ. ორ კაც მაგათ მაიყვანონ. ორს ჩვენ მაიყვანათვ“. დანიშნულ დღეს ორი კაცი იმათ მაიყვანეს, ორი ჩვენ, რჯულის კარგად მცოდნე კაცები“ (მ. კეკელია, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №8, გვ. 14). როგორც ვხედავთ, ასეთ პრივილეგიაზე უარაც შეიძლება ეთქვა მხარეს, ალბათ იმ მოტივით, რომ განაჩენის ობიექტურობა არ დამდგარიყო ეჭვქვეშ „რჯულის კაცთა“ ცალმხრივი დასახელების გამო და არც წესი იყო ასეთი.

² მ. კეკელია, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №5, 1977, გვ. 71.

იღებულებას: „... რჯულის კაცები კენტიც შეიძლება იყოს და ლუწიც. არა აქვს მნიშვნელობა კენტობის დროს რომელ მხარეს იქნება ამორჩეული რჯულის კაცთა მეტი რაოდენობა. ისინი ყველაფერს სწორად არჩევენ, მიუმხრობლად... თუ საქმის მოგვარებისას რაიმე უთანხმოებას ექნება ადგილი, მაგალითად, ორი ერთს მიემხრობა, სამი — მეორეს, რჯული იშლება, მათ შორის უთანხმოების შესახებ ვერავინ ვერ უნდა გაიგოს!“. „რჯულის კაცები“ ხშირად მის ამრჩევ მხარეს არც იცნობდნენ და ამიტომ მიეკრძობათ მათი მხრიდან ადგილი არ უნდა ჰქონოდა, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი კონკრეტული მხარის არჩეულები იყვნენ ამ მხარის სასარგებლოდ, მათ პიროვნულ თვისებებსა და ღირსებებზე რომ აღარაფერი ეთქვათ.

როდესაც „რჯულის კაცებს“ შუაკაცები ირჩევდნენ, ცხადია, როდენობასაც თვითონ განსაზღვრავდნენ და აქ უკვე, ჩვეულებრივ, „რჯულის კაცთა“ რაოდენობა შეიძლება კენტიც ყოფილიყო და ლუწიც.

§ 9. „რჯულის“ ჩატარების ადგილი და მხარეთა ადგილმდებარეობა „გარჯულვისას“

ხევესურული „რჯულით“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება „რჯულის“ ჩატარების ადგილის განსაზღვრას. რა თქმა უნდა, სპეციალური შენობა სასამართლო პროცესების გასამართავად აქ არ არსებობდა. „რჯული“ ისეთ ადგილზე იმართებოდა, რომ არც ერთი მხარე არ აღმოჩენილიყო, თუნდაც ოდნავ პრივილეგირებულ მდგომარეობაში. თუ მოდავე მხარეები ერთი სოფლის მცხოვრებლები იყვნენ, მაშინ „რჯული“, ჩვეულებრივ, ჯვარში იმართებოდა (არხოტში თუ მოხდა რაიმე — არხოტის თემის სოფლებს შორის (სამი სოფელია), გარჯულვა ასევე მოხდებოდა ხატის კარზე. ორივე მხარე აქ მივიდოდა რჯულის კაცებთან)¹, ხოლო თუ მხარეები სხვადასხვა სოფლების (თემების) მცხოვრებლები იყვნენ, მაშინ „რჯული“ აუცილებლად „სასწორში“ ანუ ორ სოფელს შორის, შუა ადგილას უნდა გამართულიყო. მხარეები ერთმანეთის სოფელში არ შევიდოდნენ (თუ ორ მეზობელ სოფელში ცხოვრობდნენ, „რჯული“ სოფლების საზღვარზე გაიმართებოდა). ნ. ხიზანაშვილის თქმით, ხშირ-

¹ მ. კეკელია. მასალები ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1977, გვ. 45.

² მ. კეკელია. მასალები ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1977, გვ. 33-34.

ად „რჯული“ ტარდებოდა ჭალაში, წყლის პირას, გორაზე ან მთის 'წვერზე'. მოწინააღმდეგე მხარეები ისე განლაგდებოდნენ ხოლმე, რომ ერთმანეთი არ დაენახათ, ერთმანეთის საუბარი არ გაეგოთ. ეს „რჯული“ ძირითადი მიზნის – მხარეთა საბოლოო შერიგების ინტერესებში ხდებოდა. ხომ შეიძლება ერთ მხარეს ჩვენების მიცემისას, ვერ მოეთოკა ემოციები, მით უმეტეს მოწინააღმდეგის დანახვისას და უხეშ ფორმებში მოეხსენებინა იგი. ერთ მოუზომავ სიტყვასაც კი შეეძლო მეორე მხარის აღშფოთება და „რჯულის“ ჩაშლა. ამიტომ „რჯულის კაცები“ მხარეებს ერთმანეთისაგან მოშორებით, ცალ-ცალკე დასხამდნენ, ვთქვათ, „რჯულის კაცებისაგან“ ას-ასი მეტრის მოშორებით, ორივე საპირისპირო მხარეს. ჯერ ერთ მხარესთან მივიდოდნენ ჩვენების ჩამოსართმევად, მერე მეორესთან, ან ჯერ ერთ მხარეს დაიბარებდნენ თავისთან, მერე მეორეს. ეს ისე კეთდებოდა, რომ მომჩივან-მოპასუხე ერთმანეთს ვერ ხვდებოდა, ამიტომ მხარეთა დაპირისპირების ინსტიტუტს ხვესურეთში ვერ ვხვდებით. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ჩვენ მოვიყვანთ ხვესური ინფორმატორების ცნობებს „რჯულის“ ჩატარების ადგილთან დაკავშირებით. მათ შორის ზოგიერთ ცნობას კონკრეტულ საქმეზე. ერთი ინფორმატორი გვიამბობს: „ჩემმა ძმამ თათარამ დაჭრა ზეისტეჩოელი ხვესური გრიგოლა... წავიდა ამ საქმეზე რჯული. ეს რჯული მთაზე გადაწყდა, ჩენი სახლების შუა ადგილს. ჩემი ძმა თავის ხალხით ჩენი სახლისაკენ იდგა რჯულის კაცებიდან 100 მეტრის მოშორებით, იქითა მხარეს კი ამავე მანძილით მოწინააღმდეგეები იდგნენ“¹. მეორე ინფორმატორი უკვე განზოგადებულ ინფორმაციას გვაწვდის: „რჯულის კაცების შეყრა ხდება ღია ცის ქვეშ, ... საშუალო ადგილზე, მაგალითად, ერთი ცხოვრობს ხახმატში, მეორე – როშკაში. შეყრა მოხდება ან გუდანში, ან როშკის ხიდან... მხარეებს დასვამენ ცალ-ცალკე მხარეს, რომ ერთმანეთს ვერ ხედავდნენ და არც ესმოდეთ ერთმანეთის ლაპარაკი“². კიდევ ორიოდ კონკრეტული ცნობა: „რჯულის კაცები შევიყარეთ სოფელ ქორმეშავში. ეს არის საშუალო ადგილი ხახმატიდანაც და ხიტალედანაც (საიდანაც იყვნენ მხარეები – გ.

¹ ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ 56.

² შ. კეკელია, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1977, გვ. 33-34.

³ შ. კეკელია, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1977, გვ. 14-15.

დ.)¹, „რჯულის კაცები შევიყარებით მუცოელ-არდოტელ „სასწორში“, ე.ი. სოფლების გასაყარ ადგილას (შუა ადგილას). იყო დილა. მოდავე მხარეები 150-150 მეტრის დაცილებით დავსვით ისე, რომ ერთმანეთის ლაპარაკი არ ესმოდათ. იქნებ ერთი ივინება, მეორემ არ უნდა გაიგოს“². ერთ-ერთი ინფორმატორი ასე ხსნის იმას, თუ რატომ სვამდნენ „რჯულის კაცები“ მხარეებს ერთმანეთისაგან მოშორებით: „რჯულის კაცები მხარეებს შორ-შორს დასხამენ, ერთმანეთის ლაპარაკი არ უნდა გაიგონ. ზოგჯერ მხარეები იმუქრებიან. ეს თუ მეორე მხარემ გაიგო, ხელს შეუშლის შერიგებას“³. იგივეს ადასტურებს სხვა ინფორმატორიც: „მოდავეებს შორი-შორს სხამენ. ისინი ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, არ უნდა ესმოდეთ ერთმანეთის, მათ ერთმანეთი არ უნდა გააღიზიანონ და ჩხუბი არ მოხდეს“⁴. ასეთი ცნობების მოტანა ხვესურეთის შესახებ ეთნოგრაფიული მასალიდან (მხედველობაშია 1977 და 1988 წლებში ჩაწერილი მასალა) დაუსრულებლად შეიძლება.

როგორც მასალებიდან ირკვევა, სოფლებში იყო სპეციალური ადგილებიც, სადაც „რჯული“ იმართებოდა. ეს ადგილები მოსახერხებელი ყოფილა „რჯულის“ გასამართად. ერთ-ერთი თანამედროვე ინფორმატორი აღნიშნავს: „საერთოდ, მოდავეები ისეთ ადგილს ირჩევდნენ, რომ ვერ დაენახათ და არ გაეგონათ ერთმანეთის. გუდანში ასეთი ადგილი კოხა იყო. ... აგერ, ბარისახოს გაღმა, ბეწვის ხიდის გასწვრივ, ორი დიდი ლოდია, იქაც იკრიბებოდნენ თურმე „რჯულის კაცები“⁵. საინტერესოა, რომ რ. ხარაძის ინფორმატორთანაც ჩანს, რომ „გუდან კოხაზე რჯულის კაცების სადენ ალაგი იყო“⁶. ბაცალიგოელები იკრიბებოდნენ „ხარხოს წყალთან“⁷ და ა.შ.

როდესაც „ჯვარში“ ტარდებოდა „რჯული“, შესაძლოა, მედიატორებს ერთი მხარე თავისთან დაებარებინათ, მეორესთან კი ოჯახში მის-

¹ მ. კეკელია, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988, გვ 19.

² ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988, გვ 22.

³ ო. ზოიძე, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №1, 1988, გვ 17.

⁴ ო. ზოიძე, იქვე, გვ. 37-38.

⁵ ჯ. მერაბიშვილი, იქვე, გვ 21.

⁶ რ. ხარაძე, ხვესურული რჯული, ანალები, ტ. I, 1947, გვ 168.

⁷ მ. კეკელია, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №2, 1977, გვ 78.

ულიყვენენ. მთავარი იყო ძირითადი პრინციპის დაცვა — მხარეები ერთმანეთს არ უნდა შეხვედროდნენ და ერთმანეთის საუბარი არ მოესმინათ. ინფორმატორების განმარტებით, ერთ-ერთ კონკრეტულ საქმეზე „რჯულის კაცები“ (მათ შორის ინფორმატორიც — გ.დ.) საქმის გასარჩევად შეკრებილან არდოტში (ორივე მხარე აქედან იყო). კერძოდ კი, ჯვარის კარში. დაზარალებული მხარე თავისთან დაიბარეს ჯვარში, ხოლო ბრალდებულები ერთ-ერთი მეზობლის, ბენია ზვიადაურის ოჯახში (ეს შემთხვევა დაახლოებით 1978 თუ 1979 წელს მომხდარა)¹. ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით კი, თუ მხარეები ერთი სოფლის ხალხია, მაშინ შეიძლება რჯულის კაცები ოჯახებშიც მივიდნენ და იქ მოუსმინონ მხარეებს².

¹ მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, გვ 50-51.

² მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, №1, 1977, გვ 33; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №2, 1977, გვ 84.

სასამართლო პროცესი

ხევესურეთში სამედიატორო სასამართლოს ანუ „რჯულის“ ჩატარებასთან დაკავშირებით, ფიქსირდება სასამართლო პროცესის უძველესი ფორმა – საბრალდებო პროცესი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებითა და პრინციპებით. აღსანიშნავია, რომ ხევესურეთში საბრალდებო პროცესი კლასიკური სახით ვლინდება.

ხევესურეთში არ არის განსხვავება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესებს შორის. ასეთი განსხვავება შეუძლებელია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „რჯულის“ მიერ განსახილველი საქმეები მხოლოდ კერძო-სამართლებრივია. ისეთი დანაშაულებანი, როგორიცაა: მკვლელობა, დაჭრა-დასახინჩრება, ქურდობა და სხვა, კერძო სამართლის სფეროს მიკუთვნება. სრულიად შესაძლებელია ისინი კერძო დელიქტებად იყოს მოაზრებული. ამ საქმეებზე „რჯული“ ისევე ტარდება, როგორც სხვა კერძო დელიქტების ან გარიგებათა შეუსრულებლობის, ანდა ქონებრივი დაუვების დროსაა.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ ატარებენ სასამართლო პროცესს მხარეთა მიერ არჩეული „რჯულის“ კაცები¹. მივყვეთ უშუალოდ სასამართლო პროცესის ჩატარების სტადიებს.

§1. საქმის არსებითი განხილვა

პირველი სტადიაა საქმის არსებითი განხილვა. ამ სტადიაზე „რჯულის კაცებმა“ დაწვრილებით უნდა შეისწავლონ საქმე, ამიტომ შესაძლოა შუაკაცებსაც გამოჰკითხოთ საქმის არსი, რადგან ისინი კარგად არიან ყველაფერში გათვითცნობიერებულნი და შეუძლიათ საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ მედიატორებს. თავდაპირველად „რჯულის კაცები“ დაკითხავენ მხარეებს. მხარეებებთან ერთად პროცესს ესწრება რამდენიმე მისი ახლო ნათესავიც, ახლო ბიძაშვილი. ზოგიერთი ცნობით, შესაძლოა, მომჩივანის ან მოპასუხის ნაცვლად, სწორედ რომელიმე მათგანმა ილაპარაკოს, მაგალითად, გვარის უფროსმა კაცმა, რომელიც უფრო მჭკვერმეტყველია, გამოცდილია და იცის როგორ და რა უნდა ილაპარაკოს.¹ ხევესურები საერთოდ დიდ მნიშვნელობას ანი-

¹ დ. ცისკარაული. ხევესურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H კოლექცია №2814. გვ. 28.

ჭებდნენ მჭვერმეტყველებას. ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ ხეკოსურს ბევრი ლაპარაკი უყვარს და დიდად აფასებს მჭვერმეტყველებას, ბავშვებს პატარაობიდანვე კარგ სიტყვა-პასუხს ასწავლის¹. ეს მჭვერმეტყველება სასამართლო პროცესზეც ვლინდება. დ. ცისკარიშვილი აღნიშნავს, რომ ორივე მხარე ჩვენების მიცემამდე დგება და ქუდმოხდილი შესთხოვს ჯვარ-ანგელოზებს, რომ მათმა ძალამ ტყუილი არ ათქმევინონ. ცოდვაში ნუ ჩააყენებენ და „რჯულის კაცებსაც“ მისცენ წყალობა, რათა სამართლიანად გადაწყვიტონ დავა. ამ დროს ხევსური ცდილობს, იყოს კარგი მჭვერმეტყველი: „ღმერთო ღიღებულო, წმიდაო გიორგი და ყველა ანგელოზის ჯვრების სახელებს ჩამოთვლის. ხევსურეთის ჯვარ-ანგელოზნო, თქვენ გეხვეწებით, ნურას მათქმევინებთ ისეთს, რომ ტყუილი იყოს. ცოდვაში ნურაფერში შემოყვანთ და ამ კაცებსაც გარჯილობისათვის მიეცით წყალობა. ნუ დააკლებთ ამათ გვარში კარგის მთქმელსა, კარგის მქნელს, ხმიანს, ხმლიანს, მართალს, მაგარს“².

„რჯულის კაცები“ თავდაპირველად მომჩივანს (დაზარალებულს) დაჰკითხავენ და შემდეგ მოპასუხეს (დამნაშავეს)³.

მხარეთა დაკითხვის რიგითობა, შესაძლოა, წილისყრით გარკვეულიყო. ნ. ხიზანაშვილი წერს: „როგორც ბჭობა გაიმართება, მაშინვე წილს ჰყრიან ბჭენი და რომელ მხარესაც, მოჩივარს. თუ მოპასუხეს, წილი ერგება, პირველად ის ილაპარაკებს, – ლაპარაკი წილით არის. როცა ერთი მხარე გაათავებს ლაპარაკს, იმას დაითხოვენ. ... მერე მეორე მხარე ილაპარაკებს“⁴.

როგორც ჩანს, „რჯულის კაცებმა“ მხარეთა დაკითხვის დაწყებამდე იცოდნენ ზოგადად საქმის არსი და არ ჰქონდა მათთვის არსებითი მნიშვნელობა, თუ ვის დაჰკითხავდნენ პირველად. წილისყრის შესაძლებლობა თანამედროვე მასალებითაც დასტურდება. ერთ-ერთი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ „პირველად აჩივლებენ, ვისაც წილს უყრიან, წილის ყრა ასეა. მერჯულე კაცები აიღებენ ორ კენჭს. ერთს ნიშანს

¹ ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

² დ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

³ იხ. მ. კეკელია. მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988 წ., გვ. 55-56. „ჯურ დაზარალებულს გამოკითხეთ საქმის ვითარება. მერე აეღლი დამნაშავესთან; ჯ. შერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988 წ., გვ. 21; ასევე იხ. მ. კეკელია მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1977 წ., გვ. 55-56; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №6, 1977 წ., გვ. 14-15.

⁴ ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

გაუკეთებენ ან გამოსაცნობ კენჭს აიღებენ და იტყვიან, ვის სახელზეც ამოვა ის ვაჩივლოთ წინწინაო. ერთი კაცი, რომ არ უცქერდეს, ისე ამოიღებს წილს, და რომლის სახელზეც ის წილია იმას აჩივლებენ. ეს იციან მხარეებმა და ენდობიან მათ“. ამ ინფორმატორის თქმით, „რჯულის კაცები“ პირველად მიდიან „წილით ნამარგალთან“ (ე.ი. ნარგებთან)¹.

საერთოდ, „რჯულის კაცები“ თვითონ მიდიან ჯერ ერთ მხარესთან, დაწვრილებით გამოჰკითხავენ საქმის ვითარებას, ხოლო შემდეგ – მეორესთან, მეორე მხარეს სიტყვასიტყვით გადასცემენ პირველად დაკითხული მხარის ჩვენებას. „რჯულის კაცები“ ერთი მხარის ნალაპარაკევის (ჩვენების) გადაცემას ერთ-ერთ მათგანს დააეალებდნენ და ისიც შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით გადასცემდა მეორე მხარეს პირველის ნალაპარაკებს. თუ რაიმე გამორჩებოდა, მაშინ სხვა „რჯულის კაცებიც“ ჩაურთავდნენ სიტყვას (ისეთს არაფერს ილაპარაკებდნენ, რომ იგი გაღიზიანებულიყო).

თუ რომელიმე მხრიდან მუქარას ექნებოდა ადგილი, ან მეორე მხარისადმი შეურაცხყოფელ გამონათქვამს, ცხადია, „რჯულის კაცები“ ამას დაპირისპირებულ მხარეს დაუმალავდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში „რჯული“ ჩაიშლებოდა. „რჯულის კაცები“ შეძლებისდაგვარად არბილებდნენ მხარეთა მკვეთრ გამონათქვამებს. მათ არ შეეძლოთ დაეშვათ, რომ მხარეებამდე მეორე მხარის რომელიმე უხეში გამონათქვამი თუნდაც მცირედად არაკორექტული ფორმით მიეტანათ. პირიქით, მათ ერთმანეთის მთხოვნელად და პატივისმცემლებად წარმოაჩენდნენ და ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ მათში შერიგებისა და კომპრომისის განწყობა დაემკვიდრებინათ. ამას კი „რჯულის კაცთა“ მხრიდან საკმაო სიბრძნე და გამოცდილება სჭირდებოდა².

¹ შ. კეკელია, მასალები ხეცურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №2, 1977, გვ. 79-80.

² როგორც აღვნიშნეთ, „რჯულის კაცები“ თვითონ დადიან მხარეებთან, თუმცა ზოგიერთი ინფორმატორის განმარტებათ, როცა „რჯულის კაცები“ ჯვარში (ხატში) მივლენ საქმის გასარჩევად, ისინი მხარეებს რიკრიკობით ხატში იბარებენ დასაკითხად, ისე, რომ ერთმანეთს არ შესვდნენ (იხ. შ. კეკელია, მასალები ხეცურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №1 1977 წ., გვ. 33-34). მხარეები საქმის არსთან დაკავშირებით ჩვენების მიცემის გარდა, თავიანთ პოზიციასაც აუქისრებდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი განაჩენი იქნებოდა მათთვის მისაღები, რა ოდენობის „დრამა“ უნდა დაკისრებოდა დაზნაშავე მხარეს. ასე რომ, „რჯულის კაცებმა“ წინასწარ იცოდნენ, თუ დაახლოებით რა განაჩენი დააკმაყოფილებდა ან ურთ ან მეორე მხარეს. არცთუ იშვიათად, მხარეთა პოზიციები ამ თვალსაზრისით, გარკვეულწილად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

შემდეგ მეორე მხარე მისცემდა მოსამართლეებს თავის ჩვენებას, მას 'შეძლო მოწინააღმდეგის მტკიცების უარყოფა, თუმცა შესაძლოა დაედანსტურებინა კიდევ მოწინააღმდეგე მხარის ჩვენება (მაგალითად, დაჭრის თაობაზე, როცა დამნაშავე სახეზეა და საქმე „რჯულამდე“ მიდის, ხოლო დამჭრელი მხარეა „რჯულის“ მიერ დაკისრებული „დრამა“ გადაიხადოს, იგი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. აქ „რჯულის“ მთავარი პრობლემა „დრამის“ ოდენობის გარკვევაა, რასთან დაკავშირებითაც შეიძლება მხარეთა შორის წინააღმდეგობა იყოს. მხარეთა ჩვენებებში ამკარა წინააღმდეგობასა და ერთმანეთის ჩვენებათა უარყოფას, უფრო მაშინ ექნებოდა ადგილი, როდესაც სახეზე იყო ეჭვიმიტანილი, რომელსაც დაზარალებული აბრალებს დანაშაულის ჩადენას, ეჭვიმიტანილი კი უარყოფს ამას). „რჯულის კაცები“ შეიძლება იმდენჯერ მისულიყვნენ თითოეულ მხარესთან, რამდენჯერაც ამის საჭიროება იქნებოდა, რომ მხარეთათვის ერთმანეთის ნალაპარაკევი გადაეცათ და საქმის ცალკეული ნიუანსი დაეზუსტებინათ. ასე რომ, არ იყო გამორიცხული, პროცესი საჭიროებისდა მიხედვით მეორე დღესაც გაგრძელებულიყო.

პროცესზე შესაძლოა მოწმეებიც დაეკითხათ. „რჯულის კაცები“ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოწმეთა ზნეობრივ თვისებებს, მათ ობიექტურობას. ნ. ხიზანაშვილის განმარტებით, როცა მოწმეს წარმოადგენდა მხოლოდ ერთი მხარე, „რჯულის კაცები“ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაჰკითხავდნენ, თუ დარწმუნდებოდნენ მათ მიუდგომლო-

„რჯულის კაცებს“ კი ისეთი განაჩენი უნდა გამოეტანათ, რომ ორივე მხარე დასთანხმებოდა მის შესრულებას. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, „რჯულის კაცები“ ცდილობდნენ, მხარეები დათმობაზე დაეყოლიებინათ თითოეულ მხარესთან რამდენჯერმე მისვლა, შესაძლოა, ამიტომაც დასჭირებოდათ როგორც აღნიშნეთ „რჯულის კაცები“ თავისი დამარწმუნებელი საუბრით (თუნდაც იმაში დარწმუნებით, რომ მისი პოზიცია არასწორია), მჭერმეტყველებით, მეორე მხარის მოხიზველად, მოინანიელ წარმოჩენით, მტრობის უპერსპექტივობისა და შერიგების აუცილებლობის შთაგონებით, მხარეებში კომპრომისის განწყობას ქმნიდნენ და შესაბამისი თხოვნების საუბელზე, ხშირად აღწევდნენ. რომ მხარეები არბილებდნენ თვითნათ თავდაპირველ პოზიციას და მართლაც, მიღობდნენ დათმობაზე (ყოქეთ, დაზარალებულს შეიძლება „დრამის“ გარდა საკლავო მოთხოვნა, ხოლო „რჯულის კაცები“ გადააფიქრებინებდნენ ამას). რა თქმა უნდა, მათ ასეთ მოქმედებას იმის შეგნებაც განაპირობებდა, რომ ეს აუცილებელად შერიგებისა და მტრობის შეწყვეტისათვის, მაგრამ „რჯულის კაცთა“ მიერ შექმნილი სათანადო ფონი განმსაზღვრელი იყო მხარეთა მიერ საჭიროების შემთხვევაში კომპრომისზე წასახველად. ასეთი კომპრომისის პირობებში, „რჯულის კაცებს“ ცხადია, უადვილდებოდათ ორივე მხარისთვის შეტნაკლებად მისაღები განაჩენის გამოტანა და თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება – მხარეთა შერიგება. ასე რომ, „რჯულის კაცები“ საჭიროების შემთხვევაში, თითონ ქმნიდნენ ნიადაგს ეფექტური, შესრულებული განაჩენის მისაღებად. რამაც ხელაყდნენ კიდევ თავის ძირითად ფუნქციას. „რჯულის კაცებს“ მხარეთა დაყოლება დათმობაზე, შესაძლოა, განაჩენის გამოტანისა და მისი გამოცხადების შემდეგაც დასჭირებოდათ თუმცა ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბასა და კეთილსინდისიერებაში. თუ ორივე მხარე წარადგენდა მოწმეებს, მაშინ მათი ნებისმიერ შემთხვევაში დაკითხავდნენ, მაგრამ მათი ჩვენებების შეფასებისას, აუცილებლად გაითვალისწინებდნენ მოწმის ზნეობრივ თვისებებს, მის ობიექტურობასა თუ ტენდენციურობას. ხდებოდა მოწმეთა დაპირისპირებაც. მოწმე, შესაძლოა, რომელიმე მხარისთვის დაეპირისპირებინათ, არ იყო გამორიცხული, იგი პირზე დასდგომოდა ბრალდებულს და ეს მოწმე მთხრობელიც ყოფილიყო, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, როდესაც მოწმე საქმისთვის გადამწყვეტ ჩვენებას იძლეოდა, ე.ი. იყო ძირითადი მოწმე, შესაძლოა, მომხდარიყო მისი დაფიცებაც ჯვარში. არაძირითად მოწმეს, რომელიც არაარსებით ჩვენებას იძლეოდა, არ დააფიცებდნენ.

მოწმეები „რჯულის კაცებთან“ იმყოფებიან. მათ მხარეთა დაკითხვის შემდეგ დაკითხავენ. თუ „რჯულის კაცები“ მოწმეს ფიცს დააკისრებდნენ, საქმის განხილვა, „ბჭობა“, უნდა გადაედოთ არა უმეტეს ორი თვის ვადით, თუ რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება არ აღმოჩნდებოდა (მოწმის ავადმყოფობა, შორს წასვლა და სხვა). მოწმის ფიცს არც „რჯულის კაცები“ ესწრებიან და არც ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც იფიცებს მოწმე, ე.ი., რომელმაც ეს მოწმე დაასახელა. ესწრება მხოლოდ ე.წ. ფიცის მაყურებელი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის ნათესავია. სწორედ იგი გადასცემს მოდავე მხარეს ინფორმაციას, თუ როგორ ჩატარდა დაფიცება და რა შედეგი მოჰყვა ამას¹.

თუ ადგილი ექნებოდა ე.წ. „ჭრა-ჭრილობის“ რჯულს, ანუ დაჭრადასახიჩრების საქმის განხილვას, ჩვეულებრივი მოვლენა იყო პროცესზე დაჭრილის მკურნალი ექიმის დასწრება, რომელმაც ზუსტად იცოდა, თუ რა ხარისხის, რა სიმძიმის ჭრილობა მთარჩინა. ამიტომ ექიმის ჩვენებას ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. „რჯულის კაცები“ თვითონაც ამოწმებდნენ მიყენებულ ჭრილობებს და გარკვეულ წარმოდგენას იქმნიდნენ მათ სიმძიმეზე.

§2. განაჩენის გამოტანა

საქმის არსებითად განხილვის შემდეგ იწყება პროცესის მეორე სტადია – განაჩენის გამოტანა. „რჯულის კაცები“ განმარტოვდებოდნენ (მათ გარდა, არავის ჰქონდა უფლება დასწრებოდა მათ მსჯელობას,

¹ ნ. ხიზანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

იმით უშეგტეს, „რჯულის კაცთა“ საუბარს. თუ ვინ რა თქვა, საიდუმლოდ ინახებოდა) და საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იწყებდნენ მსჯელობას, თუ რა განაჩენი გამოეტანათ.

ხვესურთა რწმენით, უსამართლო განაჩენის გამომტანსა და მის ოჯახს, შთამომავლობას ჯვარ-ხატები დიდ უბედურებას მოუვლენდნენ და არც საიქიო წაწყმედა ასცდებოდათ¹.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალზე საკმაოდ დიდია რელიგიურ-სარწმუნოებრივი ფაქტორების გავლენა. საზოგადოებაში, სადაც ჩვეულებითი სამართლის პრიმატია, საზოგადოებრივ მართლშეგნებას ფაქტობრივად აყალიბებს და განსაზღვრავს მათი რელიგიურ-სარწმუნოებრივი მრწამსი. საზოგადოების რელიგიურ-სარწმუნოებრივი შეხედულებანი ჩვეულებით-სამართლებრივი ნორმების საფუძველს წარმოადგენს.

გამონაკლისი არც ხვესურთა რწმენა-შეხედულებანია, სადაც საკმაოდ მძლავრია წარმართული ელემენტი. ცნობილია, რომ ხვესურთა რწმენა-წარმოდგენებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიცვალებულის კულტს. ხალხის რწმენით, მიცვალებულთა სულები დიდ გავლენას ახდენენ ხალხის ბედ-იღბალზე, იწვევენ ჩხუბსა და აყალმაყალს, ბარაკასა და უბარაქობას, რაც ჩვენთვის ძალზე საინტერესოა, გავლენას ახდენენ „რჯულის“ გადაწყვეტილებაზე. მიცვალებულთა სამყაროზე რწმენა-შეხედულებით, მიცვალებულთა სულები უშუალოდ მონაწილეობენ სადავო საქმეთა განხილვაში, გავლენას ახდენენ სასამართლოზე და, ხალხის რწმენით, თუ მათ არ გააჩივს ეს საქმე, „რჯულის“ ძალისხმევა სრულიად უშედეგო იქნება.

XX საუკუნის 30-იან წლებში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, როდესაც სამზეოში მოხდება მკვლელობა, როგორც აქ გადაემტერებიან ერთმანეთს გვარში, აგრეთვე სულეთშიც – იქაც „აირევიან“. თუ სამზეოს მტრები არიან შესარიგებელი, ძალიან ბევრსაც რომ

¹ შედარების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის პირველივე მუხლში, კანონმდებელი მეფე შეახსენებს მოსამართლეებს, რომ ღმერთი მათგან მხოლოდ სამართლიანობას ითხოვს, ხოლო უსამართლობის შემთხვევაში, მოსამართლეს უსასტიკესი ღვათა-ბრივი სანქცია ელის: „უსამართლობა ამა სოფლის კაცს უქიოდ აღმოჰხუზრის და გარდააღლინეს, დღეთსიგარძობას მოუკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ცანი ცვარს დაკლებენ და ქვეყანა-ნაყოფს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წარწყმედს და საუკუნო ხატანჯეულს დაუწყიდრებს (ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, გვ. 479).

ეცადონ „რჯულის კაცები“, ვერ შეარიგებენ, სანამ საიქიოს არ გადაწყვეტენ მათ შერიგებას. სანამ „სულეის“ არ დასხდებიან „რჯულის კაცები“ და არ გაარჩევენ მათ საქმეს, მანამდე სამზეოს მტრებს ვერ შეარიგებენ. რამდენჯერაც არ უნდა შეიკრიბონ მათ საქმეზე „რჯულის კაცები“, სანამ სულეთიდან ხელს არ მოუმართავენ, მათი შერიგება არ მოხდება¹.

ამრიგად, ხევსურთა რწმენით, სხვადასხვა გვარებს, ოჯახებს შორის კონფლიქტი მიცვალებულთა სამყაროდან მომდინარეობს და იგი მხოლოდ მაშინ მოგვარდება და „რჯულის კაცების“ ძალისხმევა მაშინ იქნება შედეგიანი, თუ კონფლიქტში მონაწილეთა ახლობლების სულელები საიქიოში მორიგდებიან. თუ ეს არ მოხდა, კონფლიქტი აუცილებლად გაგრძელდება და, შესაძლოა, გამძაფრდეს კიდევ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხევსურული ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმების შინაარსი გარკვეულწილად მიცვალებულთა სამყაროს შესახებ რწმენა-შეხედულებებითაა განპირობებული. თუმცა ეს ცალკე კვლევის თემაა და მასზე აქ აღარ შევჩერდებით. ახლა დაკუბრუნდეთ „რჯულის კაცების“ მიერ განაჩენზე მსჯელობისა და განაჩენის გამოტანის პროცედურას.

„რჯულის კაცები“ რიგრიგობით გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს, თათბირობდნენ, კამათობდნენ, დაბოლოს, საერთო გადაწყვეტილებამდე მიდიოდნენ. თუ პიროვნებაზე მხოლოდ ეჭვი იყო, მას ჯვარში დაფიცებას, ან საფლავეზე შედგომით ცოდვის მოკიდებას („ყურის მოჭრას“) შეუთვლიდნენ თავის მართლების მიზნით, თანამოფიცრებთან („ხელს მამკიდებთან“) ერთად.

თუ უარს იტყოდა დაფიცებაზე (ან ცოდვის მოკიდებაზე) თვით ეჭვმიტანილი, ან რომელიმე თანამოფიცარი, ფიცი „ტყდებოდა“ და ეჭვმიტანილი დამნაშავედ ჩაითვლებოდა. ამ შემთხვევაში მას უკვე გადასახადი უნდა გადაეხადა დაზარალებულისთვის, რომლის ოდენობას, თუ ეს საჭირო იქნებოდა, „რჯულის კაცები“ განსაზღვრავდნენ. თუ პირს მკვლელობა დაუმტკიცდებოდა, მას რიგი უნდა ეყენებინა დაზარალებული მხარისათვის და „რიგის ყენება“, მიუხედავად იმისა, რომ მოკლული დასაფლავებული იყო, „მიწათში საკლავით“ უნდა დაწყებულყო („რჯულის კაცებს“ ეჭვმიტანილისთვის ფიცის ან ცოდვის მოკიდების დაკისრებასთან ერთად, შესაძლოა, „დრამაც“ განესაზღვრათ,

¹ შ. ბალიაური, ნ. მაკალათა. მიცვალებულის კულტი არხოტას თემში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, გვ. 61.

ფიცის გატეხვის შემთხვევისთვის). თუ მოპასუხის მიერ დანაშაულის ჩადენა ეჭვს არ იწვევდა და ისიც აღიარებდა დანაშაულს, მაშინ „დრა-მის“ (გადასახადის) ოდენობაზე იმსჯელებდნენ. განაჩენის გამოტანისას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პრეცედენტს მოცემულ საქმეზე ანუ „ანდრეზს“. „რჯულის კაცები“ აუცილებლად გაიხსენებდნენ თუ როგორ გადაწყდა ანალოგიური საქმე ძველად. ხვესურული „რჯულის“ ცოდნა, სწორედ „ანდრეზების“ ცოდნას გულისხმობდა. ანდრეზების მნიშვნელობაზე ხვესური ინფორმატორებიც მიუთითებენ. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, რომ „ანდრეზებს რჯულის დროს ძირითადი მნიშვნელობა აქვს და საქმე ამ ანდრეზების მიხედვით უნდა გადაწყდეს“¹.

„რჯულის კაცები“, როდესაც განაჩენის („ნარჯულევის“) გამოტანაზე მსჯელობას დაიწყებდნენ, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს მიმართავდნენ, თუ რა ანდრეზი გაუგიათ მსგავს საქმესთან დაკავშირებით შეიძლება „რჯულის კაცები“ სხვადასხვა თემის, ხვესურეთის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ და ამ დროს ჰკითხავდნენ ერთმანეთს, თუ მათთან როგორ გადაწყვეტილა ასეთი ამბები. შესაძლოა, მოცემულ საქმეზე ხვესურეთის ერთ კუთხეში ვერ გაეხსენათ „ანდრეზი“, მაგრამ სხვა კუთხიდან მოწვეულ „რჯულის კაცს“ სათანადო „ანდრეზი“ გაეხსენებინა, სწორედ მისი კუთხის სასამართლო პრაქტიკიდან. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს: „მძიმევიეს რჯულის კაცად, შემეკითხნენ, როგორ მომხდარა ჩვენში ასეთი საქმეები. მეც მათ შევეკითხე, მათთან როგორ იყო ასეთი საქმეების რჯული, რით უნდა იმართლონ თავი. შევთანხმდით, რომ ასეთი წესია: „ის ბიჭი უნდა შეხდეს ამ ქალის ქმრის საფლავზე და ყური მოიჭრას“². თუ კონკრეტულ საქმეზე „ანდრეზს“ გაიხსენებდნენ, მაშინ, ცხადია, განაჩენს ამ „ანდრეზის“ მიხედვით გამოიტანდნენ. „ანდრეზი“ ყველა საქმეზე არსებობდა და, როგორც წესი, „რჯულის კაცები“ იხსენებდნენ მას.

ერთ-ერთი თანამედროვე ინფორმატორი მიუთითებს, რომ ყველა საქმე „ანდრეზების“ მიხედვით ირჩეოდა და მას არ ახსოვს შემთხვევა, რომ რაიმე საქმეზე „ანდრეზი“ არ ყოფილიყო, არ გაეხსენებინათ, თუმცა ახლა გამონაკლისის გარდა, „რჯულის კაცებმა“ არ იციან ძველი

¹ დ. ჯალაბაძე, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988, გვ. 27-28.

² მ. კეკელია, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, № 5, 1977, გვ. 21.

„ანდრეუბები“¹, მეორე თანამედროვე ინფორმატორი ჩამოთვლის ცნობილ „რჯულის კაცებს“, თუმცა იქვე მწუხარებით მიუთითებს, რომ „რჯულის კაცები“ ისე ვეღარ არიყვენ საქმეს. როგორც ძველად. ზოგი აღარც იჯერებს მათ „ნარჯულევს“ და ზოგს აღარც ახსოვს ყველაფერი².

განაჩენის გამოტანისას „რჯულის კაცები“ მხედველობაში იღებდნენ მრავალ გარემობას — მხარეების, მოწმეების, ექიმის ჩვენებას, დანაშაულის ჩადენის მიზეზსა თუ საბაბს, რა შედეგი მოჰყვა დანაშაულებრივ ქმედებას და სხვა. საქმის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ გამოჰქონდათ განაჩენი.

თუ ორივე მხარეს აქვს ჩადენილი დანაშაული, ზიანი აქვთ ერთმანეთისთვის მიყენებული, „რჯულის კაცები“ განაჩენის გამოტანისას შეაფასებენ ორივე მხარის მიერ მიყენებული ზიანის ოდენობას, განსაზღვრავენ, თუ რომელ მხარეს რამდენი „დრამა“ აქვს გადასახდელი, ხოლო შემდეგ მოახდენდნენ „გაბრას“, ძველი ქართული სამართლისათვის დამახასიათებელ ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთ ყველაზე გაურკველებულ ფორმას (იგივე ვალდებულების გაქვითვა). მაგალითად, მოხდა ურთიერთდაჭრა (არა აქვს მნიშვნელობა ვისი მიზეზით, ჰქონდა თუ არა ადგილი მოგერიების ფაქტორს, მთავარია, მიყენებული ჭრილობის სიმძიმე, ე.ი. გადაწყვეტია ობიექტური შერაცხვის პრინციპი), ერთ მხარეს გადასახდელი აქვს 20 ძროხის „დრამა“, მეორეს — 15. „რჯულის კაცები“ მოახდენენ ამ გადასახადთა „გაბრას“, მეტ გადასახადს (ამ შემთხვევაში 20-ს) გამოაკლებენ ნაკლებს (15-ს). ნაშთი, 5 ძროხის „დრამა“ დაეკისრება იმ მხარეს, რომელსაც მეტის გადახდა ეკისრებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი, რომელიც დაზარალებული იყო დაჭრის საქმეზე, იხსენებს, რომ მხარეთა დაკითხვიდან ორი საათის შემდეგ, მივიდნენ მასთან „რჯულის კაცები“ და გამოუცხადეს:

¹ დ. ჯალაბაძე, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რეველი. 1988, გვ. 54.

² დ. ჯალაბაძე, იქვე, გვ. 27-28. ამ ინ-ს „მატორთა მათი თანამედროვე „რჯულის კაცებისაღი“ დამოკიდებულებიდან გამომდინარე, სრულებითაც არ არის გამორიცხული, რომ გამონაკლის შემოსვევამ. „რჯულის კაცებს“ კონკრეტულ საქმეზე ვერც გაეხსენებინათ „ანდრეუბი“. ამ დროს „რჯული“ დაიშლებოდა. ცხადია, ხალხი დაინტერესდებოდა, თუ რატომ ვერ მორიგდნენ მხარეები და გამოიწდებოდა ვინმე „რჯულში“ გაცნობიერებული პიროვნება, რომელიც „რჯულის თავს“ ან „ანდრეუსს“ გაიხსენებდა მოცემულ საქმეზე. ახალი „რჯულის“ შემოსვევაში, ეს „ანდრეუბი“ იქნებოდა გამოყენებული განაჩენის გამოტანის საფუძვლად.

„შენი ნაჭრევი (ე.ი. შენ მიერ მიყენებული ჭრილობის ფასი) 18 ძროხაა, იმათი ნაჭრევი — 12, ერთმანეთში გაიბრა და დარჩა 6 ძროხა“.

ასეთი ფაქტები ხევსურული სინამდვილიდან ძალზე სშორია. განაჩენის გამოტანისას „გაბრა“ ჩვეულებრივი მოვლენაა. დანაშაულის „გაბრა“ კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვეულებითი სამართლისათვის. ეს ინსტიტუტი „ჩარონინების“ სახელით ქართული სამართლის ძეგლებშიც გვხვდება (იხ. ვახტანგის სამართლის წიგნის 36-ე, 42-ე, 90-ე, 94-ე მუხლები), ასევე გვიანფეოდალურ სასამართლო ხასიათის დოკუმენტებშიც. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ჩარონინება“ „გაბრას“ უდრის².

„რჯულის კაცები“ შეკრებდნენ თითოეული მიყენებული ზიანისათვის განსაზღვრულ გადასახადს და ასე ადგენდნენ ერთ-ერთი მხარის მიერ გადასახადი „დრამის“ ოდენობას. მაგალითად, დაჭრის საქმეზე, შესაძლოა, ორივე მხარეს რამდენიმე ჭრილობა ქონოდა ერთიერთისათვის მიყენებული, ისინი ცალ-ცალკე შეაფასებდნენ ამ ჭრილობებს, თითოეულისთვის განსაზღვრავდნენ „დრამას“ და შეკრებდნენ. ჯამი იქნებოდა საბოლოო გადასახადი. ერთ-ერთი დაზარალებული, საკმაოდ მძიმედ დაჭრილი მუცელსა და თავში, გვიყვება მის დაჭრასთან დაკავშირებით „რჯულის“ ჩატარების პერიპეტიებს და აღნიშნავს, რომ განაჩენის გამოცხადებისას ერთ-ერთმა „რჯულის კაცმა“ მას გამოუცხადა განაჩენი: „ოცდაათი ძროხა ... მუცელში რომ ჭრიდა იმაზე ეთქვითო, ხუთ-ხუთი ძროხა თავის ნაჭრევებში, ზეთა ძეგლები რო არ ამოსულა, სულ 45 ძროხა თქვეს...“³. აქ კარგად ჩანს, რომ „რჯულის კაცებმა“ თითოეული ჭრილობა მუცელშიც და თავშიც (სამივე ცალ-ცალკე) ინდივიდუალურად შეაფასეს მათი სიმძიმის მიხედვით, შეკრიბეს და მიიღეს დამჭრელი მხარის გადასახდელი „დრამის“ საერთო ოდენობა. შესაძლოა, „რჯულის კაცებს“ შორის უთანხმოება, კამათი ყოფილიყო. უმრავლეს შემთხვევაში „რჯულის კაცები“ მაინც ახერხებდნენ ამ წინააღმდეგობის დაძლევას, თუნდაც გარკვეული კომპრომისის ხარჯზე, რაც ჩვეუ-

¹ მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რეული №2, 1977., გვ 66.

² იხ. მ. ქიქოძე, დამატკიცებულ საბოთა ისტორიისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში. „საქართველოს სასულიერო მუზეუმის მოამბე“, ტ. XX, № 1, 1959., გვ 129; მ. ლეკიშვილი, სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, გვ 32-33.

³ მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რეული №1, 1977., გვ 57.

ლებრივი მოვლენაა „რჯულისათვის.“ „რჯულის კაცებს“ შეგნებული ჰქონდათ თავიანთი პასუხისმგებლობა. მათ კარგად ესმოდათ, თუ ისინი საერთო გადაწყვეტილებამდე არ მივიდოდნენ, მხარეები ძტრებად დარჩებოდნენ და შერიგების შანსი, რომელიც მათ ხელთ იყო და რომლის ბედიც მხარეებმა ამ კონკრეტულ პიროვნებებს ანდეს, შესაძლოა, დაკარგულიყო. სირცხვილადაც კი ითვლებოდა, რომ „რჯულის კაცები“ საერთო გადაწყვეტილებამდე არ მისულიყვნენ.

მაგრამ, თუ „რჯულის კაცებს“ შორის უთანხმოება მაინც რჩება და ისინი ვერ ახერხებენ საერთო, ყველასთვის მისაღები განაჩენის გამოტანას, მაშინ „რჯული“ იშლება. შესაძლოა, ერთ გადაწყვეტილებას მეტი „რჯულის კაცი“ უჭერდეს მხარს, ვიდრე მეორეს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა მაინც არა აქვს – საბოლოო განაჩენი არ შედგება. „რჯულის კაცები“ ასეთ შემთხვევაში უცხადებენ მხარეებს, რომ ვერ მორიგდნენ და საერთო გადაწყვეტილება ვერ გამოიტანეს, ამიტომ ურჩევდნენ მხარეებს, რომ ახალი „რჯულის კაცები“ აერჩიათ. თუ რატომ ვერ შეთანხმდნენ, რომელი „რჯულის კაცი“ რა პოზიციაზე იდგა, ეს საიდუმლოდ რჩება¹.

სრული შესაძლებელია „რჯულის კაცებს“ გადაედოთ კონკრეტულ საქმეზე განაჩენის გამოტანა გარკვეული ვადით, თუ მათი აზრით, ამისათვის სათანადო საფუძველი არსებობდა. ისინი ამ დასკვნამდე განაჩენზე მსჯელობისას შეიძლება მისულიყვნენ. ხევესრული „რჯულით“ არ იყო წინასწარ განსაზღვრული, თუ რა შემთხვევებში შეეძლოთ, ან მით უმეტეს ვალდებულნი იყვნენ „რჯულის კაცები“ გადაედოთ განაჩენის გამოტანა (ასეთ ვალდებულებაზე ლაპარაკიც ზედმეტია). „რჯულის კაცები“ კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეული მიზეზის არსებობისას, თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ, იღებდნენ გადაწყვეტილებას განაჩენის გამოტანის გადადების შესახებ. ეს ძირითადად მაშინ ხდებოდა, როცა „რჯულის კაცები“ ჩათვლიდნენ, რომ მათ რაღაც ფაქტორმა ხელი შეუშალა ობიექტური ინფორმაციის მიღებაში და არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ „ნარჯულევი“ მათ ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე იქნებოდა ობიექტური და სამართლიანი. მოვიყვანთ განაჩენის გადადების კონკრეტულ შემთხვევას, რომელსაც თვით „რჯულის კაცი“ გვიამბობს: „დაახლოებით 10 წლის წინათ (ინფორმაცია დაფიქსირებულია

¹ დ. ცისკარაული, დასახ. ნაშრ., 30; იგივე ფიქსირდება მ. კეკელიას მიერ ჩაწერილ მასალებშიც: მ. კეკელია, მასალები ხევესრულ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რვეული ჯან. 1977., გვ. 45.

1988 წელს — გ.დ.), ბიძაშვილი ბავშვები თამაშობდნენ, რა დროსაც ალექსი მურლოვეის სახლ-კარს წაუკიდეს ცეცხლი. დაიწვა სახლიცა და თივაც. ტიტველი დარჩა კაცი, რის გამოც ანაზღაურება მოითხოვა ბიძაშვილებიდან. რჯულის კაცებად აგვირჩიეს მე და ზვიადური თარძია. გავიკითხ-გამოვიკითხეთ, როგორც გამოვარკვიეთ იშობრად მომხდარა. ჩვენი ეჭვი შეგვივიდა, რომ იქნება მოპასუხის ბავშვები, რადგან პატარები არიან, შიშის გამო (მომჩივანის ბავშვები უფრო დიდები იყვნენ) დებენ თავს დამნაშავედ? ამიტომ ასეთი ნარჯულევი გამოვიტანეთ: 4-5 წლის შემდეგ, როცა დაიზრდებიან ეს ბავშვები, თითონ იტყვიან, რაშიც იყო საქმე-თქო. ეს გამოვაცხადეთ, მართლაც, გავიდა რა დრო, თვით ბავშვებმა თქვეს, რომ ცეცხლი დაზარალებულის ძმისშვილმა გააჩინა¹. ამ ცნობის მიხედვით „რჯულის კაცთა“ გადაწყვეტილება საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანის გადადების შესახებ „ნარჯულევადაა“ მოხსენიებული. რაც ლოგიკურია, იგი ხომ საქმის „გარჯულვის“, განხილვის, მოთათბირების შედეგია. როგორც დავინახეთ, „რჯულის კაცებმა“ კონკრეტული გადაწყვეტილება არ გამოიტანეს, ბრალდებულ მხარეს არ დააკისრეს „დრამის“ გადახდა იმის გამო, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ზეწოლას მოპასუხე მხარეზე (ისინი ბავშვები იყვნენ, უფრო უმცროსები, ვიდრე მომჩივანი მხარის) და ამიტომ 4-5 წლით გადადეს საბოლოო განაჩენის გამოტანა, ე.ი. მათ მიიღეს შუალედური გადაწყვეტილება, რომლითაც ისინი უნდა დალოდებოდნენ მოპასუხეთა გაზრდას, სამართლიანი გადაწყვეტილების ხელისშემშლელი ფაქტორის ნიველირებას, ხოლო შემდგომში, როცა უკვე უფრო ობიექტური პირობები შეიქმნებოდა — ბავშვებზე „ზეწოლის“ შესაძლებლობა მოისპობოდა, მოხდებოდა საბოლოო განაჩენის, „ნარჯულევის“ გამოტანა.

§3. განაჩენის გამოცხადება მხარეთათვის

პროცესის შემდეგი სტადია ეს იყო განაჩენის გამოცხადება მხარეთათვის. განაჩენის გამოცხადების ცერემონიალი „რჯულის“ ჩატარების ადგილას იმართებოდა. განაჩენს ცალ-ცალკე უცხადებდნენ მხარეებს. ერთ-ერთი „რჯულის კაცი“ დგებოდა, ქუდს მოიხდიდა და დაზარალებულსა თუ მოპასუხეს ამცნობდა „რჯულის“ გადაწყვეტილებას: საერ-

¹ მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, გვ. 53.

თო წესით, ნარჯულევს ჯერ იმ მხარეს გამოუცხადებდნენ, რომელსაც „დრამის“ გადახდა ევალებოდა. ერთ-ერთი „რჯულის კაცი“ მოგვითხრობს, თუ როგორ გამოაცხადა განაჩენი კონკრეტულ საქმეზე: „როცა გადაწყვეტილი იქნა ეს საქმე, მივედი ხეთისო არაბულთან (დამჭრელი – გ.დ.) და გამოვეუცხადე, რომ დავაკისრეთ 35 ძროხა. თანახმა ვარო. ახლა გიორგი ალუდაურთან და მის ძმასთან ბათურასთან მივედით (დაზარალებული მხარე), იგივე ვუთხარიო. ისინიც დაგვეთანხმნენ, მერე გაიყარნენ“¹, ალ. ოჩიაურის მასალებშიც კარგად ჩანს, თუ როგორ უცხადებს „რჯულის კაცი“ „ნარჯულევს“ მხარეებს, ხვესურთათვის დამასხასიათებელი მჭევრმეტყველებით. ეს განაჩენის გამოცხადების შესანიშნავი ნიმუშია: „... ნარჯულევის გამოცხადებლად დაიბარეს დაზარალებული, ერთ-ერთი რჯულის კაცი ადგა, ქული მოიხადა, ხვესურეთის სალოცავები ახსენა და სთქვა: ჩვენ ისრ გვიშველან ე ნახსენებთ ხთიშვილს, როგორც ვეცადენით საქმე სისწორით გაგვეჩვიო. არ ვისად გაგვეც ნამეტნავად შამწეობა-გადამწეობა, მართალია შენებ ნაჭრეები ბევრს დრამას იჭერს, სამოც ძროხამდინ, მაგრამ შენ ჩვენზე კარგად იცი, რო სამოც ძროხა კაცის თავ-სისხლს იშორებს. შენ კი ღმერთმა ადამის ღღენ მაგცნას ცოცხალი ხარადა, ცხოვრებასაც იქავ შაზძლებ. არც უნდა ამთვენ ბევრ გვეთქვათ მაგრამ აქავ ისევ დავამკვლევთ, რო კლოვისად გამთილდასათ იარალი ერთმანეთზე იხმარას, არა ისრ, რო მტერ ურჯულოზე...“². ამკარაა, რომ, „რჯულის კაცები“ კონკრეტულად განუმარტავენ მხარეებს თუ რა განაჩენი გამოიტანეს, რატომ, რის საფუძველზე, თუ შეამცირეს „დრამა“, რატომ გააკეთეს ეს. ზემოთ მოყვანილ მაგალითში „დრამა“ 60 ძროხა უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაკი 60 ძროხა კაცის „თავისიხლს“ უდრის, ხოლო დაზარალებული (დაჭრილი) ცოცხალი გადარჩა, ამიტომ „დრამა“ 50 ძროხამდე შეამცირეს და განაჩენის გამომცხადებელი „რჯულის კაცი“ ამას უხსნის კიდევ დაზარალებულ მხარეს. „რჯულის კაცთა“ განმარტებით, მათ ნაკლებიც უნდა დაეკისრებინათ დამნაშაუვისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ მომავალში უფრო გაფრთხილებულიყვნენ, „დრამის“ კიდევ მეტად შემცირებისაგან თავი შეიკავეს, ე.ი. სასჯელის დაკისრებას ამკარად გამოხატ-

¹ მ. კეკელია, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი № 6, 1977, გვ. 20-21.

² დ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულებითი სამართლის კვლევის ისტორიიდან, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, გვ. 84.

ული პრევენტული დატვირთვაც აქვს და ეს სრულად არის გაცნობიერებული ხევესური „რჯულის კაცების“ მიერ. „რჯულის კაცებს“ შეიძლება მხარეთა დარწმუნებაც დაჭირდეს იმაში, რომ მათი განაჩენი მართლაც სამართლიანია, ანდა მათ მიერ „დრამის“ შემცირება აუცილებლობითაა ნაკარნახევი.

სანამ პროცესის შემდგომი სტადიის განხილვაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია ვისაუბროთ „რჯულის კაცების“ მიერ გამოტანილი განაჩენის სავალდებულობის საკითხზე.

ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი, უძველესი სასამართლო დაწესებულების, სამედიატორო სასამართლოს განაჩენი ფაქულტატურობის ნიშანს ატარებს, რაც თვალნათლივ ჩანს ხევესურეთთან დაკავშირებით. აქ არ არსებობდა არავითარი დაწესებულება, რომელიც განაჩენის აღსრულებას უზრუნველყოფდა. განაჩენის აღსრულება მთლიანად მხარეთა ნებაზე იყო დამოკიდებული. განაჩენის გამოცხადების საილუსტრაციოდ მოყვანილ კონკრეტულ მაგალითში აშკარად გამოჩნდა, რომ ინფორმატორი, რომელიც „რჯულის კაცად“ იყო მოცემულ საქმეზე, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ორივე მხარე დათანხმდა „რჯულის კაცების“ მიერ გამოტანილ განაჩენს. თუ რომელიმე მხარე არაობიექტურად, უსამართლოდ ჩათვლიდა „რჯულის კაცების“ მიერ გამოტანილ განაჩენს, შეეძლო ახალი „რჯული“ მოეთხოვა და არ იყო გამორიცხული შუაკაცების მეშვეობით „რჯულის“ მეორედ, შესამედ, შეოთხედ და ა.შ. ჩატარება. განაჩენის გამოცხადებისას „რჯულის კაცებს“ შესაძლოა განეცხადებინათ მხარეებისათვის – „ან ჩვენი განაჩენი შეასრულეთ, ან სხვა „რჯულის კაცები“ შეკრიბეთ“. რ. ხარაძის ინფორმატორი ასე აღწერს გამტყუნებული მხარისათვის განაჩენის გამოცხადებას. „რჯულის კაცი“ ეუბნება მათ: „გახმტყუნდიე შენაო, შენ უნდა აიტანა და მაგას ჩააბარაო, თუ მაინც არ დაიჯერებ მაგასო. არ ხმტყუნდებიო, სხვებ კაცებ მაიყვანეო“¹. მსგავსი მიმართვა მხარეებისადმი უფრო გვიანდელ ეთნოგრაფიულ მასალაშიც გვხვდება. ერთ-ერთი ინფორმატორი („რჯულში“ მონაწილე მხარე) მოგვითხრობს: „რჯულის კაცები წავიდეს გასარჯულავად ცალკე ველზე. მემრ რომ გარჯულეს, ერთ

¹ რ. ხარაძე, ხევესურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, გვ. 168-169.

კაც მერჯულე კაცებს შორით მოვიდა ჩვენთან და გვითხრა: „ჩვენ გაერჯულეთ თქვენი საქმეო. თუ დაგვიჯერებთ მადლობელი ვიქნებითო, თუ არა და სხვა რჯული იქენითავ“¹. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. თეორიულად „რჯული“ შეიძლება იმდენჯერ ჩატარებულიყო, რამდენჯერაც ამას მხარეები მოისურვებდნენ, და ეს გაგრძელებულიყო მანამ, სანამ მედიატორები ორივე მხარისათვის მისაღებ გადაწყვეტილებას არ მიიღებდნენ.

ზოგიერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ „რჯული“ ერთი და იგივე საქმეზე შეიძლება ჩატარდეს მაქსიმუმ ცხრაჯერ, „რჯული ცხრამდე მიდის“².

თუმცა ისინი არ ხსნიან, თუ რატომ მაინცდამაინც ცხრაჯერ შეიძლება ჩატარდეს „რჯული“ ერთსა და იმავე საქმეზე. აქვს თუ არა ამ ციფრს რაიმე საკრალური დატვირთვა ან სარწმუნოებრივი საფუძველი. (თუ ასეა, მაშინ ეს შემდგომი კვლევის საგანი შეიძლება იყოს), არის თუ არა ეს დადგენილი ხევესურული „რჯულით“. „რჯულის“ დანიშნულებიდან და ჩატარების პრინციპებიდან გამომდინარე, ეს შეზღუდვა არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, დაეუშვათ „რჯული“ ჩატარდა ცხრაჯერ, რატომ არ უნდა ჩატარდეს მეათედაც. თეორიულად ხომ არის დასაშვები, რომ მეათე, მეთერთმეტე და ა.შ. „რჯული“ წარმატებული გამოდგეს და მხარეთა მორიგებით დასრულდეს? სადაც ცხრაჯერ ჩატარდა „რჯული“ და კიდევ იყო იმედი მხარეთა მორიგებისა, რატომ არ უნდა ჩატარდეს მეათედ? ჩვენ ხელთ არსებულ საკმაოდ დიდი მოცულობის ეთნოგრაფიულ მასალაში არ გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც „რჯული“ ცხრაჯერ ჩატარდა უშედეგოდ და მეათედ მისი ჩატარება აღარ მოხდა იმის გამო, რომ ეს ხევესურული „რჯულით“ იკრძალებოდა. ამიტომ, ჩვენ დარწმუნებით არ შეგვიძლია დავადასტუროთ ან ცალსახად უარყოთ ცალკეული თანამედროვე ინფორმატორის მტკიცება, რომ „რჯული“ ერთსა და იმავე საქმეზე შეიძლება ჩატარდეს არა უმეტეს ცხრისა. ჩვენ ვერჯერობით ვიხრებით იმ მოსაზრებისაკენ, რომ „რჯული“ შეიძლება ჩატარდეს იმდენჯერ, რამდენჯერაც ამის საჭიროება იქნება და რაიმე შეზღუდვა ამ თვალსაზრისით „რჯულის“ შინაგან

¹ მ. კეკელია, მასალები ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული № 2, 1977, 56-58.

² მ. კეკელია, მასალები ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული № 5, 1977, გვ. 40. მ. კეკელია, მასალები ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული №2, 1977, გვ. 84.

ბუნებას არ შეესაბამება. თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთსა და იმავე საქმეზე „რჯულის“ ცხრაჯერ ჩატარება გამონაკლისი შემთხვევა თუ იქნებოდა, ეს საკითხი არ უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით აქრუ-ალური ხვესურული სამართლისათვის (ინფორმატორთა უმრავლესობა არც ამახვილებს ამაზე ყურადღებას). თუმცა ჩვენ არ გამოვრიცხავთ მომავალში რაიმე სხვა მონაცემებით განმტკიცდეს ზოგიერთი თანამედროვე ინფორმატორის აღნიშნული ნათქვამი.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის ერთი და იმავე საქმეზე „რჯული“ არაერთხელ ტარდებოდა. პირიქით, ძირითადად მხარეები ეთანხმებიან „რჯულის“ კაცების „ნარჯულევს“. უმრავლეს შემთხვევაში მათ ობიექტური განაჩენი გამოაქვთ და მხარეთათვის სწორედ განაჩენის ობიექტურობა არის მათი განაჩენზე დათანხმების საფუძველი. ამასთან, ხვესურეთში „რჯული“ ხომ მხარეთა შესარიგებლად იმართებოდა და, აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ იგი ამ თვალსაზრისით წარმატებული რომ ყოფილიყო, მას ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა. ამიტომ „რჯულის კაცები“ განაჩენის გამოტანისას ხშირად ითვალისწინებდნენ მხარეთა განწყობას (რომელსაც ისინი შუაკაცებისაგან და მხარეთა დაკითხვის შედეგად გაიგებდნენ), თუ როგორი განაჩენის შესრულებაზე წავიდოდა ორივე მხარე, რას წარმოადგენდნენ მხარეები – დიდი, ძლიერი გვარის, ოჯახის წარმომადგენლები იყვნენ თუ სუსტის და სხვა¹. ეს, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ორივე მხარისათვის მისაღები, ანდა ორივე მხარის მიერ უფრო შესრულებადი განაჩენის გამოტანას (ასეთი განაჩენი ხშირად სწორედ ობიექტური განაჩენი იყო). შესაძლოა, რომელიმე მხარე დაეყოლიებინათ, რომ დათანხმებოდა „რჯულის“ განაჩენს, წასულიყო რაღაც დათმობაზე, რათა მიღწეულიყო შერიგება. ამასთან დაკავშირებით ინფორმატორი აღნიშნავს: რჯულის კაცები განაჩენს აუწყებდნენ სათითაოდ მხარეებს, თუ არ დაეთანხმებოდნენ, შეიძლება სხვა რჯულის კაცები აერჩიათ და ასე შემდეგ. შეიძლება ცხრაჯერაც მომხდარიყო რჯული. ბოლოს და ბოლოს დაითანხმებდნენ ერთ-ერთ მხარეს დაეთმო მეორისათვის, ეპატიებინა². თუ როგორ ხდებოდა მხარის დაყოლიება,

¹ ამასთან დაკავშირებით ალ. ოჩიაური ამბობს: „კაცრიელი გვარი უნდა მტყუანი ყოფილიყო. უკაცრთან მანც კაცრიელი თვისას გაოტანდა, რჯულიც და სამართალიც კაცრილისე დაიხრებოდა, რადგან მეტი ვაგულენა ჰქონდა კაცმრავლობის გამო“ (ალ. ოჩიაური, ხვესურული მასალები, II, 1949-1950 წწ. კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, გვ. 186).

² შ. კეკელია, მასალები ხვესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული № 5, 1977, გვ. 40-41.

აიანხმება, ამის საილუსტრაციოდ ერთ შემთხვევას მოვიყვანთ. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი, რომელიც თვითონ იყო დაჭრილი, მოგვითხრობს მის დაჭრასთან დაკავშირებული „რჯულის“ პერიპეტეიბს; მას გამოუცხადეს განაჩენი, რომელიც არ მოეწონა. ეცოტავა ის დრამა, რომელიც მის დამჭრელს უნდა გადაეხადა „რჯულის კაცების“ გადაწყვეტილებით.

დაჭრილ ინფორმატორს მიაჩნდა, რომ მისადმი მიყენებული ჭრილობა ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე ის, რაც მან მიაყენა მეორე მხარეს და ამიტომ ასეთი მცირე „დრამა“ მისთვის მიუღებელი იყო: „მე ვუპასუხე: მე ბევრ მჭირს, ხელი მაქვს გახეიბრებული, მაგათ ცოტა ჭირს! დამიწყეს ქულების მოხდა, მაგათ პირის სერიც შერეული აქვთ, ხელიც გახაიბრებული, იბდენი მელაპარაკეს, დამითანხმეს, დამაჯერეს, დაეიჯერე“. ეთნოგრაფიული მასალია ცხადყოფს, რომ „რჯულის კაცების“ ასეთი გულმზურვალე თხოვნის შემდეგ (ხდება ქულების მოხდა, მუხლზე დაჩოქება „რჯულის კაცების“ მიერ და ხვეწნა-მუდარა) მხარე, რომელიც არ ეთანხმება „ნარჯულევს“, ხშირად თანხმდება და იღებს მას, თუ პირველი რჯულის შემდეგ არა, მეორე, მესამე და ა.შ. „რჯულის“ შემდეგ. ყოველივე ეს ნათლად შეტყვევებს „რჯულის კაცების“ მიერ გამოტანილი „ნარჯულევის“ ფაქულტატურ ხასიათზე. არცთუ იშვიათად „რჯულის კაცები“ ემუდარებიან პროცესში მონაწილე მხარეებს მიიღონ მათ მიერ გამოტანილი განაჩენი, დაეთანხმონ მას და ხშირად ითანხმებენ კიდევ. არსებობს ხვეწნა-მუდარის გარკვეული ფორმაც, რომელსაც კარგად იცნობენ „რჯულის კაცობაში“ გამოწრთობილი ხევსურები და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ კიდევ მას. აქ, „რჯულის კაცების“ მიერ გამოტანილი განაჩენის სავალდებულობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, მაგრამ მხარეები, როგორც აღვნიშნეთ, უმრავლეს შემთხვევაში ეთანხმებოდნენ „რჯულის კაცების“ გადაწყვეტილებას და ნებაყოფლობით აღასრულებდნენ მას. როგორც აღვნიშნეთ, თუნდაც იმიტომ, რომ „რჯულის კაცები“ ცდილობდნენ ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება მიეღოთ და ძირითადად მათი გადაწყვეტილება ობიექტურიც იყო, რაც თუნდაც შერიგების ინტერესებიდან გამომდინარე, განაპირობებდა განაჩენის მიღებას და მის აღსრულებას (მხარეებმა მიახლოებით იცოდნენ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „დრამა“, მაგალ-

¹ ა. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რეველი № 2, 1977, გვ. 66.

ითად, იცოდნენ ჭრილობების სიძიძი და, ცხადია, შესაბამისი „ნარჯულევის“ მოლოდინში იყვნენ და თუ ასეთი განაჩენი იქნებოდა გამოტანილი, ცხადია, მიიღებდნენ მას).

საერთოდ, „რჯულის“ მიერ გამოტანილი განაჩენის მიღებასა და აღსრულებას უფრო სიღრმისეული ფაქტორებიც განაპირობებდა (იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. სახელმწიფოებრივ იძულებას ადვილი არ ჰქონდა). უპირველეს ყოვლისა, ეს არის თვით „რჯულის“ ჩატარების ძირითადი პრინციპები. „რჯულის“ ჩატარება თვით მხარეების ნებასუვრვილით ხდებოდა და ამით ისინი უკვე გამოხატავდნენ მზადყოფნას შერიგებაზე, სწორედ, „რჯულის“ მიერ გამოტანილი განაჩენის ბაზაზე. ე.ი. განაჩენის აღსრულების მაღალი ალბათობა „რჯულის“ ჩატარებაზე მხარეთა თანხმობაშია ჩადებული. რა თქმა უნდა, მხარეები დაინტერესებულნი არიან, რომ შურისგება თავიდან აიცილონ. ხოლო „რჯულის“ განაჩენის მიუღებლობისა და შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები მტრებად რჩებოდნენ. ასეთი პერსპექტივა ხშირ შემთხვევაში არ იყო მათთვის მისალევი („რჯულის“ ჩატარებაზე თანხმობა ამაზე მეტყველებს) და, ამდენად, განაჩენის აღსრულებისკენ უბიძგებდა. „რჯულის კაცები“ მოწოდებულნი იყვნენ, თავისი განაჩენით ხელი შეეწყობთ მხარეთა ზორიგებისათვის. ისინი თავის მისიას ხომ ამაში ხედავდნენ.

თუ დამნაშავეს არ შეეძლო მასზე დაკისრებული „დრამის“ გადახდა, თუნდაც სამართლიანად ყოფილიყო „დრამის“ ოდენობა განსაზღვრული და მან იცოდა ეს, შესაძლოა, მაინც უარი ეთქვა „დრამის“ გადახდაზე და უარყოფდა „ნარჯულევის“, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, „რჯულის კაცებს“, მხარეთა შერიგების ინტერესებიდან გამომდინარე, ზვეწნა დაეწყობთ დაზარალებულის მიმართ, რომ იგი დასთანხმებოდა უფრო მცირე „დრამას“, ვიდრე მას რეალურად ეკუთვნოდა (სათანადო „ნარჯულევიც“ უკვე გამოტანილი ექნებოდათ).

როგორც მოყვანილი მასალებიდან ირკვევა, „რჯულის კაცები“ არა მარტო მოსამართლეებად გვევლინებიან, არამედ ადვოკატებადაც. დ. ცისკარაულიც აღნიშნავს, რომ არჩეული მოსამართლეები ასრულებდნენ როგორც ბჭის, ისე ვეჟილის როლს¹. ჩვენი აზრით, „რჯულის კაცის“ ასეთი როლი იმიტაა განპირობებული, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, მხარეთა მომრიგებელია და, თუ ამისთვის ადვოკატის ფუნქციის შესრულებაა საჭირო, იგი მას ასრულებს.

¹ დ. ცისკარაული, დასახ. ნაშრ. გვ. 28.

თუ რომელიმე მხარე ამჟამად უკმაყოფილო იქნებოდა განაჩენით, მას ტენდენციურად და არაობიექტურად თვლიდა და ასეთი განაჩენის პირობებში დათმობაზე წასვლა შეუძლებლად მიაჩნდა, ასეთ შემთხვევაში იგი არ მიიღებდა „ნარჯულევს“, არ დაეთანხმებოდა „რჯულის“ გადაწყვეტილებას და მოითხოვდა ახალი „რჯულის“ ჩატარებას.

„რჯულის“ ხელშეწყობის შედეგად, „რჯულის“ კაცებად შეიძლება სულ სხვა პირები აირჩიონ. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ „რჯულის“ კაცები ახალ შემადგენლობაში, წინა „რჯულში“ მონაწილე მელიტორთა გარკვეული ნაწილიც ვიხილოთ¹.

განაჩენის გამოტანის, გამოცხადებისა და მის შესრულებაზე დაყოფის ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით მოვიყვანო ერთ ძალზე საინტერესო მაგალითს, რომელიც მ. კეკელიამ 1977 წელს ჩაიწერა ერთ-ერთი ცნობილი „რჯულის“ კაცისაგან², გაბრიელ ბაბუას ძე ოჩიაურისაგან (სოფ. ახიელა, არხოტი). იგი გვიამბობს: „დაახლოებით 20 წლის წინათ იმედა ნაროზაულმა, ჩემმა მეზობელმა, ხენის დროს ქვა ააგორა თუ აუგორდა (ეს ვერ დაადგინეს) და მოუკლა ხეთისო ცისკარაულს ცხენი. ხეთისო ცისკარაულმა უთხრა: ამინაზლაურე ცხენიო. იმედამ უარი უთხრა, ამაზე უდინა შუაკაცები, რომ მე არ გამომიგორებია ქვა. შუაკაცები... მივიდნენ ორივესთან. ხეთისოს ეუბნებოდნენ, რომ შერიგდითო. ის ეუბნებოდა მომცეს ცხენიო. იმედა უარზე იდგა. გაბრაზებულმა ხეთისომ დრო იხელთა, როცა იმედა, მისი შვილი და ძმა კარში ისხდნენ ეზოში. გადაეტანა კარებში, იმედაც დაჭრა, მისი შვილიც და ძმაც სასიკვდილოდ. სოფელმა რომ შეიტყო დავეცით, გავაშველენით. მერე აქიმი დააყენა ხეთისომ იმედასა და დაჭრილებს. გადარაჩნენ სამივე. ჰქონდათ დიდი ჭრილობა. დაიწყო რჯული (ჩვენთან რჯული გამორჩომის შემდეგ იცინან). ხუთჯერ მაინც ჩატარდა „რჯული“. ორივეს თავისი კაცები მიჰყავდა... ხეთისო ღარიბი კაცი იყო და არ ჰქონდა ამდენი. ოც ძროხამდე გადადიოდა, ამიტომ ვერ უხდოდა. ბოლოს ამოვიდა ბერდია წიკლაური და ბიძაჩემი თათარა ჭოლიკაური ამლიდან. დამიძახეს მეც. დავსხედით ხატის წინ და გადაწყვეტივით დაუქმებთ ხეთისოს, ვუთხარი: თუ საქონელი არ ჩააბარე, ეს გარიგება არ არის... ხეთისომ თქვა, რომ მაგდენი არა მაქვს და ვერც მივცემო.

¹ დ. ჯალაბაძე, მასალები ხევისურულ წყველებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკვილი, 1988, გვ. 22.

მე ცხენი მომიკლეს და იმაზე დავეჭვრიო. დაუძახეთ ახლა იმედას, ველაპარაკეთ, ჩვენ გვაპატიე, მაგას არა აქვს, ცხენიც უნდა ჩაუთვალ-ოთო. შენ გამოაგორე თუ არა ქვა, მაგას ცხენი მოუკვდა და სწორედ ამას მოყვა დაჭრაო. იმედა უარზე დადგა. გაუუშვით და დავიწყეთ „რჯული“. ეს ხომ ვიცოდით, როგორი ჭრილობები ქონდა მათ. ისიც ვიცოდით, თუ რომელ ჭრილობას რა მოუდიოდა. ჩვენ ვიარეთ, ვიარეთ და ძალზედ შორს მიდიოდა. ღვთისოს არ ქონდა ამდენი საშუალება... ვუთხარი მე ჩემს კოლეგებს, თქვენ ხნიერები ხართ, ჩემზე მეტი იცით. მაგრამ ამ რჯულს რომ მივეყვით, ეს ხალხი არ გარიგდება ამით. ეს რჯული შექმნა ჩვენმა ხალხმა, მოდი, ჩვენ ისე გაეკეთათ, რომ შევეუ-ცირით ეს საქმე შეხვეწნით. ავლექით და ეს ცხენი ჩავაგდეთ სათვალა-ვში და გამოვაკელით საერთო გადასახადს. რამდენიმე ძროხა ჩვენით მოვხსენით. ეს ოცი ძროხა დავიყვანეთ 12 ძროხამდე. მივედით ხეთი-სოსთან... ხეთისო დაგვეთანხმა, ადგა და ქუდი მოიხადა, მადლობა მოგვიხადა. ახლა იმედასთან მივედით. ჩვენ მას მოუხსადეთ ქულები, დავსხედით მუხლითა. ვუთხარით, მართალია, შენ ამდენი მოგიდათ, მაგრამ ჩვენ ცხენიც შევაფასეთ და 12 ძროხამდე დავიყვანეთ. მაგ კაცს მეტი საშუალება არა აქვს, გვაპატიე. იმედამ თქვა: მე მამიდას ამდენი და რაც მეკუთვინის იმდენი მომცესო. რჯული მეც ვიცო, დაიხურეთ ქულები და წადითო. ჩვენ არ ავლექით, ბევრი ვეხვეწეთ, ხან ამ შარ-ვალს, ნიფხავს გამოვებით, ხან გარეთ გასვლა დააპირა. სირცხელია ხევსურეთში რომ გარეთ გახვიდე და მუხლის ჩოქა მიატოვო კაცი. მობრუნდა და ბოლოს მაინც დაგვეთანხმდა“. ეს კონკრეტული შემთხვე-ვა რამდენიმე კუთხითაა საინტერესო:

1. „რჯული“ მოცემულ საქმეზე ხუთჯერ მაინც ჩატარდა და მხო-ლოდ მეექვსე ცდა აღმოჩნდა წარმატებული (ეს მეტყველებს, რომ „რჯული“ ერთ საქმეზე შეიძლება რამდენჯერმე ჩატარდეს). ყველა „რჯული“ თავიდან იწყებს საქმის განხილვას და ერთი და იმავე ინ-სტანციის სასამართლოა. რაიმე ზემდგომი ინსტანცია აქ არ არსებობს. (ოვით „რჯულის“ არსიდან და ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, ასეთი რამ შეუძლებელიცაა არსებობდეს).

დაზარალებული უარყოფდა, რომ მას რაიმე ბრალი მიუძღოდა და მნაშავეს ცხენის მოკვლაში. და მნაშავე კი იმით ამართლებდა თავის

¹ მ. კუკელა, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1977., გვ. 7-11.

მოქმედებას. რომ მან ცხენის მოკვლის მიზეზით დაჭრა დაზარალე-
ბულები. არაერთგზის ჩატარებული „რჯული“ კი ცხენის ღირე-
ბულებას „დრამის“ დადგენისას არ ითვალისწინებდა, რადგანაც არაფ-
რით მტკიცდებოდა, რომ დაზარალებულს რაიმე წვლილი მიუძღოდა
ცხენის მოკვლაში და, დაზარალებულიც არ დასთანხმდებოდა ამას.
ეს „რჯულის კაცებისთვის“ ცნობილი იყო. ცხადი იყო, რომ დამნა-
შავეს მთლიანად უნდა გადაეხადა მიყენებული ჭრილობებისათვის
დრამა, „სრული ოდენობით“, ცხენის ღირებულების გამოკლების
გარეშე. ეს იქნებოდა ობიექტური, მაგრამ დამნაშავეს არ ჰქონდა
ამდენი დრამის გადახდის საშუალება. ის ღარიბი კაცი იყო და
ამიტომ არ თანხმდებოდა რჯულის გადაწყვეტილებას, „დრამაში“
ცხენის ღირებულების გაუთვალისწინებლობის საბაბით. ამიტომ მხ-
არეთა მორიგებას „რჯული“ ვერ აღწევდა. ვერც ერთმა „რჯულმა“
ვერ მიიღო ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება და ვერ
შეასრულა ამ შემთხვევაში თავისი ძირითადი ფუნქცია. მხარეები
მტრობის გაგრძელების აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. აუცი-
ლებელი იყო კიდევ ერთი მცდელობა „რჯულის“ ჩატარებისა, რომელიც
წარმატებული აღმოჩნდა.

2. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ „რჯულის კაცები“ საკმაოდ
თავისუფალნი არიან განაჩენის დადგენისას... მათ შეუძლიათ უფლება
მისცენ საკუთარ თავს შეამცირონ „დრამის“ ოდენობა, მხარეთათვის
მისაღები განაჩენის დადგენის მიზნით. „რჯულის კაცების“ საქმი-
ანობაში ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით კარგად ჩანს, რომ
„რჯულის კაცების“ უმთავრესი მიზანია სწორედ მხარეთათვის მის-
აღები განაჩენის დადგენა, რაც მათი მორიგების საფუძველი უნდა
გახდეს და ამ მიზნით მათ შეიძლება მიყენებული ზიანის არადაეკვა-
ტური განაჩენი გამოიტანონ.

3. ამ მაგალითში ასევე კარგად ჩანს, „რჯულის კაცების“ განაჩე-
ნის ფაქულტატურობა. მხარეებს შეუძლიათ, არ დაეთანხმონ „რჯუ-
ლის“ გადაწყვეტილებას და ახალი „რჯულის“ იმედად დარჩნენ. „რჯუ-
ლის კაცებმა“ იციან, რომ დაზარალებულის სასარგებლოდ „დრამის“
აშკარად შემცირებული ოდენობა დაადგინეს და რომ დაზარალებული
არ დასთანხმდება ამ „ნარჯულევს“. მან სავარაუდოდ იცის, თუ რამ-
დენი ეკუთვნის და შესაბამის „დრამას“ მოითხოვს. ამიტომ ისინი
ემუდარებიან დაზარალებულს დაეთანხოს მათ „ნარჯულევს“ და წავ-

იღეს დათმობაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი მტრობა; როგორც აღვნიშნე, თხოვნის სათანადო ფორმაც არსებობს: „რჯულის კაცები“ ქულებს იხდიან, მუხლებზე დგებიან, დაზარალებულს შარვალზე ეკიდებიან, სათანადო სიტყვებით ცდილობენ მის დაყოლიებას, რომ მან მიიღოს მათი „ნარჯულევი“. ამ შემთხვევაში, ასეთმა თხოვნამ გაჭრა და დაზარალებულიც დათანხმდა. საბოლოო ჯამში, მან მტრულ დამოკიდებულებას, დათმობაზე წასვლა ამჯობინა. „რჯულის კაცებმა“ გამოიყენეს მხარეთა მორიგების ყველა მექანიზმი, რის საშუალებასაც ხვესურეთში „რჯული“ ანუ სამედიატორო სასამართლო იძლეოდა, რითაც მიაღწიეს კიდევ იმას, რისთვისაც არსებობს „ხვესურული რჯული“ და, საერთოდ, რისთვისაც ხალხის მართლშეგნებამ ეს ინსტიტუტი შექმნა. ხვესურეთთან დაკავშირებულ ეთნოგრაფიულ მასალაში არის მინიშნება იმის თაობაზე, რომ მოსამართლეებს ზოგიერთ შემთხვევაში, ტენდენციურობაც გამოუჩენიათ, სწორედ იმისათვის, რომ სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება არ გართულებულიყო. ეს თითქოს პარადოქსია. მაგრამ, ცხადია, რომ სასამართლო, რაც უფრო ობიექტური და მართალი იქნება, მით უფრო განაწყობს მხარეებს განაჩენის აღსასრულებლად. რა თქმა უნდა, თითოეულ საქმეს თავისი სპეციფიკა გააჩნდა და ისეთი ნიუანსები შეიძლება ყოფილიყო მისთვის დამახასიათებელი, რომ მოსამართლეთა ტენდენციურობას, პირიქით, ხელი შეეწყო განაჩენის აღსრულებისათვის. მაგალითად, აღექის ოჩიაური ხვესურეთის სინამდვილიდან აღწერს კონკრეტულ ფაქტს: როდესაც „რჯულმა“ დაინახა, რომ ბრალდებული მხარე, რომელიც უფრო ძლიერი ოჯახი იყო, დანაშაულს თავის თავზე არ იღებდა, ხოლო დაზარალებული მხარე, პირიქით, ადვილად დაემორჩილებოდა „რჯულის“ გადაწყვეტილებას, გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ბრალდებულმა, რომელიც აშკარად დამნაშავე იყო, ფიცით იმართლა თავი, ხოლო დაზარალებულებმა „კაცისთავი დაკარგეს“, ე.ი. ვერ მიიღეს ნათესავის მოკვლისათვის დაწესებული გადასახადი¹ (ის გარემოება, რომ „რჯულის კაცები“ ცდილობდნენ თავისი გადაწყვეტილება მხარეთა ნება-სურვილს დაუმორჩილონ, მისი აღსრულების აღბათობის გაზრდის მიზნით, ცალსახად მეტყველებს ამ განაჩენის ფაქულტატურობაზე). „რჯულის კაცთა“ ტენდენციურობასთან დაკავშირებით

¹ აღ. ოჩიაური. ხვესურული მასალები, II, 1949-1950 წწ., კრ. „ქართული ჩუქულებითი სამართალი“, 1988., გვ. 181-182.

ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება ბესარიონ გაბუურთან დაკავშირებული ფაქტი.

ბ. გაბუური თვითონ იყო ხშირად „რჯულის კაცი“ და ხვესურული სამართლის შესანიშნავ მცოდნედ ითვლებოდა. მისი ქალიშვილის გადმოცემით, ბოლო დროს ბ. გაბუური უარით ისტუმრებდა იმათ, ვინც მას „რჯულში“ იწვევდა იმ მოტივით, რომ „რჯულის კაცები“ მიკერძოებას იჩენნო.

§4. განაჩენის აღსრულება და მხარეთა შერიგება

„რჯულის კაცების“ გამოტანილი განაჩენი, თუ იგი ითვალისწინებდა მოპასუხის მიერ „დრამის“ გადახდას, შესაძლოა, მაშინვე აღსრულებულიყო, ანდა გარკვეული დროის შემდეგ, ნ. ხიზანაშვილის განმარტებით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ვადის დადგენაა საჭირო. „დრამის გადახდის ვადას ბჭე-მეღიატორები განსაზღვრავდნენ, თუმცა მომგებსაც აქვს უფლება ეს ვადა განსაზღვროს“¹.

„დრამის“ გადახდა ძირითადად მაინც „ნარჯულევის“ გამოცხადებიდან მოკლე ვადაში ხდებოდა. ცხადია, განაჩენის აღსრულება დღის წესრიგში მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება, თუ ორივე მხარე დასთანხმდება განაჩენს. განაჩენის აღსრულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ „რჯულის კაცები“. როდესაც ორივე მხარისგან მიიღებენ თანხმობას, ისინი მიემართებიან იმ მხარესთან, რომელსაც გადახდა ევალება, მიიღებენ მისგან „დრამას“² და მიაქვთ დაზარალებულთან.

¹ ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

² „დრამა“ იყო ფულისა და წონის ერთეულის სახელწოდება ფეოდალურ საქართველოში. ტერმინი შემოსულის სასანიდო ირანიდან, სადაც, თავის მხრივ, შემოიღეს ბერძნულიდან. ხვესურეთში შემორჩა ქონებრივი საზღაურის ზოგად სახელწოდებად. ხვესურეთში „დრამის“ ოდენობა განისაზღვრებოდა საქონლით, კრძოდ, ძროხით. თუმცა, როდესაც „რჯულის კაცები“ დაკისრებდნენ ერთერთ მხარეს, ეთქვათ 20 ძროხის გადახდას, ეს არ ნიშნავდა, რომ მართლაც ოცი ძროხა უნდა მიეყვანა დაზარალებულისათვის. ძროხა აქ გადახდის ძირითადი ეკვივალენტი იყო. ფშვე-ხვესურეთში განსხვავებენ „ხელით“ და „ფეხით“ ძროხას: „ფეხით“ ძროხაში, ძირითადად, პირუტყვი იგულისხმებოდა (ძროხა, ცხვარი), „ხელით“ ძროხაში კი იგულისხმებოდა სპილენძი, სხვადასხვა ჭურჭელი, ვერცხლუკული, იარაღი, საარყე ქვაბი, სპილენძის ქვაბები, კოკა, ტაფები, საოჯახო ნივთები. ხვესური ინფორმატორების განმარტებით, დაკისრებული კომპოზიციის გადახდა ხვესურეთის ზოგიერთ კუთხეში მთლიანად „ხელით“ ძროხით ხდებოდა (მაგალითად, ბუდე ხვესურეთში, არხოტში), ზოგიერთ სხვა კუთხეში კი (მაგალითად, შატლი, ასევე მილმახევი — მუცი, არღოტი, ანდაქი, არჭოლო, ხახაბო), „დრამის“ ნახევარი ფეხითი ძროხით უნდა გადაეხადათ. ხოლო ნახევარი ხელითი ხვესურეთში ზუსტად იყო განსაზღვრული, თუ ერთ ხელით ძროხას სპილენძის, ვერცხლუკულის, საოჯახო ჭურჭლის თუ „დრამაში“ შემავალი სხვა კომპონენტების რა რაოდენობა შეესაბამებოდა. კრძოდ, ერთი ხელითი ძროხა, იგივე ოთხი ცხვარია, რაც უდრის

როდესაც „რჯულის კაცები“ „დრამის“ მისაღებად მიდიოდნენ, მს. კ. კ. ველობაშია ის, რომ ისინი დამნაშავე მხარისაგან იღებდნენ სპილენძს. ვერცხლეულს (აუცილებელი იყო მათი აწონა), თუნგს, ქვაბებს, ტაფებს, ტაშტებს, ფარდაგებსა და შესაბამისი რაოდენობის „დრამა“ მიჰქონდათ დაზარალებულ მხარესთან. თან შესარიგებლად მიჰყავდათ დამნაშავე, რომელსაც მიჰქონდა ერთი ტიკი არაყი შერიგების ნიშნად. დამნაშავე ბოდიშს მოუხდიდა დაზარალებულს, გაიშლებოდა სუფრა, დალევდნენ არაყს და საბოლოოდ რიგდებოდნენ. თუ ორივე მხრიდან იყო ჭრილობა მიყენებული, ჯერ ერთი მხარე მივიდოდა მეორესთან (ის, რომელმაც უფრო მძიმე ჭრილობა მიაყენა და ამიტომ „დრამა“ უნდა გადაიხადოს) პატივისცემით, გარკვეული ღრვის შემდეგ მეორე მხარეც გაემართებოდა პირველთან არყით¹.

დრამის მიტანისა და შერიგების პროცესს ერთ-ერთი თანამედროვე ხეცსური ინფორმატორი ასე აღწერს: „როცა დრამა უნდა ჩაებარებინათ ჩვენდ მაშინ ყველა „რჯულის კაცებ მოვიდეს და „დრამა“ მაიტანეს. „დრამის“ ჩაბარების შემდეგ მავიდეს ჩემი მენაჭრეები არყით და შევხვდით, და ითქვა, რომ „სამტრო არაისი, აწიმღე ძმათა უნდა იყენიო... შემდეგ წავედ იმათთან არყით“². ეს ინფორმატორი ერთ-ერთი მხარე გახლდათ კონკრეტულ საქმეზე. „რჯულის კაცი“. რომელიც სხვა „რჯულის კაცებთან“ ერთად მონაწილეობას იღებდა განაჩენის აღსრულებასა და მხარეთა საბოლოო შერიგებაში, მოგვითხრობს, რომ მათ დამნაშავეს დააკისრეს 35 ძროხის გადასდა. მხარეები დაეთანხმნენ და წავიდნენ თავ-თავიანთ სოფლებში. „მოვიდა შემდეგში ჩემთან ხეთისო არაბული

4 კგ სპილენძს (თუ სახეზე პირველი ჭრილობა იქნა მიყენებული - „სიროს სერის შერვა“ - მაშინ ერთ ხელით ძროხაში 5 კგ სპილენძს ანაკრიშობენ). 100 გ ვერცხლეული ერთი ცხვარია. ეი. 400 გ ვერცხლეული უდრის 1 ძროხას. ძროხას უდრდა თულუნი (ზურგზე ასაკიდებელი წყლის საზიდი). თუნგი (წყლის დასასხმელი) უდრის 1 ცხვარს. ასევე ქაფქირი ერთ ხელით ცხვარია, ისინი სპილენძისაგან განსხვავებით არ იწონება. ხალორას, იარაღს „რჯულის კაცები“ აფასებდნენ. ასევე ფარდაგებსაც. „თავისხლის“ გადახდის ღროსაც იგივეს ქჷონდა ადგილი. მკვლელის მხარეს „თავის გათაყების“ ღროს მოკლეულის მხარესთან მიჰქონდა 16 ძროხის „დრამა“ - სპილენძი. ვერცხლეული და სხვა. „თავისხლის“ ანაკრიშობაში, ან ჭრილობის საზღაურად, შეიძლება მიწაც მიეცათ, თუ დამნაშავეს სათანადო რაოდენობის სპილენძი უნდა ან ვერცხლეულისა და სხვა არა მიჰქონდა. ხეცსურეთში ერთი წერი მიწა ერთ ძროხას ირიდა. ერთი წერი 63 მწას ჯრია.

¹ მ. კეკელია, მასალები ხეცსურულ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რეველი № 2. 1 77. გვ. 66

² მ. კეკელია, მასალები ხეცსურულ ჩვეულებით სამართალზე ეთნოგრაფიული რეველი № 1 1977.. გვ. 58

და მ. სია, რომ წამოშევი, ეს „დრამა“ ავიღოთ და წავუღოთ ხანმატ-
... კაიორგი აღუდაურსო. წავედიო, წავეყოლეთ ბაბო არაბულიც (ყველა
„ქსინი „რჯულის კაცებად“ იყვნენ მოცქსულ საქმესე — გ.დ.)... (ერთი
რჯულის კაცი მინც უნდა ვაპყოლოდა). ავწონეთ სარტყელი, დიდი
იყო, 15 ძროსა გამოვიდა, ქვებები და ასე მოგროვდა 35 ძროსა. წავე-
იღეთ ერთი ტიციც, მივედიოთ ხანმატში. ეს დამნაშავეც თან წავეყვანიეთ.
დავკვხდნენ კარგად, უთხრეს, ხეთისო ბედი ვქაინია გადარჩი სიკვდილ-
საო... გაიმარსა ქეიფი... ასე დამთავრდა ეს საქმე“.

ამ მაგალთებში კარგად ჩანს, რომ „დრამაში“ შექმავალ კომპონენტებს.
თვით „რჯულის კაცები“ წონიან და თავად მიაქვთ „დრამა“ დაზარალე-
ბულოთან, თან მიჰყავთ დამნაშავეც, პატივისცემით, რათა უზრუნველყოფილ
იქნეს საბოლოო შერიგება. ამის, „რჯულის კაცების“ მისია ამოწურულია
იოვლება, — მხარეები რიგდებიან, მტრობა აღმოფხვრილია. დაზარალებულ
მხარეს შეიძლება ეპატიებინა დამნაშავისთვის „დრამის“ რაღაც ნაწილი,
ან მთელი გადასახადი, განსაკუთრებით მაშინ, თუ მხარეები ნათესავეები
იყვნენ, ან დანაშაული შემთხვევით, განზრახვის გარეშე მოხდა, ანდა დამ-
ნაშავის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მხარეთა შერიგება, როგორც ჩანს, XX საუკუნის II ნახევარში დაახ-
ლოებით ისევე ხდებოდა, როგორც XIX საუკუნის II ნახევარში. ამასთან
დაკავშირებით, ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ განაჩენის აღსრულების
შემდეგ აუცილებელია მხარეების შერიგება, რასაც „პირად შეყრა“
ერქვა. ამის გარეშე მხარეთა საბოლოო შერიგება არ შედგებოდა, ეს
დაკავშირებული იყო საერთო ჰურ-მარილთან და მხარეთა დაძმობილებ-
ის ცერემონიალთან¹.

„რჯულის კაცები“ თავიანთი საქმიანობისათვის გასამრჯელოს იღებდ-
ნენ. ნ. ხიზანაშვილის განმარტებით, „რჯულის კაცები“ სასამართლო
საქმიანობისათვის გასამრჯელოს მხარეებისაგან იღებდნენ: მდიდარი კა-
ცისაგან ძროხაზე ოთხ აბაზს, ცხვარზე ერთ აბაზს, თუ მოწინააღმდე-
კეები ღარიბები იყვნენ, ან სულ არაფერს გამოარომკვდნენ, ან გამო-
არომკვდნენ მხოლოდ მცირედ გასამრჯელოს². XX საუკუნის 70-80-
იანი წლების ხევსური ინფორმატორები ასევე აფიქსირებენ „რჯულის

¹ მ. კაკელია, მასალები ხევსურ ლ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი № 6, 1977., გვ 21.

² ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ., გ 60.

³ იქვე, ნაშრ., გვ 55.

კაცების“ გასამრჯელოს. მათი განმარტებითაც, „რჯულის კაცები“ ს გასამრჯელო მათ მიერ დადგენილი განასენის სიმძიმეზეა დამყარებული. რაც უფრო მეტი „დრამის“ გადახდას დააკისრებდნენ დამნაშავეს. მით მეტი გასამრჯელოს მიღების უფლება ჰქონდათ მათ მხარეებისაგან. ასევე, თუ რომელიმე მხარე ღარიბი იყო, მისთვის შეიძლება სულ არ გამოერთიმათ გასამრჯელო, ან შეეძციოებინათ იგი. თუ „რჯული“ უშედეგოდ დამთავრდებოდა, მაშინ „რჯულის კაცები“ გასამრჯელოს ვერ მიაღებდნენ. რაკი მათ გასამრჯელო „დრამის“ ოდენობის შესაბამისად უნდა მიეღოთ. ცხადია, თუ „ნარჯულევს“ მხარეები (ან რომელიმე მხარე) არ დაეთანხმებოდა, „დრამის“ გადახდა არ მოხდებოდა და, აქედან გამომდინარე, არც გასამრჯელოს მიიღებდნენ „რჯულის კაცები“. ინფორმატორი „რჯულის კაცების“ გასამრჯელოსთან დაკავშირებით ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „რჯულის კაცს“ გასამრჯელოდ აღიქვდნენ იმდენ ცხვარს, რამდენ ძროხასაც გააჩნდნენ. ძროხაზე თანაბრად ცხვარს აიღებდნენ ორივე მხრიდან, ე.ი. დაზარალებულს რაც ერგებოდა. იქედან აიღებდა და, გარდა ამისა, დამნაშავეს დამატებით, რაც დაზარალებულისათვის უნდა მიეცა – ცხვარსაც გამოართმევდა. ძროხა ოთხ ცხვარად ფასობს. დაზარალებული თითოეული ძროხიდან 3 ცხვარს მიიღებდა და ერთი რჯულის კაცების იყო. ხდებოდა ისეც, რომ ხშირად „რჯულის კაცები“ უარს ამბობდნენ თავიანთ კუთვნილ გასამრჯელოზე და იმავე ოჯახში ტოვებდნენ, საიდანაც იგი გადიოდა, ე.ი. დამნაშავეს დაუტოვებდნენ. იმიტომ, რომ ეცოდებოდათ¹.

„რჯულის კაცთა“ გასამრჯელოდ ძროხაზე ცხერის გადახდა რ. ხარაძესთანაც დასტურდება: „ბჭევებს ეწ. მოსარიგებელი საშუაკაცო ერგებოდა. ძროხაზე ცხვარ უძლიევათ წინაე“, ამას ორივე მხარე გადაიხდიდა. ამრიგად, ბჭევებს უხდიდნენ დრამაში გადახდილ ძროხაზე ერთ ცხვარს².

როგორც ხედავთ, თანამედროვე ინფორმატორი, ნ. ხიზანაშვილისაგან განსხვავებით, „რჯულის კაცების“ გასამრჯელოს ფულად ერთეულში არ გამოხატავს. მისი თქმით, „რჯულის კაცები“ რამდენი ძროხის გადახდასაც დააკისრებდნენ მხარეებს, იმდენ ცხვარს მიიღებდნენ ორივესგან. „დრამის“ გადამხდელ მხარეს ხშირად იცოდებდნენ „რჯულის კაცები“ და მისგან გასამრჯელოს საერთოდ არ იღებდნენ. დაახლოებით

¹ მ. ანკელია, მასალები ხევსურული წვეულებით სამართალზე, ენოგრაფიული რეკვილი №1, 1977, გვ. 36

² რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. I, 1947., გვ. 170.

ამასვე ადასტურებს მეორე ხევესური ინფორმატორიც: „რჯულის კაცები“, როცა საქმეს არჩევდნენ, გამტანიდან (დრამის გადამხდელი — გ.დ.) იღებენ ერთ თოხლს, რაც თუნგს ან ტაფას უდრის (თოხლი ერთი წლის ბატკანია), ხოლო ამტანიდან (დაზარალებული, რომელიც იღებს „დრამას“ — გ.დ.) მიიღებენ თითო ძროხიდან თითო კილო სპილენძს, ე.ი. თითო ცხვარს (სელითს). ამას მერჯულე კაცები თვითონ დაინაწილებენ. შეიძლება ერთმა წაიღოს სულ, ზოგჯერ ხატშიც სტოვებენ, ხან თუ ღარიბი ოჯახია, იქაც დატოვებენ, სულ ერთია, რომელი მხარე იქნება...¹

საერთოდ, თანამედროვე ინფორმატორთა მონაცემების მიხედვით, აშკარაა გარკვეული ტენდენცია, რომ „დრამის“ გადამხდელი მხარე კონკრეტულ შემთხვევებში ხშირად ნაკლებს იხდის, ვიდრე „დრამის“ მიმღები. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, „რჯულის კაცებს“ შეეძლოთ უარი ეთქვათ გასამრჯელოზე, ან შეემცილებინათ იგი ორივე მხარის სასარგებლოდ, მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამიტომ ეთნოგრაფიულ მასალებში გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც მხარეები უფრო ნაკლებს იხდიან „რჯულის კაცთა“ გასამრჯელოდ, ვიდრე ეს ძროხაზე ცხვარია. მიღებული გასამრჯელოს ბედს, თვით „რჯულის კაცები“ განსაზღვრავდნენ.

§5. ჭრა-ჭრილობის „რჯულის“ პროცესუალური ელემენტები

ჯამლეთ მერაბიშვილის მითითებით, ქართულ ჩვეულებით სამართალში ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ორ სახემდე დაიყვანება და გამოიხატება დაჭრასა და დასახიჩრებაში. პირველი გულისხმობს რაიმე ჭრილობის, იარის მიყენებას, რომელმაც ჯანმრთელობის მხოლოდ დროებითი მოშლა შეიძლება გამოიწვიოს და განკურნებადია, მაგრამ მან სხეულის რომელიმე ორგანოს ფუნქციის მოშლა არ უნდა გამოიწვიოს. დასახიჩრება კი, ანუ, როგორც მას მთაში უწოდებენ, „გახაიბრება“, სხეულის რომელიმე ორგანოს მყარი დაზიანებით გამოიხატება და იწვევს ამ ორგანოს ფუნქციის მუდმივ ან ხანგრძლივ მოშლას, დაკარგვას².

ფშავე-ხევესურეთში ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანა-

¹ მ. კიკელა, მასალები ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი № 2, 1977, გვ. 83.

² ვ. მერაბიშვილი, „დაჭრა-დასახიჩრება“, ფშავეის ჩვეულებით სამართალი, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 3, გვ. 52.

შაული გამოიხატება ერთი ტერმინით — „ჭრა-ჭრილობა“. იგი აერთიანებს დაჭრასაც და დასახიჩრებასაც. იგი მოიცავს მთელ პროცესს, კერძოდ კი, შებრძოლებას, დაჭრა-დასახიჩრებას, მხარეთა შერიგებას და სხვა.¹ ჭრილობის საზღაური სწორედ ამ ფაქტორების მიხედვით იყო განსაზღვრული.

ჭრილობის შეფასებაში გადამწყვეტ როლს ადგილობრივი „აქიმები“, დასტაქრები თამაშობდნენ. „რჯული კაცები“ სწორედ მათ ინფორმაციას ეყრდნობოდნენ განაჩენის გამოტანისას. „აქიმებს“, ცხადია, რაიმე სპეციალური სამედიცინო განათლება არ ჰქონდათ, მაგრამ ხალხური მეთოდების გამოყენებით, ისინი უმძიმეს ოპერაციებს ატარებდნენ და არაერთი ადამიანი გადაურჩენიათ სიკვდილისაგან. მათ შორის აკეთებდნენ თავის ტვინის ტრეპანაციას. ისინი კარგად იცნობდნენ თავის ტვინის ანატომიურ აგებულებას და, აღსანიშნავია, რომ თავში მიყენებული ჭრილობის საზღაურის სისტემა დამოკიდებულია სწორედ თავის ანატომიურ აგებულებაზე, ხოლო საზღაურის ოდენობა კი — მხოლოდ ჭრილობის სიღრმეზე (სადამდეა ჭრილობა ჩასული). რ. ხარაძის ცნობით, თავში მიყენებული ჭრილობის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოება: „დაყვანილია თუ არა ნაჭრევი ძვლამდე, დაზიანებულია თუ არა თვითონ ძვალი და რა სახით, დაზიანებულია მხოლოდ ძვალი თუ მაგარი გარსიც და დაყვანილია თუ არა ჭრილობა ტვინამდე და ა.შ.“². სწორედ, ამის მიხედვით წინასწარ იყო დადგენილი „დრამის“ ოდენობა. ჩვენ აქ არ შევეუდგებით იმის განსაზღვრას, თუ თითოეული სახის ჭრილობისა და დასახიჩრებისათვის „დრამის“ რა ოდენობა იყო განსაზღვრული. საერთოდ, „ჭრა-ჭრილობის რჯული“ საკმაოდ ფართო თემაა და ცალკე კვლევის საგანია. წინამდებარე ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, „ჭრა-ჭრილობის რჯულის“ მხოლოდ პროცესუალურ კომპონენტებზე ვამახვილებთ ყურადღებას, რაც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება (ამიტომაც გამოვყოფთ ცალკე), თუმცა, რა თქმა უნდა, მასზე ვრცელდება სამედიცინო სასამართლოს ანუ „რჯულის“ ჩატარების ყველა ძირითადი პრინციპი.

დაჭრა-დასახიჩრება ხვესურეთში ძალზე გავრცელებული მოვლენაა. ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავდა, რომ თითქმის არაა ხვესური, რომელსაც

¹ ვ. მერაბიშვილი. იქვე.

² რ. ხარაძე, ხვესურული რჯული, „ანალები“, ტ. 1, გვ. 176.

სსკა არ დაეჭრა ან თვითონ არ ყოფილიყო დაჭრილი. ბავშვები პატარაობიდანვე სწავლობდნენ ფარისა და დაშნის ხმარებას¹. კეჭნაობა ვაჟკაცობად ითვლებოდა და კარგი მოკეჭნავე ქალების მოწონებითაც სარგებლობდა. ვინც გაურბოდა კეჭნაობას, მას დასცინოდნენ, ბეჩავი და მხდალიაო...² ხვესურეთში უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა მძიმე დაჭრა. ხვესურები იტყოდნენ: „მკლავი ვერ დაიმორჩილა და მეშუღლეც იმიტომ გასწირა, მძიმედ დაკეჭნაო. ვაჟკაცობად ითვლებოდა მსუბუქად დაჭრა. დაჭრა-დასახირება სდებოდა ქორწილ-ხატობაში და სხვ.

კეჭნაობის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა ყოფილიყო, კერძოდ: პირადი შეურაცხყოფა, შური, სიმთვრალე და სხვა³. ხშირად დაჭრა სეკულურად მიზეზის გამოც ხდებოდა. ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ ამახ ხვესურეთში შექმნა ერთგვარი ხელობა — „კეჭნაობის სპეკულაცია“. ხვესური ვინმეს ვანგებ შარს აუტეხდა, მოთმინებიდან გამოიყვანდა და დაეჭრევენებოდა, შემდეგ კი საზღაურს გამოართმევდა. ზოგი დაჭრილი საზღაურის გაზრდის მიზნით, ჭრილობასაც ირთულებდა. რასაც სასიკვდილო შედეგებიც მოჰყვებოდა ხოლმე. დაჭრა-დასახირებისათვის არაბული საზღაურთა სისტემა კი ძალზე ცუდად მოქმედებდა ოჯახების მატერიალურ მდგომარეობაზე და არცთუ იშვიათად „დრამა“ ჭრილობისათვის ოჯახის მთელ სარჩო-საბადებელს შეადგენდა⁴. ჭრილობის გართულება ადგილობრივ „აქიმსაც“ აწყობდა, რადგანაც, რაც უფრო მძიმე ჭრილობას მორჩენდა, მეტი გასამრჯელო უნდა მიეღო. „აქიმს“ შეეძლო საღი ძვალი დაეზიანებინა შედარებით მსუბუქად დაჭრილისათვის და ჭრილობის დათვალეიერებისას ეს წარმოინდებოდა როგორც დამჭრელის ნამოქმედარი⁵.

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მცირემიწიანი კაცი ცდილობდა მდიდრისათვის მამულები დაეტყუა. შარს აუტეხდა იმ მიზნით, რომ იქნებ მამულების მქონე მას ისეთ ადგილზე დაჭრიდა, რაც ძალზე

¹ ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

² ს. მაკალათია, ხვესურეთი, გვ. 92.

³ იქვე. ხვესურეთი, გვ. 92.

⁴ ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრ. ათ ტომად. ტ. IX, 1064 წ., გვ. 184, 186, 187.

⁵ ხვესური „აქიმებს“ ქონდათ რაღაც წამალი, რომელსაც „დარიშკანას“ ეახდნენ. დაჭრილს, რომელსაც სურდა ჭრილობის გართულება, ძვალზე აყრევივნება „აქიმს“ „დარიშკანას“ თვალს სულ ჭარდა. ხვესური „აქიმი“ ამ წამლისაგან დაზიანებულ ძვალს ხვესის მეშვეობით ამოკვსდა და იტყვოდა, რომ ოთხიკოს ხმაღამ დაზიანა ძვალი. თუმცა „დარიშკანას“ თვალს აწავსებდა და გამოცდილი ხვესურები აწინეოდნენ, რომ ძვალი „დარიშკანასაგან“ იყო გაფუჭებული (ალ. ოსიაური, მოსისსლეობა და ჭრილობები ხვესურეთში, M¹108, რე. №4. „მოსისსლეობა ხვესურეთში“. გვ. 159).

მკირი დაუჯდებოდა და დამჭრელი იძულებული გახდებოდა, „დრამაში“ მძინა მიეცა,¹ თუმცა უნდა ითქვას, რომ ხევსურეთში „დრამად“ მამულის მიცემა სამარცხვინო იყო, მასზე იტყოდნენ: „სამამულოდ საქიე გეაუხადო“, „სხეე ვერაფერი მისცაო“, ამიტომ დამჭრელი ცდილობდა, იარაღი ისეთ ადგილზე დაერტყა, რომ ბეერი დრამა არ გადახდენოდა. მავრამ თუ მოხდებოდა, რომ მძიმე ჭრილობას მიაყენებდა, ცდილობდა, სხეე საქონლით გადაეხადა და მამული არ მიეცა, მამული ხომ ყველაზე ძვირფასი იყო ხევსურისათვის².

გამომდინარე იქიდან, რომ დაჭრა-დასახინრება ხევსურეთში ძალზე ხშირი იყო, სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში ყველაზე ხშირად სწორედ „ჭრა-ჭრილობის“ საქმეზე ხდებოდა. თუმცა ძას გარკვეული წინაპირობებიც ახლდა თან. ჭრა-ჭრილობას ხევსურეთში, მეტადრე თუ იგი მძიმე იქნებოდა, შესაძლოა, შურისძიება და მტრობა მოჰყოლოდა. ამიტომ მხარეთა შერიგება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა. ეს კი უნდა მომხდარიყო „რჯულის“ მეშვეობით დადგენილი „დრამის“ გადახდით. დაზარალებულის „რჯულზე“ დათანხმება კი შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო, რამდენიმე თვე და წელიც კი. დამჭრელი მხარე, იმისათვის, რომ თავი დაეღწია შურისძიებისაგან და დაეყოლიებინა დაზარალებული მხარე „რჯულზე“, მას დაჭრიდან რამდენიმე დღეში უგზავნიდა თავის ხარჯზე ექიმს და საკლავ-პატივისაც გაუგზავნიდა (საკლავი და ერთი აბაზი) ან ხმელ პატივს. ექვს აბაზ ფულს. ინფორმატორის განმარტებით, თუ პიროვნება მძიმედ არის დაჭრილი, დასახინრებული, ან პირველად სახის არეში. ან აქვს საუპატიო ჭრილობა, მაშინ პატივის სახით დამჭრელმა დაჭრილს საკლავი უნდა გაუგზავნოს. თუ ძალიან მძიმე დაჭრა არ არის, პატივი ექვს აბაზს შეადგენს³. ასევე პატივისცემის ნიშნად, დამჭრელი დაჭრილს მოძველელ ქალსაც გაუგზავნიდა. ეს შეიძლება ყოფილიყო დამჭრელის

¹ ასეთი კაცი ყოფილა სოფელ ზეისტეროში (ბაკალიგოს თემი) მცხოვრები დევთ ფიცხელა, თორმე სახალხოდ გალესვდა თავის დამწას, მერე ჩუქად ქვაზე წაუსკამდა და გალესილობას დააჩუქებდა. მერე აუტეხდა მარს მჭონებელ კაცს, მიაკეოდა თავის დამწას. რომელიც დაწლუნგებული იყო და დაჭრიდა. მოპირდაპირეს კი ევონა დამჭრა და დაჭრილივე უკასუხებდა. ფიცხელა მძინულ იარაღს პირისახეს შეაგებდა და სადრამე ადგილს დაჭრეკონოდა. მერე გადაასდევინებდა „დრამას“ (ალ. ოჩიაური. ხევსურული მასალები, იქვე).

² ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“. 1988. გვ. 187.

³ მ. კეკელია. მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკული №1. გვ. 55.

ცოლი, და, ან ბიძაშვილი ქალი. ხევსური ინფორმატორები ჭრა-ჭრილობის მრავალ კონკრეტულ შემთხვევას იხსენებენ. ხშირად მათ თავს გადამხდარ ფაქტებსაც. ერთ-ერთი მათგანი პირველად ვილაც უცნობებმა სრულიად ახალგაზრდა დაჭრეს. სხვაში აერიათ. იგი გვიამბობს: „ორი დღე რომ გავიდა, იმათი სახლიკაცი მოვიდა მამაჩემთან და უთხრა: „ვერ უცნი შენი შვილი ჩემ სახლიკაცებს. აქიმსაც დავაყენებთ და საკლავ-პატივსაც გავიღებთ“. მამამ უარი უთხრა: „არ მომხდარიყო კარგი იყო, ახლა ჯერ მოვარჩინოთ, მტრობის მემრე ვიამბნოთ“... მოსულ კაცმა დამაყენა აქიმ-ფშაველი თვედორე პეტრაშვილი. 2-3 დღე ვიწვექ ლოგინში, მეორე დღეს მოვიდა ის კაცი, მოიტანა პატივი – სასმელი, საკლავი. ჩემს დაჭრილებს (ადგილი ჰქონდა საპასუხო დაჭრასაც – გ.დ.) მამამ დააყენა აქიმი და ჩვენთან პატივის მიტანის შემდეგ მათთან გაგზავნა კაცი 6 აბაზი პატივით“¹, ე.ი. ვინც ჩხუბს იწყებს პატივსაც პირველი ის აგზავნის.²

დამჭრელის მიერ დაჭრილისათვის ექიმის თავზე დაყენება, მომვლელი ქალის გაგზავნა, პატივის მირთმევა, გამოხატულება იყო იმისა, რომ იგი მომხდარის გამო ნანობდა და ისწრაფოდა შერიგებისაკენ. ყოველივე ეს შერიგების აუცილებელი პირობაც იყო და ხევსურეთში წესად იყო მიღებული, რაც გულს მოულობდა დაზარალებულს და უფრო ადვილად გადაწყვეტინებდა შერიგებისაკენ ნაბიჯის გადადგმას. შეიძლება ითქვას, რომ დამჭრელის მიერ დაჭრილისათვის „დასტაქრის“ გაგზავნა და მისი გასამრჯელოს საკუთარ თავზე აღება, მომვლელი ქალის გაგზავნა, პატივის მირთმევა, შერიგების პროცესის შემადგენელი ელემენტი იყო.

¹ მ. კეკელია, იქვე, გვ. 54-55

² აღ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ ხელზე, ფეხზე და სხვა ატარა ჭრილობებს, თუ ის არ ასახიჩრებდა აღნიშნავს, ეწოდებოდა „საფათულე ნაჭრევი“. ასეთ ნაჭრევეს დამჭრელი პატივს დასდებდა ერთი აბაზის ვერცხლის ფულით. შუაკაცები დამჭრელს გამოართმევდნენ ამ ფულს და დაჭრილს მოუტანდნენ. ამას ეწოდებოდა „ხელი პატივი“. პატივის დადების შემდეგ დაჭრილი მშვიდდებოდა და დამჭრელს თუ შეხვდებოდა, მუღს აღარ გაუმართავდა. დამჭრელი თუ პატივს არ დასდებდა, ეს ნიშნავდა კაცის აბუნად ავადებას, რის გამოც დაჭრილი ძალიან ბრაზდებოდა და ებებდა მარჯვე დროს სამაგიეროს გადასახდელად. თუ კაცი ხელში ან ფეხში მძიმედ იყო დაჭრილი და დასახიჩრება ელოდა, ან პირსახეზე სჭირდა ჭრილობა, ან მუხლიდან ერთი მტკაველის ზევით და წელის ქვევით, ასეთ ჭრილობებზე იყო „საკლავ პატივი“. საკლავ-პატივიც იყო „სისხლიანი“ და „ხმელი“. ხმელი საკლავ-პატივი იყო ექვსი აბაზი ვერცხლის ფული. ებლოდა თავში მიყენებული ჭრილობისათვის, აგრეთვე მუხლში სამი ნაოჭის ზემოთ მიყენებული ჭრილობისათვის; უფრო მძიმე ჭრილობისათვის, მაგალითად, ხელი ან ფეხი თუ ნახევრად სახიჩრდებოდა, ან საუპატიო ჭრილობისათვის (ასე ეწოდებოდა ჭრილობას მუხლის ზემოთ ერთი მტკაველის გადაზომის შემდეგ და წელს ქვევით მიყენებულ ჭრილობას, რადგანაც შეხვევის

როდესაც დაჭრილი მორჩებოდა, ამის შემდეგ დამჭრელი უგზავნიდა მას კაც-შუაკაცს უკვე უშუალოდ რჯულზე დასაყოლიებლად. ხანდახან შუაკაცები თვით ახერხებდნენ მხარეთა შერიგებას, ძირითადად კი, ეს „რჯულის“ მეშვეობით ხდებოდა, რომელიც, ბუნებრივია. ორივე მხარის თანხმობით ტარდებოდა. „რჯულის“ ორგანიზაცია ჩვეულებრივ ხდებოდა და მასზე აქ აღარ შეეწერებოდა. მნიშვნელოვანი მოსიქისტი იყო ის, რომ „რჯულის კაცებად“ მხარეები ისეთ პიროვნებებს ირჩევდნენ, რომლებიც „ჭრა-ჭრილობის“ რჯულში იყვნენ გარკვეულნი, რადგანაც მათ თვითონ, უშუალოდ უნდა დაეთვალთვლებინათ დაზარალებულთა ჭრილობები და ჭრილობის შესაბამისი „დრამა“ უნდა განესაზღვრათ. ცხადია, ამისათვის მათ უნდა სცოდნოდათ, თუ ხვესურული „რჯულით“ რა ოდენობის დრამაა გადასახდელი ამა თუ იმ სახის ჭრილობისათვის ან სხეულის ამა თუ იმ ორგანოს განაიბრებისათვის. „ჭრა-ჭრილობისათვის“ გათვალისწინებული კომპოზიციათა სისტემა კი საკმაოდ მრავალმუხლობრივი და მრავალფეროვანი იყო. „რჯულის კაცები“ თვითონ აფასებდნენ ჭრილობებს და ადგენდნენ მის სიმძიმეს. „ჭრა-ჭრილობის რჯულში“, შესაძლოა, დაჭრილის (ან დაჭრილების) მკურნალი ექიმი (ან ექიმები) მოეწვიათ. როგორც აღვნიშნეთ, „რჯული“ დაჭრილის გამოჯანმრთელების შემდეგ ტარდებოდა, როდესაც ჭრილობები, ძირითადად,

დროს ქვედა ტანსაცმლის. შარვისს გახდა იყო საჭირო) გათვალისწინებული იყო სისხლიანი საკლავ-პატივი: ერთი აბაზი ფული და ერთი საკლავი. შუაკაცები დამჭრელს არ მოუძღვრებდნენ ზეპირ დასასულებელ საკლავ-პატივებს და მიჰქონდათ დაჭრილთან. ამავე დროს, ეუბნებოდნენ დამჭრელს სიტყვებს: დამჭრელს თუნდაც სრინული არ გამოთქვა, შუაკაცი დაჭრილს მაინც ამბავს მოუტარებდა. შერის დამჭრელს ძალიან ენანება, ეს არ ჩამდნა და მოუკვლარიყავი ის მკრივნაო. ასეთი ხინანულისათვის დაჭრილი გულს მოიბრუნებდა და შერიგებაზე უარს აღარ იტყვოდა (აღ. ორიაური, სტუმარ-მასხინძობა ხვესურეთში, თბ., 1980 წ. გვ. 162). აღ. ორიაურის აღნიშნულ ნაშრომში დაჭრილობითაა განხილული თუ როგორ ხდება ჭრა-ჭრილობისას შუაკაცების მოსვლა დაჭრილის ოჯახში, სწრაფადვე დაჭრის შემდეგ, შერიგების მოსაღწევად რა სიტყვებით მიმართავენ ისინი ერთმანეთს, თხოვნის რიტუალი, პატივის მიტანა, დაჭრილისათვის ექიმის მიყვანის დეტალები, ჭრილობის შეხორცების შემდეგ შუაკაცების მოსვლა დაჭრილთა „რჯულის“ ჩატარებაზე დასაყოლიებლად და სხვ. (აღ. ორიაურის დასახ. ნაშრ. გვ. 161-180). თუ აღ. ორიაურის ამ ინფორმაციასა და თანამედროვე ინფორმაციას ცნობებს შეეჯერებო, შეიძლება გარკვეული დასკვნები გაეკეთოთ: თუ „საუთავლე“ ჭრილობაა, ანუ ყველაზე მსუბუქი, რომელსაც ადგილობრივი „აქტივები“ ფორმლებთ მკურნალობენ, პატივი ძალზე მცირეა. ყველაზე უფრო მძიმე ჭრილობისათვის, დასახიზრებისათვის, საუპატიო ნაჭრევისათვის, პირველად სახის არეში დაჭრისათვის, სისხლიანი „საკლავ პატივი“ გათვალისწინებული (საკლავი და ერთი აბაზი), სხვა ჭრილობებისათვის, კერძოდ, შუბლის სამი ნაოჭის ზეპირ თავში მიყენებული ჭრილობებისათვის. შედარებით უფრო მსუბუქი ჭრილობებისათვის, როცა არ იყო ძალიან მძიმე ჭრილობა, დასახიზრება, არც „საუთავლე“, არც „პირის სერის შერევა“, არც „საუპატიო“. ჩვენი აზრით, გათვალისწინებული იყო ხმელი პატივი, ექვსი აბაზის ოდენობით.

უკვე შეზორცებულიც იყო და ამითაც იყო ამის აუცილებლობა განპირობებული. გამოცდილი „რჯულის კაცები“ ჭრილობის დათვალაიერებითაც ადგენდნენ თუ რა სიმძიმის ჭრილობასთან ჰქონდათ საქმე, მაგრამ ზოგჯერ აუცილებელი იყო დასტაქარს დაეზუსტებინა ჭრილობის სიმძიმე და სიღრმე (განსაკუთრებით თავში მიყენებული ჭრილობისას). ჭრა-ჭრილობის საქმეზე, ძირითადად, „რჯული“ იმართებოდა „დრამის“ ოდენობის განსაზღვრისათვის. ორმხრივი დაჭრის შემთხვევაში, ვინც მეტად იყო დაჭრილი, „დრამას“ მხოლოდ ის იღებდა. მეორე მხარისათვის მისაცემი „დრამა“ ჩვეულებისამებრ იბრებოდა. აქ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვისი ბრალი იყო ჩხუბის დაწყება. „რჯულის კაცები“ დამდგარ შედეგს აფასებდნენ და ამის საფუძველზე გამოჰქონდათ განაჩენი.

ჭრა-ჭრილობის საქმეზე „რჯულის კაცების“ მიერ მხარეთა დაკითხვის რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევას მოვიყვანთ:

„რჯულის კაცებმა“ პირველად დაიბარეს დაზარალებული... დაზარალებულმა იჩივლა: „მე ხთისგან ცოცხალი ორ, მაგისგან მკვდარ. ცოცხლავ ვაამბობ, თორე რა ცოცხალში სათვლელი დავრჩი. თვალ აღარ მაქვ, ხელ აღარ მაქვ, პირისახე პირისახეს აღარ მიგავ.. სასიკვდილოდ გამიქჩერ, რად უნდოდ გონის ახდა, მე იარაღის მაქნევის წესით უქნევდი, მაგან მტერ-ურჯულოსავით სასიკვდილად... აბა, რა ვიჩიელო, აი, ნაჭრეებს ქვე ხელავთად, ყველათ თავ-თავის ანგარიში აქეთ „რჯულით“ დაწესებული. აბა, მე რაისად მაქმედ ორ თორე მაგას რჯული კი არ უნდოდ. ან ეესრ გახდა უნდოდა ეეხლად, რომ მე ორ ან მაკვლა იყვ მაღლი, ჩემ ესრ გამხდელისაო... ეეხლათ თქვენ იციო, თუ გწყალობსთ გუდანის ჯვარიდ, ხევსურელნი ხვთიშვილნი, წესიერად გაარჩიეთ, ნუც იქისკე გადაიხრებით, მე არ დავიჯერებ, ჩემკე გადმოიხრებით ის არ დავიჯერებს. ამით რჯული დაიშლებისად, ცუდ საქმე ჩამაგვივარდების... მაცოდარ ხალხი ხართ ხევსურეთის რჯულისა, თქვენ რა მაგეტყუებისათ. რა გესწავლებისათ, თქვენ იცოდად, თქვენმ კაცობამ, როგორც სამართალს იტყვიო, ისრ გიშველან ხევსურულთ ხვთიშვილით“... ეს მხარე საჩივრის შემდეგ წავიდა და ახლა დამნაშავე მხარე დაიბარეს რჯულის კაცებმა და ალაპარაკეს. მას თქვა: „ამას წინ არა უდგას, რომ თავის დალეულ საქმე მე უნდა გავაკეთ. აღარც ის უშველის ამას, რომ ჩემ ბრალ არ იყვ... მე თავის დალეულის გაკეთება მინდ. თავში ქვა უნდ ვიხალად, გავაკეთათ. მე ყველით წინ უდგეო, თუ

გადახრა იქნების მე ურჯულოდ ხორცს პირში არ ჩავიხრი. თუნდა ექხლადავ ამკაფან მაგათ, რა ვქნა, რაიც რჯული არას, მე ისითს ნარჯულევს ვერ დაიჯერებად, უფრო ცუდად წაგვიე საქმე. ეგენ მე არ მამასვენებენად, დავხოცთ ერთუცს...“ მან რომ საუბარი გაათავა, რჯულის კაცები შეუდგნენ ჯერ დაჭრილის ხელის შემოწმებას. ნახეს ჭრილობა, გასინჯეს დასახიჩრება, ხელი იდაყვიდან აღარ იღუნებოდა... ხელს ისედაც ეტყობოდა, გალუული, გაწვრილებული და გაყვითლებული იყო. მერე დაზომეს შუბლის ნაჭრევი და ლოყაზე ის ადგილი, სადაც ყბა (ხვესურულად წვერი) არ ფარავდა... მერე დაზომეს ის ადგილი, სადაც ყბა ფარავდა¹. ამ კონკრეტული შემთხვევიდან ამჟამად, თუ როგორ აფასებენ და პატრებს მიაგებენ ხვესურები თავის „რჯულს“. ისინი მზად არიან გადაიხადონ „დრამა“, თუ მის ოდენობას „რჯულის კაცები“ „რჯულის“ მიხედვით, ე.ი. სამართლიანად დაადგენენ, ხოლო თუ გადახრას ექნება ადგილი, ისინი არ დაემორჩილებიან გადაწყვეტილებას და გაგრძელებს მტრობა. აქ კარგად ჩანს, თუ რამხელა პასუხისმგებლობა ეკისრება „რჯულის კაცებს“. მათმა არასწორმა მოქმედებამ, შეიძლება, ძალზე გაამწვაოს დამოკიდებულება მხარეებს შორის, რასაც შესაძლოა, კვლავ სისხლის ღერა და მკვლევლობა მოჰყვეს. მხარეები თვით აფრთხილებენ „რჯულის კაცებს“, რომ არასწორ „ნარჯულევს“ არ დაიჯერებენ და თავადაც კარგად ესმით, რომ ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მტრობა გაგრძელდეს უფრო მძიმე შედეგებით, და ის, რომ ორივე მხარე „რჯულში“ მონაწილეობს, მეტყველებს იმას, რომ ასეთ პერსპექტივას მათ მორიგება ურჩევნიათ და „რჯულის კაცთა“ სამართლიანობისა და კომპეტენტურობის იმედი აქვთ, ე.ი. „რჯული“ დაპირისპირებულ მხარეთა მორიგების ძირითადი ინსტრუმენტი.

მეორე მაგალითი, სადაც „აქიმიც“ მონაწილეობს: „... დაჭრილს პირველად შეხსნეს შეხვეული თავი და ჭრილობა გასინჯეს. ამ დროს აქიმიც აქ ესწრობოდა, აქიმსაც ჰკითხეს: „რომელი ძვალი ამოვიდა, ზეთა ძვალი, ჩხიმიანი თუ ქვეთა ძვალი“. ჭრილობას ეტყობოდა, რომ ძვალი ტვინზეთ სულ ამოსული იყო. ... ტვინის მოძრაობა ჭრილობას ეტყობოდა. აქიმსაც დაამტკიცა, რომ ძვალი ტვინზეთ ამოვიდა, მერე ისინი დაითხოვეს და დამჭრელი დაიბარეს და უთხრეს: „შენ რაი გაქვ სათქმელი, ნაჭრევი ხო შენგან ას. იმან უარი არა თქვა“ (იმას კი

¹ აღ. ოჩაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხვესურეთში, №1 108, რკ. №17. ჭრა-ჭრილობა ხვესურეთში, გვ. 30-31-32.

მნიშვნელობა არ ჰქონდა შულღში ვისი ბარლი იყო, რჯული მაინც თავისი წესით გარჯულავდა ჭრილობის მიხედვით). რჯულის კაცებმა ეს მხარეც დაითხოვეს და შეუდგნენ გარჯულვას¹. ალ. ოჩიაურის მასალებში შესანიშნავად ჩანს ობიექტური შერაცხვის პრინციპის პრიმატი დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან შედარებით. „აქიმის“ როლი კი პროცესში, შესაძლოა, გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს „ნარჯულევის“ დადგენისათვის.

კიდევ ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებულ „რჯულს“ შევეხებით (ამ დაჭრაზე საუბარი უკვე გვქონდა, როდესაც ინფომრატორი ყმაწვილკაცობაში შეცდომით დაჭრეს): „რჯულის კაცები ჯერ ჩვენთან (დაზარალებული მხარე – გ.დ.) მოვიდეს, გვკითხეს: „რაში იყავე საქმე“, ჯერ მამამ უამბო: „რას ემართლებოდეს ჩემს შვილს, სასიკვდილოდ იარალის საქნევსა. ჩემგან ცოცხლებ არ არიან გასაშვებად, მაგრამ ყმაწვილებს რა უყო. მილილავ უფერ საქმეშიო (ე.ი. შურს იძიებენ ჩემი შვილებიო – მ.კ.), რჯულის მოჭრილი ხელი კაცს არ ეტკინებისაჲ“. მემრ მე მაუბნეს: „როგორც იყე“, მემრე ადგეს და იმებსთან წავიდეს, იყურეს იმათ ნაუბარ და იქავ ჩვენთან მავიდეს და გვითხრეს იმათ ნათქვამ: „ჩვენ დალეულ ას (ჩვენი გაფუჭებული არის), ეს საქმე და რასაც რჯული იტყვის წინ უდგავართ“. იქ იყე ჩემ ექიმ თველორე, რომელსაც რჯულის კაცებ ჰკითხეს: „რა მაარჩინ შენ, რა სიმძიმის ნაჭრეებ იყო“. თველორემ უთხრა: „სასიკვდილო მოვარჩინე მუცელში რომ ჰქონდა ხანჯარ ნაკრავ, თავში რაი ნაჭრეებ იყო ზეთა ძვლებე ამავიდაო, სამ ნაჭრეე იყო თავში, ჩხიმსთანამდე არც ერთ ნაჭრეე არ იყო.“ აქიმს უნდა დაუჯერონ, იმით, რო იმათ დაყენებული აქიმი ას, თანაც მოსავლელად რომ დადიოდეს დახვევაში თაოდ ხელავდეს ნაჭრევს... მემრ ჩვენ წამავედით შინ, რჯულის კაცები წავიდეს გასარჯულებლად...“².

ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს „რჯულის“ მიმდინარეობა, კერძოდ კი, საქმის არსებითად განხილვის ძირითადი პერიპეტეიები. „რჯულის კაცები“ ჯერ ერთ მხარეს დაჰკითხავენ, შემდეგ მეორეს, ისევ პირველს გააგებინებენ მეორეს ნათქვამს და ა.შ. ჭრილობებს გასინჯავდნენ, შეაფასებდნენ, ექიმსაც დაჰკითხავდნენ და სრული ინფორმაციის მიღების შემდეგ წავიდოდნენ „ნარჯულევის“

¹ ალ. ოჩიაური, იქვე, რკ №15, გვ 5.

² მ. კაკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, გვ 55-56.

გაიოსიანად. ერთ-ერთ მსგავსებაში ისიც გამოჩნდა, რომ „რვეულის კაცებს“ შესაძლოა გაეზომათ ჭრილობა, რათა ამ ჭრილობის შესაბამისი „დრამა“ განესაზღვრათ. ჭრილობის გაზომვა ქერისა და ხორბლის მარცვლების მეშვეობით ხდებოდა. ეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საკმაოდ გავრცელებული იყო და, როგორც ჩანს, უძველესი ეპოქიდან ქართული ჩვეულებითი სამართლის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენდა. ამაზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ ჭრილობის ქერის მარცვლებით გაზომვა ჩვეულებითი სამართლიდან ვახტანგის სამართალშიც არის შესული. კერძოდ, 49-ე მუხლში ვკითხულობთ: „... ტანზედ, მკლაფზედ, ბარკალზედ და წვივზედ თუ რასაც ალავს კაცი დაიჭრას დაუშავებლად, ... ის ჭრილობა ქერის მარცვლით გაზომონ, რამდენიც ქერის მარცვლის ზომა გამოვიდეს, მარცვალზე ერთი ძროხა გლეხისა არის...“¹.

რაც შეეხება ხევსურებს, აქ ჭრილობას ზომავდნენ როგორც ქერის, ისე ხორბლის მარცვლებით. მაგრამ ვახტანგ VI სამართლისაგან განსხვავებით. ხევსურეთში მარცვლებით იზომება მხოლოდ და მხოლოდ სახეზე მიყენებული ჭრილობა, ისიც შუბლის სამი ნაოჭის ქვემოთ. შუბლის სამი ნაოჭის ზემოთ მიყენებული ჭრილობა არ იზომებოდა. თუ თავის ძელები არ იყო დაზიანებული, ამ დროს დამჭრელი ე.წ. საფოთლეს² – ერთ ხელით ცხვარს უხვდიდა დაზარალებულს, ასევე ცოტა არაყს მიუტანდა.

შუბლის სამი ნაოჭის ქვემოთ, სახეზე მიყენებული ჭრილობა მისი შეხორცების მერე ასე იზომებოდა: ძაფით ან ჭყუმით (ბალახის ღეროთი) იზომება ჭრილობა უშუალოდ სახეზე. ეს ზომა ბალახის ღეროს მეშვეობით გადააქვთ სიპ ქვაზე – ქვით მოხაზავენ მის ბოლოებს და სიპზე გადატანილი ჭრილობის ზომის ფარგლებში სიპ ქვაზე გარდი-გარდმო აწყობენ ქერისა და იფქლის (მთის ჯიშის ხორბალი, რომელიც ხევსურეთში გაზაფხულზე ითესება) მარცვლებს. ისინი განსაზღვრული თანამიმდევრობით ეწყობოდა: ჯერ სივანეზე იდებოდა ქერის მარცვალი, შემდეგ სიგრძით – იფქლის მარცვალი, შემდეგ ქერი – სიგრძით, იფქლი – სივანით და ა.შ. ბოლოს თითო მარცვალს აქეთ-იქით კიდებზე ჩამოაცლიებენ და რამდენი მარცვალიც დარჩებოდა ამის შემდეგ იმდენი ძროხის „დრამა“ უნდა გადაეხადა.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, გვ. 494.

² საფოთლე ერქვა იმატომ, რომ აქიმატი ფოთლებით მკურნალობდნენ ასეთ ჭრილობას.

თუ დაზარალებული პირველად დაჭრეს სახის არეში (ე.წ. პირის სერის შერევა). მაშინ კიდურა მარცვლების ჩამოცილება არ ხდება და დაზარალებული იმდენი ძროხის დრამას მიიღებს, რამდენი მარცვლიც დაეჭევა უკლებლივ მის ჭრილობაზე¹. ზოგიერთი ინფორმატორის ცნობით, სახის წვერით დაფარულ ადგილას მიყენებული ჭრილობა ასევე მარცვლებით იზომება, თუმცა ჭრილობის სიგრძეზე დატეული მარცვლების ნახევარი ჩამოსცილდება². თუ სახეზე რამდენიმე ჭრილობა იქნება მიყენებული, ისინი ცალ-ცალკე იზომება, კიდურა მარცვლები ყველა ჭრილობიდან სცილდება და დარჩენილი მარცვლები იკრიბება.

ქერისა და ხორბლის მარცვლებით ჭრილობის გაზომვა შეიძლება „რჯულის კაცებსაც“ მოუხდენიათ და მხარეთა მიერ არჩეულ ერთ შუაკაცსაც. ამ დროს ჭრილობის სიძიძის შესაბამისად, „რჯულის კაცებს“ გამოაქვთ განაჩენი და უცხადებენ მხარეებს. შემდეგ შუაკაცს ან „რჯულის კაცს“ დაზარალებულის ოჯახში მიაქვს დრამა, რომელსაც მას, ცხადია, დამჭრელი გადასცემს. ბოლოს კი დამნაშავე მიდის დაზარალებულის ოჯახში არყით და სუფრაზე ხდება მხარეთა შერიგება. განსაზღვრულ შემთხვევაში „რჯულს“ დამჭრელებისათვის, შესაძლოა, საკლავიც დაეკისრებინა „დრამის“ გარდა, მაგალითად. თუ დაჭრა, თუნდაც არც ისე მძიმე, მოხდებოდა დაზარალებულისათვის შეურაცხყოფელი, დამამცირებელი ფორმით.

¹ მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული № 5, 1977, გვ 20; იქვე, გვ 42; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, №1, 1977, გვ 58-63; მ. კეკელია მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №6, 1977, 22-23.

² მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, №6, 1977, გვ 22-23.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ხევსურულ „რჯულში“ ყველაზე უფრო სრულყოფილად ვლინდება საბრალდებო პროცესის ძირითადი პრინციპები. ჩვენ უკვე დავახასიათეთ სასამართლო პროცესის ცალკეული სტადია და მოვიყვანეთ შესაბამისი, კონკრეტული მაგალითები. ამკარაა, რომ ხევსურეთში კლასიკური სახით ფიქსირდება სასამართლო პროცესის უძველესი ფორმა.

პროცესი საჯაროდ მიმდინარეობს. საქმის არსებით განხილვას შეიძლება გარეშე პირებიც დაესწრონ. თანამედროვე ინფორმატორები აქცენტს აკეთებენ ახალგაზრდობის დასწრებაზე, რათა მათ შეისწავლონ ხევსურული „რჯული“.

ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს პროცესის ზეპირობა. არავითარი წერილობითი დოკუმენტი „რჯულში“ არ დგება, წერილობით არც განაჩენი ფორმდება და მხარეებს ზეპირად ეცხადება. მრავალმა „რჯულის კაცმა“ (XX საუკუნის ბოლოსაც) უბრალოდ, წერა-კითხვა არ იცოდა. ამას საკმაოდ ბევრი თანამედროვე ინფორმატორი, რომელიც ხშირად ყოფილა „რჯულის კაცად“, საკუთარ თავთან დაკავშირებითაც აღნიშნავს. აქ გასაკვირი არაფერია, ხევსურული ჩვეულებითი სამართალი – „რჯული“ – არ ყოფილა წერილობით დაფიქსირებული და მისი ნორმები ზეპირად გადაეცემოდა თ იბიდან თაობას და „რჯულის კაცებიც“ საქმეებს, სწორედ, ძველი ანდრეზების¹ მიხედვით, ზეპირად იხილავდნენ. ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ საბჭო სამართალი სიტყვიერი სამართალია და საბუთის წერილს არ ითხოვს¹. აღსანიშნავია, რომ ნ. ხიზანაშვილის დროიდან დღემდე ამ თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. XX საუკუნის ბოლოსაც პროცესი ხევსურეთში ზეპირად ტარდება.

გამონაკლისს არც შეჯიბრებითობის პრინციპი წარმოადგენს. მხარეები პროცესში თანაწილნი არიან და საქმის აღძვრა მხოლოდ მხარეებზეა დამოკიდებული. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მთიანეთში, მათ შორის ხევსურეთშიც, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი მუდმივმოქმედი საგამოძიებო ან სასამართლო ორგანო არ არსებობდა. მხარეები თვითონ აგროვებდნენ სასამართლო მტკიცებულებებს. „მთხრობელს“ სწორედ

¹ ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 57.

დაზარალებულ მხარესთან მიაქვს ინფორმაცია მომხდარ დანაშაულთან ან დამნაშავის ვინაობასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება კონკრეტული ბრალდების წაყენების საფუძველი გახდეს. მხარეები თვითონ ეძებენ დამნაშავეს, მოწმეებს, ნივთიერ მტკიცებულებებს თუ ასეთი არსებობს. შემდეგ კი „რჯულის კაცები“ უსახელებენ მოწმიებს, წარუდგენენ ნივთიერ მტკიცებულებებს. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ინფორმატორი ზუსტად შენიშნავს: „საერთოდ, ქურდს ან სხვა დამნაშავეს თვითონ დაზარალებული ეძებს და დანაშაულის დამამტკიცებელ საგნებსაც ისინი აგროვებენ და შემდეგ წარუდგენენ „რჯულის კაცებს“ საქმის გარჩევისას“¹. ჩვენს ხელთ არსებულ ეთნოგრაფიულ მასალაში არის ერთი საინტერესო კონკრეტული შემთხვევა, როდესაც „რჯულის კაცებმა“ უსაყვედურეს დაზარალებულ მხარეს, თუ რატომ არ შეამოწმა მან „მთხრობლის“ ინფორმაცია. მთხრობელმა დაზარალებულს უთხრა, თუ ვინ მოიპარა და დაკლა მისი ხარი და სად შეინახა რქები და სად გააშრო ხორცი. თუმცა შემდეგ სასამართლო პროცესზე უარი თქვა თავის სიტყვებზე. „რჯულის კაცებმა“ დაზარალებულს უსაყვედურეს: „როცა გაიგე შენის ხარის რქები სად იყო, რატომ არ ნახე...“². ამ მაგალითში კარგად ჩანს, რომ მტკიცებულებათა შეგროვება, სწორედ, მხარეთა ფუნქციაა. თვით დაზარალებულს უნდა შეემოწმებინა მთხრობლის ნათქვამი, და თუ იგი ნივთიერ მტკიცებულებას, კერძოდ, „გერშს“, წარუდგენდა სასამართლოს, ამით უფრო დადებით შედეგს მიაღწევდა.

მხარეებს, შესაძლოა, გარკვეული „საგამოძიებო მოქმედებანიც“ თვითონ ჩაეტარებინათ. აღ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება მაგალითი, როდესაც დაზარალებული მხარე თვითონ ახორციელებს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას (თუმცა რაღაც სავალდებულო ძალა ამ მოქმედებათა შედეგს არა აქვს და მხარეები თავისი შეხედულებებისამებრ აგრძელებენ მოქმედებას). მოხდა უბედური შემთხვევა — კლდიდან დაგორებულმა ქვებმა იმსხვერპლა ქალი. დააბრალეს ეს ვინმე გოგოცა ცისკარაულს, რომელიც იქ იმყოფებოდა, საიდანაც ქვები დაგორდა.

გოგოცა ამტკიცებდა, რომ ქვები როცა დაგორდა, იგი იმ ადგილას აღარ იმყოფებოდა და ყველაფერი იშობრად (შემთხვევით) მოხდაო.

¹ დ. ჯალაღანი. მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988. გვ. 38-39.

² ო. ზოიძე. მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, №1, 1988. გვ. 2-3.

დაზარალებული მხარე მაინც თავისას არ იშლიდა და მას ადებდა ხელს. შემდეგ დაზარალებულები მივიდნენ შემთხვევის ადგილის დასათვალისწინებლად. როგორც ალ. ონიაური წერს: „ქვის ნაგორავს მიყვნი და დამტკიცდა მაშინვე, რომ საიდანაც ქვები დაგორდა, იმ დროს ვოგაიტა იმ ადგილზე არ ყოფილა.“¹

რაც შეეხება მოსამართლეებს, მათი როლი სრულიად პასიურია. ისინი პროცესის დაწყების წინ ეცნობიან ერთმანეთს და საქმის არსსაც. რაიმე საგამოძიებო მოქმედებებში, მოწმეთა მოძიებისა და, საერთოდ, მტკიცებულებათა შეგროვებაში ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. მათ განაჩენი გამოაქვთ მხარეთა დაკითხვის, მტკიცებულებების შესწავლისა და შეფასების საფუძველზე.

ასეთია ხევსურული სამედიატორო სასამართლოს ან „რჯულის“ ჩატარების ძირითადი პრინციპები და სასამართლო პროცესის სტადიები. ხევსურულ სასამართლო პროცესში აშკარად გამოჩნდა საბრალდებო პროცესისათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპები – საჯაროობა, ზეპირობა, მხარეთა შეჯიბრებითობა, აშკარად გამოიკვეთა მოსამართლეთა პასიური როლი პროცესში.

ამრიგად, ხევსურეთში სრულიად ცალსახად ფიქსირდება სასამართლო პროცესისა და სასამართლოების პირვანდელი ფორმები და მათი მეცნიერული შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია ქართული (და არა მარტო ქართული) სამართლებრივი კულტურის უძველესი ისტორიული ეტაპების გასაცნობად.

¹ ალ. ონიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, M¹108, რვეული №2. „მოსისხლეობა ხევსურეთში“, გვ. 15-17.

МЕДИАТОРНЫЙ СУД ИЛИ „РДЖУЛИ“ В ХЕВСУРЕТИ РЕЗЮМЕ

Грузия – страна уникальная тем, что в ней до сих пор существуют древнейшие формы судебного процесса и судов. В частности, в Хевсурети и Свапети, даже в конце XX века, фиксируется существование медиаторного суда, действующего на основе правовых обычаев. В данной работе на основе исследования письменных и особенно архивных материалов изучена деятельность медиаторных судов в Хевсурети.

Медиаторный суд формируется на том этапе развития общества, когда параллельно с институтом местной власти постепенно входит институт композиций. Назначение медиаторного суда заключается именно в том, чтобы в каждом отдельном случае, избежав фактора мести, примирить стороны правовыми обычаями на основе установленного имущественного взыскания (композиции). Т.е. главная функция медиаторного суда – это примирение сторон. Суд должен вынести такое решение, которое удовлетворит обе стороны. В противном случае вражда и месть между враждующими сторонами могут возобновиться вновь. Медиаторный суд не являлся постоянно действующим судебным учреждением. Его состав определяли сами стороны в каждом конкретном деле. Обе стороны, в основном, называли равное количество судей.

Медиаторный суд в Хевсурети назывался „рджули“, а избранные сторонами медиаторы – „рджулис кацеби“. „Рджули“ рассматривал только частноправовые споры с целью примирения сторон. Поэтому и судебная организация была таковой, чтоб она не могла помешать примирению сторон (следует отметить, что согласно хевсурскому правовому обычаю к частноправовой сфере относятся убийства, нанесение ран и увечий, кражи и другие преступления). Когда в Хевсурети происходит убийство, нанесение ран и т.д., то для избежания мести в дело вмешиваются „шуакацеби“ (посредники). Они всячески стараются убедить стороны в том, чтобы посредством „рджули“ они дали согласие на примирение. Это согласие означает, что пострадавшая сторона готова отказаться от мести, а ответчик готов удовлетворить требования пострадавшей стороны, т.е. выплатить ему установленную на „рджули“ плату – композицию.

После того как „шуакацеби“ получают согласие сторон на проведение „рджули“, на повестку дня ставится вопрос выбора медиаторных судей, т.е. „рджулис кацеби“. Их выбор – прерогатива сторон, хотя чаще всего этот выбор стороны доверяли посредникам, т.к. „шуакацеби“ в этом деле опытнее враждующих, или, более того, просили самих посредников стать „рджулис кацеби“. Число „рджулис кацеби“ определялось с согласия сторон. В случае сложных дел „рджулис кацеби“ избирали в большем количестве, чем в случае легких дел.

По хевсурскому праву большое значение имело определение места проведения „рджули“. „Рджули“ проводили в таком месте, чтоб ни одна сторона не оказалась хотя бы чуть-чуть в более привлекательном положении. Если спорящие стороны были жителями одной деревни, то „рджули“ проводили на территории молельни, „джвари“, а когда жители были из разных деревень, то „рджули“ проводили в среднем месте между этими деревнями. Вообще „рджули“ принято проводить на открытом месте, где-нибудь в поле, на берегу реки и др., а спорящие стороны располагаются так, чтоб они не могли видеть и слышать друг друга. Делалось это в интересах основной цели „рджули“, т.е. окончательного примирения спорящих сторон. Ведь могло случиться так, что одна из сторон, не справившись с эмоциями, тем более при встрече, грубо отзовется о противнике, и тогда одно лишь неуравновешенное слово могло вызвать возмущение второй стороны, вследствие чего мог сорваться „рджули“. Поэтому „рджулис кацеби“ рассаживали стороны порознь на расстоянии, например, по сто метров от „рджулис кацеби“. Сперва подходили к одной стороне для получения показаний, затем – к другой. Это делалось для того, чтобы пострадавший и ответчик не видели друг друга. Именно поэтому мы не встречаем в Хевсурети института противостояния сторон.

Первая стадия судебного процесса – это рассмотрение дела по существу. „рджулис кацеби“ сперва опрашивали пострадавшего, а затем – ответчика. Последовательность опроса сторон могла быть разрешена и жребием. Затем „рджулис кацеби“ опрашивали свидетелей и местного врача, который лечил раненых народными средствами. Он точно знал степень тяжести ранения, на основе чего происходило вынесение приговора. Вторая стадия – вынесение приговора. После рассмотрения дела по существу „рджулис кацеби“

оставались одни и начинали обсуждать приговор. Они по очереди высказывали свои соображения и в конце приходили к окончательному решению. При вынесении приговора решающее значение имел прецедент по имеющемуся делу или, как называют его хевсурцы, „андрез“. „Рджулис кацеби“ обязательно вспоминали то, как рассматривали подобные дела раньше. Если между „рджулис кацеби“ было несогласие и им не удавалось вынести для всех приемлемый приговор, то „рджули“ распадался. В этом случае „рджулис кацеби“ объявляют сторонам, что они не пришли к общему согласию и не вынесли решения, после чего сторонам советуют выбрать новый „рджули“. Почему не пришли к согласию „рджулис кацеби“ и кто на какой позиции стоял – это остается тайной. Следующей стадией процесса является объявление приговора сторонам. Приговор сторонам объявляют порознь. Заключительную стадию представляет исполнение приговора и примирение сторон.

Одна из характерных черт медиаторного суда – факультативность приговора – четко выявлена в Хевсурети. Здесь не существовало такого учреждения, которое обеспечило бы исполнение приговора. Исполнение приговора полностью зависело от воли сторон. Если одна из сторон сочла бы необъективным, несправедливым приговор, вынесенный советом „рджулис кацеби“, то она могла потребовать новый состав „рджули“. Из-за одного и того же дела „рджули“ могли собрать второй, третий, четвертый и т.д. раз. Вероятность проведения „рджули“ сохранялась до тех пор, пока медиаторы не выносили для обеих сторон приемлемый приговор. Ведь в Хевсурети проводили „рджули“ для примирения сторон. Поэтому, с этой точки зрения, вполне логично, чтобы „рджули“ был успешным, он должен был вынести решение, удовлетворяющее обе стороны. В связи с этим, обычно, при вынесении приговора „рджулис кацеби“ учитывали отношение сторон к исполнению приговора и др., что, естественно, способствовало вынесению для обеих сторон приемлемого, точнее сказать, выполнимого приговора. Была вероятность и того, что одну из сторон склоняли к определенным уступкам с тем, чтобы достичь примирения сторон. Но исполнение приговора, вынесенного „рджули“, определяли другие факторы. В первую очередь – это основной принцип: проведение „рджули“ по воле сторон, чем они и выражали готовность к примирению именно на основе приговора, вынесенного „рджули“. Т. е. высокая степень вероятности исполнения приговора была заложена в согласии сторон

проводить „рджули“. Конечно, стороны были заинтересованы в том, чтобы избавиться от мести, а в случае неприемлемости приговора, вынесенного „рджули“, стороны оставались врагами. Но чаще всего такая перенектива была для них неприемлемой, что приводило стороны к исполнению приговора. Кроме того „рджулис кансби“ набирались всеми уважаемые, очень честные и авторитетные лица, слову которых все доверяли. Выносимые ими приговоры чаще всего были правдивыми и стороны им подчинялись. Если же одна из сторон явно была не довольна приговором и считала его не объективным, то она требовала проведения нового „рджули“.

В Хевсурети форма судебного процесса – обвинительная. Это четко прослеживается в соответствующем этнографическом материале. Такая древнейшая форма судебного процесса проявляется именно в деятельности „рджули“ и фиксируется в настоящее время, что, в общем, увеличивает научный интерес к этому институту. Мы имеем возможность на живых примерах беседовать о том, что характерно для догосударственного общества и почти не встречается в письменных источниках.

Все основные признаки обвинительного процесса – публичность, устность, соревновательность – в классическом виде фиксируются именно в Хевсурети. Здесь в самом процессе стороны абсолютно равны; возбуждение дела происходит только по инициативе сторон; сбор судебных доказательств также является их прерогативой, тогда как роль судей – пассивна, они никакого участия не принимают в сборе доказательств и приговор выносят только на основе изучения и оценки представленных сторонами доказательств.

The Meditorial Court or “Rjuli” in Kchevsureti Summary

Georgia is an unique country, as there are still exist the ancient forms of the legal proceedings and the Courts. In particular, the existing of the Meditorial Court, based on the Customary Law, fixed in Khevsureti and Svaneti at the end of the XX century. In the present study on the base of manuscripts and especially of archives data it was investigated the activities of the Meditorial Courts in Kchevsureti.

The Meditorial Court is formed on that developmental stage of the society, when with the vendetta simultaneously enters the composition institution. The purpose of the Meditorial Court in each separate case to avoid vendetta and Kchevsureti to reconcile sides with Customary Law on the base of the fixed property exaction (composition); i. e. the main function of the Meditorial Court is in the reconsilation of the sides. The Court must pronounce such judgement, which will be satisfy for the both sides. Otherwise, the animosity and vendetta between sides may be renew again. The Meditorial Court is not constantly working Court institution. In each concrete case the sides by themselves define the memberships of the Meditorial Court. As a rule, the sides call the equal number of judges.

The Meditorial Court in Kchevsureti is called “Rjuli” and the mediators chosen by sides - “Rjulis katsebi”. The “Rjuli” consideres only private rights disputes to reconcile the sides. That is why the Court organized so that it would be impossible to prevent the reconsilation of the sides. When in Kchevsureti somebodies are murdering, wounding or etc., the “Shuakatsebi” (mediators) inter-

tere in to avoid vendetta. They are trying to convince of the sides to give their consent to the reconciliation by the use of the "Rjuli". This consent means, that the victim side is ready to refuse of vendetta and the defendant side is ready to satisfy victim side's demands, i. e. it ready to pay the price, fixed by the "Rjuli" - composition.

After that, when the "Shuakatsebi" will get the consent to hold the "Rjuli", in the order of the day arises the question to choose the Meditorial judges, i. e. the "Rjulis katsebi". Their election is the prerogative of the sides. But the sides more often commit this election to the mediators, because the "Shuakatsebi" are more experienced than sides or over that the sides asked the mediators to be the "Rjulis katsebi". The number of "Rjulis katsebi" is defined by the sides. For the complicated causes they choose more number of "Rjulis katsebi", than for easy one.

By the Kchevsureti Law there is of great importance the place where "Rjuli" will be hold. The "Rjuli" will hold in that place, where any side will not be in privileges of the position. If the sides are living in one villiage, the "Rjuli" will be hold on the praying place "Jvari". But, when the sides are from different villages, the "Rjuli" will be hold on the middle place for these villages. In general, it is accepted to hold the "Rjuli" on the open area some where in the field or on the bank and so on. And the sides disposed so that it would be impossible to see or to hear each other. It is doing for the only main aim of the "Rjuli" to reconcile the sides finally. It may be happened so that one of the sides won't be able to cope with its emotions and roughly says something about opposite side. Only one word will be enough to give rise to the indignation of opponent and the "Rjuli" will fail. That is why the "Rjulis katsebi" scat the sides separately, for example in one hundred metres each from "Rjulis katsebi". Firstly they come up to one side to get evidences, then - to another. It is doing so, because the victim and the defen-

dant sides can not see each other. That is why we do not meet the withstand institution in Kchevsureti. The first step of the legal proceeding is to considerate the case on its merits. Firstly, "Rjulis katscbi" interrogate the victim side and then the defendant. But the sequence of interrogation of the sides may be resolve by lot. Then "Rjulis katscbi" examine the witnesses and the local doctor, who treated the wounded man with folk-custom methods, because it was well known to him the degree of wound. The second step is the passing sentence. After the consideration of the case on its merits "Rjulis katscbi" will seat together and begin to discuss the sentence. At the passing sentence the decisive importance always has the precedent with this case, named by Kchevsuri "Andresi". "Rjulis katscbi" will remember without fail the cases, which ever considered. If the "Rjulis katscbi" won't achieve to the agreement and won't passing an acceptable sentence for everybody, the "Rjuli" will disintegrated. In such a case the "Rjulis katscbi" announce to the sides, that they didn't achieve to the agreement and hadn't passing the sentence and would advice to the sides to choose the new "Rjuli". Why the "Rjulis katscbi" didn't achieve to the agreement and what was the members stand - it would be keep in the secret. The next step is the announcing of the sentence to the sides separately. Then the final step is the executing of the sentence and the reconciliation of the sides.

The most characteristic feature of the Meditorial Court - the optional of the sentence-clearly reveals in Kchevsureti. Here never existed the organization, which would be ensure the fulfilment of the sentence. The fulfilment of the sentence completely depends on the wish of the sides. If one of the sides decides that the sentence is not objective and not justice, it have to demand the new membership of the "Rjuli". It was possible to call the "Rjuli" second, third, fourth and so on times, until the mediators would be passing the acceptable sentence for sides. It is known, that the "Rjuli" in

Kchevsureti holds for the reconciliation of the sides. For that point of view it is logical that the “Rjuli” will have to passing an acceptable sentence for sides. That is why, that at passing sentence the “Rjulis katsebi” always take into account the general feeling of the sides about executing of the sentence and so on, what is, naturally, helps to get an executable sentence. It was the probability, that one of the side would be incline to definite concessions to reconcile of the sides. But there were another factors, which defined the executing of the sentence, made by the “Rjuli”. The high probability of the sentence executing is laying in the agreement of the sides to hold the “Rji”.

Surely, the sides were interesting in deliver from vendetta, because in that case, when the “Rjuli” wouldn’t passing the acceptable sentence, the sides remained in enemies. But such perspective oftenly was not in their interest and the sides executed the sentence. Except that the “Rjulis katsebi” were so respect, honest-minded and authority persons, that everybody entrusted them. Their passing sentences more often were truthful and the sides submitted them. But if one of the sides decides, that the sentence is not objective and not justice, it have to demand the new “Rjuli”.

The legal proceedings form in Kchevsureti is accusatory form. It has been traced through the accordance ethnographic materials. Such ancient form of the legal proceedings becomes just in activities of “Rjuli” and it is fixing at present, what, commonly, increases the scientific interests to this institution. We have the possibility to discuss about facts, typical for period before the state system of society and almost impossible to see it in the written sources.

All basic signs of the accusatory process: publicity, verbal communication, competition – in classic aspects settle just in Kchevsureti. Here the sides are absolutely identical in the process; institute proceedings occurs only on initiative of sides. Judicial evidences are prerogative for sides too, while the judges role is pas-

sive. They never take part in gathering of judicial evidences. They passing sentence only on the base of evidences presented by the sides.

სარჩევნი

შენიშვნა..... 3

თავი I

სამედიცინო სასამართლოს ორგანიზაციისა და პროცესის ძირითადი პრინციპები.....	5
§1. სამედიცინო სასამართლოს დანიშნულება და ორგანიზაცია.....	5
§2. სამედიცინო სასამართლოს განსახილველი საკითხები.	8
§3. საბრალდებო პროცესი, როგორც სასამართლო პროცესის ძირითადი ფორმა.	9
§4. ლიტერატურა და წყაროები სამედიცინო სასამართლოს შესახებ ხეცსურეთში	11

თავი II

სამედიცინო სასამართლოს ზოგადი დახასიათება და ორგანიზაცია ხეცსურეთში	14
§1. ტერმინების შესახებ.	14
§2. „რჯულში“ მონაწილე მხარეები	18
§3. რა მიზნით იმართება „რჯული“	20
§4. შუაქაცების როლი „რჯულის“ ჩატარებაში	32
§5. „თაოპირად გარიგება“	35
§6. „რჯულის კაცები“	37
§7. „რჯულის კაცების“ არჩევა და შეკრება	40
§8. „რჯულის კაცების“ რაოდენობა	44
§9. „რჯულის“ ჩატარების ადგილი და მხარეთა ადგილმდებარეობა „გარჯულვისას“	46

თავი III

სასამართლო პროცესი	50
§1. საქმის არსებითი განხილვა.	50
§2. განაჩენის გამოტანა.	54
§3. განაჩენის გამოცხადება მხარეთათვის	61
§4. განაჩენის აღსრულება და მხარეთა შერიგება.	72
§5. ჭრა-ჭრილობის „რჯულის“ პროცესუალური ელემენტები	76
РЕЗЮМЕ.....	90
Summari	94

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ელიზბარაშვილი
ტექ.რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი ლ. ბალოშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.12.01
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირ. ნაბ. თაბახი 6
სააღრ.-საგამომც.თაბახი 5,33
შეკვეთა №05 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი. აკაკი წერეთლის გამზირი 112